ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით | №33 (1734) | 31 აგვისტო — 6 სექტემბერი. 1999 წ. | ფასი 50 თეთრი

## დავით სოკოლოვი:



## რაღა მე გადავირჩევა, შევარდნაძემ გადაირჩევას გვარი!..

მეორე გვერდი

## საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ

მეშვიდე გვერდი

## სოფელი ლონიერია, თუ კაცი გონიერია...

მესამე გვერდი

## მიმართვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ ასლან აბაშიძეს



მეოთხე გვერდი

## ამომრჩევლის ლაღადი ყველა ეროვნული პარტიისადმი

## შანსი მოგვეცით, რომ აგირჩიოთ...



მესამე გვერდი

## „მარსელიოზა“ ხომ არ გვემღერა, ბატონო გივი... ერთად?!

მე-12 გვერდი

## იცნობ მეზობელს, ჩასწვდომიხარ ღირსებას მისას?!



მეორე გვერდი

## GIFA — რეტროსა და პერსპექტივაში

მეცხრე გვერდი



## «სხვაგან მოვიპარე, თქვენთან ვხარჯავ...»

მეოთხე გვერდი

ელექტრონული ვერსია http: // www.opentext.org.ge/sakartvelo

# ახალ-ახალი ამბები

## რეპლიკა-კომენტარებით

### „სოსოობა“ ამერიკაში

როგორ არ ვიცით ქართველებმა ჩვენიანების დაფასება. სამაგიეროდ, საკმარისია ვინმე გასცდეს საქართველოს საზღვრებს და გიუდებიან უცხოელები, აქამდე სად იყავითო. ამაში ახლახანს ამერიკაში მომხდარმა ფაქტმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა.

ჩვენი პოლიციის შეფი, ქურდების და ბანდიტების რისხვა — სოსო ალავიძე, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა, ქალაქ დენტონის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს. მარტო ეს არ აკმარეს და მისი ჰოლივუდური ღიმილით მოხიბლულმა ამერიკელებმა პერსონალური დღეც დაუწესეს. ამიერიდან ყოველი 17 აგვისტო სოსო ალავიძის სახელობის იქნება.

### მოსიყვარულე შვილი



იგორ გიორგაძე, რომელსაც სულიკოსავით დაეძებს და ვერ პოულობს თვით ინტერპოლიც კი, ხან საიდან შეგვახსენებს თავს და ხან საიდან. არ ვიცით, დავუჯეროთ თუ არა გენერალ პანტელეიმონ გიორგაძეს, რომელსაც ამ ბოლო დროს სიბერის ნიშნებთან ერთად ტყუილებიც „შემოეჩვია“, მაგრამ, როგორც მან განაცხადა, 17 აგვისტოს იგორ გიორგაძე მამის დაბადების დღეზე სამტრედიაში იმყოფებოდა, რათა მისთვის „HEPPI BIRTHDAY“ ემღერა.

მოსიყვარულე შვილიც ასეთი უნდა. როგორც იტყვიან, ნემსის ყუნწშიც გაძვრა და იმდენი ქნა, მამას დაბადების დღე საკუთარ სახლში მიულოცა. თუმცა, როგორც მალალჩინოსნები ამბობენ, ეს გადამდგარი საბჭოთა გენერლის მორიგი დეზინფორმაციაა.

### „ელოდნენ, ელიან...“

„კაკო ყაჩაღის“ (ბლაჟიაშვილის არა — ელიავას) და ძმანი მისნის ტყეში გაჭრა და შემდეგ მათი შემორიგება, ალბათ, გახსოვთ, მაგრამ ყველა შემორიგებული არ გამოსულა ტყიდან, 12 მათგანიდან რამდენიმე ჯერ კიდევ ტყეში იმყოფება. ისინი პარლამენტარებთან შეხვედრას ითხოვენ. მიუხედავად იმისა, რომ მათ იარაღი ჩააბარეს, სიტუაციის საბოლოოდ გარკვევამდე ოჯახებში დაბრუნებას არ აპირებენ.

იმედია, პარლამენტარები თუნდაც მოახლოებული არჩევნების ხათრით არ დატოვებენ „ტყეში გაჭრილ ძმებს“ უიმედოდ და მათთან შეხვედრას „უახლოესი შორეული“ მომავლისთვის არ გადადებენ.

### მოკრძალებული დირსებები

მმართველმა პარტიამ წინასაარჩევნო კამპანია, ბევრის გასაკვირად, სამეგრელოში დაიწყო. იქ ჩასულმა ჯანდაცვის, განათლების, ენერგეტიკის და ფინანსთა მინისტრებმა ზუგდიდელებს ყოველნაირად მხარში დგომა და დახმარება აღუთქვეს. რამდენიმე დღეში ზუგდიდში 2 თვის პენსიები დარიგდება. ავთანდილ ჯორბენაძემ უფასო სამედიცინო დახმარების სისტემის ამუშავება აღუთქვა მოსახლეობას. რეგიონში იქნება მუდმივი დენი და გაუმჯობესდება წყლით მომარაგება. როგორც ბატონმა ვაჟა ლორთქიფანიძემ განაცხადა, მათ არც ერთი არარეალური და ტყუილი დაპირება არ მიუციათ, მათი დაპირებები უფრო მოკრძალებულია, ვიდრე ოპოზიციური პარტიებისა.

მოქავშირმა წინა არჩევნებში პომპეზური დაპირების — მილიონი სამუშაო ადგილის — შეუსრულებლობის შემდეგ, ეტყობა, ჭკუა ისწავლა და ახლა მოკრძალებულ დაპირებებზე გადავიდა.

# დავით სოკოლოვი: „რაღა მე გადავირქვა, შევარდნაძემ გადაირქვას გვარი!“

*ოციოდე წლის დოდო ჯაფარიძესა და მასზე ხუთიოდე წლით უფროს სიომა (სიმონ) სოკოლოვს, გარეუბნის რაიკომის თანამშრომელს, გაურკვეველ ვითარებაში რომ მოუკლავთ ორმოცდაერთის მარტში, ერთადერთი ვაჟიშვილი, ოთხი წლის დათო (დავით) სოკოლოვი დარჩათ, შემდგომში საქტელერადიოს საქვეყნოდ ცნობილი დიქტორი.*

*გრიბოედოვის ქუჩაზე დაბადებულსა და გაზრდილს, ძმათა მკვლელი ომის დროს, პირველი საშუალო სკოლის უკან, შევჩენკოს ქუჩაზე ჰქონდა საცხოვრისი. ოპოზიციური ტერმინით რომ ვისარგებლოთ, თვითონ „ბუნკერის ტელევიზიაში“ უწევდა მუშაობა და წამისწამ ეხმიანებოდა მეუღლეს, ქალბატონ დალის, ლოგინზე მიჯაჭვულ დედამისს რომ დაჰკანკალებდა თავს.*

*იმ დღესაც პარლამენტის შენობაში გახლდათ, მათ სახლს რომ ხანძარი მოედო. სასოწარკვეთილი მეუღლის მისაშველებლად სასწაულით გამოჩხრეკილი „ნივა“ მიაყენა სახლს. ძლივსძლივობით მოასწრეს დავრდომილი ქალბატონის სახელდახელოდ საბანში გახვევა და ... ხის კედლებიან ბინას ძველი კინოფირივით ავარდა ალი.*

*ჩვენს პუბლიკაციას რომ დათო სოკოლოვის ბალღობისდროინდელი, გინდაც სტუდენტობის ხანის ფოტოები არ ამშვენებს, სწორედ იმ ხანძრის ბრალია, რომელიც, რაღა თქმა უნდა, არც გაზის ბალონის აფეთქებით გაჩენილა და არც — მოკლე ჩართვით!.. თუმცა, სურათები კი არა, ქორწინებისდროინდელი ოქროს საყურეებიც დარჩენოდა ფაცი-ფუცში ქალბატონ დალის.*

*დათო კი, როგორც პროფესიონალი მონადირე, ყველაფერზე მეტად ვანო შადურის მიერ ნაჩუქარ „ბარს“-ის მარკის შაშხანას დარდობს, ქვეყანას რომ რჩებოდა მასზე თვალი!.. სულ ორ კილოგრამსა და ექვსას გრამს იწონიდა, მის ტყვიას 2900კგ-ის დარტყმის ძალა და წამში 1100 მეტრის სიჩქარე ჰქონდაო! მერე ღიმილით გაიხსენა ნადირობა ჭუბერში, ერთმა შუმმა სვანმა ოცდაათი თხა რომ შეაძლია თოფში!..*

*თერთმეტი წელიწადია, არც მიანკესავია, არც ფაცერი დამიგია, არც ბადე გამიშლია და, მწყერი რაა, მწყერზეც არ მინადირიაო! — ამოიოხრა ორი შვილისა და სამი შვილიშვილის პატრონმა. მართლაც რომ ხავერდოვანი ბარიტონის მქონე დავით სოკოლოვმა, ვის სახელსაც, დავით ძიგუას, ეროსი მანჯგალაძის, მერაბ თაბუკაშვილის, თამაზ ჭყონიას, სწორუპოვარ ქეთევან ლანდიას, მერი მიქელაძის, თინათინ ელბაქიძის, თინათინ მგალობლიშვილის, თათია ხაინდრავას (რა საკრალურად ჟღერს ამდენი „თანი“!) სახელთან ერთად, არც და, ვერც დაივიწყებს ქართველი რადიომსმენელი!..*

**— სად და როდის დაიბადეთ, ბატონო დავით?**

— დავბადებულვარ 1936 წელს, 24 ნოემბერს, თბილისში. წარმოშობით, რასაკვირველია, რუსი გახლავართ, მაგრამ მე-5 თუ მე-6 თაობა. ეტყობა, კარგი მებრძოლის რეპუტაცია დაიმკვიდრა იმ ჩვენმა წინაპარმა, რადგან სოლომონ მეორეს მამულები უბოძებია მისთვის ზემო იმერეთში, კერძოდ, მაქათუბანში. მოკლედ, მემამულის შთამომავალი გახლავართ, ოღონდ — მამულების გარეშე.

**— „სოკოლ“ ქართულად ხომ შევარდენს ნიშნავს. ხომ არ გიფიქრიათ გვარის გადარქმევა; „დავით შევარდნაძე“, ხომ კარგად ჟღერს?**

— ბატონ პრეზიდენტს, ცნობილია, იუმორი არ სძაგს. თვითონ გადაირქვას, რაღა მე გადავირქვა — „ედუარდ სოკოლოვიც“ მშვენივრად ჟღერს!

**— ვინ იცის, იმ სახლის კედლებში თქვენს წინაპრებს რამდენი ოქრო ექნებოდათ ჩატანებული. აფსუსი არაა?**

— (იცინის) მე გრიბოედოვის ქუჩაზე ვარ დაბადებული. თუ იქნება, ალბათ, იქ იქნება!

**— ღმერთმა გვაშოროს კიდევ ერთი ასეთი ხანძარი! რომელ სკოლაში სწავლობდით?**

— პირველ საშუალოში. მსახიობობისადმი მისწრაფება ბავშვობიდანვე გამიჩნდა, მაგრამ, ეტყობა, ნიჭი — ნაკლები. ამიტომ მიკროფონმა გადამძლია! ომის დროს, მგონი, 1944 წელი იყო, ორმა სკოლამ, ქალთა და ვაჟთა სკოლებმა, ოპერა „რწყილი და ჭიანჭველა“ დავდგით. ჭიანჭველას ვასახიერებდი. მეც ასე მარგუნა გამჩენმა — ყოველთვის იმაზე მეტის კეთება მიწევდა, ვიდრე საშუალება მქონდა. ობლობა, თანაც უმამობა, ბიჭისთვის ძნელია! ძნელია იმიტომ, რომ ოჯახში როცა მამრი არაა, დედის კალთაზე მიბმული იზრდები, თუმცა ცხონებულ დედაჩემს ჩემთვის არაფერი დაუკლია.

**— მსახიობის მონაცემები თუ არ გექნებოდათ, ან თეატრალურ ინსტიტუტში როგორ მოხვდებოდით, ან — მარჯანიშვილის თეატრის დასში?**

— მონაცემები როგორ არ მქონდა, მაგრამ ინსტიტუტში მოხვედრა ყოველთვის არ ნიშნავს, რომ უსათუოდ ხორავა, ზაქარიაძე ან შავგულიძე დადგები!.. ან, ვთქვათ, სესილია თაყაიშვილი!.. ქალბატონი სესილია გენიალური არტისტი იყო. რომელი სარა ბერნარი მოვა იმასთან!..

მარჯანიშვილის თეატრში შტატგარეშედ ვიყავი გურამ მაცხონაშვილის დროს. შტატში კი — რადიოს დიქტორად ვმუშაობდი. თეატრში შტატგარეშე იმიტომ ვიყავი, რომ იმდროინდელი კანონი კრძალავდა შეთავსებით მუშაობას.

ისედაც, მალე დავწმუნდი, რომ ჩემი საქმე მიკროფონი უფრო იყო. ის, რაც ეროსიმ და კოტემ გააკეთეს, ყველას როდი ძალუძს!..



**— როგორია თქვენი ცხოვრების წესი?**

— თუ საზოგადოებრივი ცხოვრება გაქვთ მხედველობაში, ასე გიპასუხებთ: ჩემთვის ყოველთვის კანონის ძალა ჰქონდა, როგორც მშობლის, ასევე პედაგოგის და, მით უმეტეს, ხელისუფლების მითითებას! ვფიქრობ, ჩვენი თაობისათვის ასეთ რამ ორგანაულია, უცხო არ არის. არ მიყვარს სამსახურში დაგვიანებაც კი. ეს ჩემი პრინციპია, უბრალოდ.

**— თეატრალურის გარდა, არსად გისწავლიათ?**

— კი, სახელმწიფო უნივერსიტეტში. ჟურნალისტიკის განყოფილება დავამთავრე; ვილენ მარდალეიშვილთან ერთად ვსწავლობდი.

**— ვაჟი, გიორგი, რა ხნისაა და სად მუშაობს?**

— ოცდაჩვიდმეტის გახდა. არსად მუშაობს. არადა, გეპეი აქვს დამთავრებული — ნავთობის და გაზის ძიება.

**— ჰოდა, რატომ არსად არ მუშაობს?**

— არის ბარიერები, ზოგი ობიექტური, ზოგიც — ხელოვნური. სპეციალობით მუშაობა ძნელი შეიქნა, გვარი არ მოსწონთ ხშირად. კომერციას კიდევ, ტალანტიც რომ გქონდეს, საწყისი კაპიტალი უნდა. გარდა ამისა, ბიზნესს საქართველოში იოლად ვერ გაუძლვები. იმდენი ხელისშემშლელი პირობაა, რომ ... თითქოს სპეციალურად მუშაობენ ჯგუფები იმაზე, რომ არაფერი გაკეთდეს ჩვენში ისეთი, წარმოებას რომ გამოაცოცხლებს და განავითარებს.

**— თვითონაც კაი ხანს იყავით უმუშევარი, არა?**

— კი, ექვსი გრძელი წელიწადი.

**— საზოგადოება მაინც ღვთის წყალობად თვლის, რომ იმდენი ლანძღვა-გინებისა და წარმოუდგენელი ჭორების შემდეგ, მაინც მიგიწვიეს და მართალია, კადრს გარეთ, მაგრამ მაინც სამუშაო მოგცეს.**

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## თვალსაზრისი

# იცნობ მეზობელს, ჩასწვდომიხარ ღირსებას მისას?!

***წერილი 5. თურქეთისა და შეერთებული შტატების სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის სავარაუდო მიზნები ამიერკავკასიისა და ცენტრალური აზიის მიმართულებით***

წერილის დასაწყისში სამძიმარი გვინდა ვუთხრათ თურქეთში მიწისძვრისგან დალუპულთა ახლობლებს, თანაგრძნობა გამოვუცხადოთ დაშავებულებსა და დაზარალებულთ, როგორც ეთნიკურ ქართველებს, ისე თურქებსა და ქვეყნის მთელ მოსახლეობას; ვუსურვოთ მათ მედგრად გადაეტანოთ ეს განსაცდელი. აგრეთვე ვუსურვებდით ამ უბედურებისა და მსხვერპლისგან მიღებული გაკვეთილებითა და გამოცდილებით შედგომოდნენ შემდგომ ცხოვრებას და საქმიანობას, როგორც ქვეყნის რიგითი მაცხოვრებლები, ისე მმართველი სამხედრო-პოლიტიკური და გავლენიანი იდეოლოგიური წრეები.

რაც შეეხება თურქეთისა და მის მფარველ-მოკავშირეთა სავარაუდო მიზნებსა და ამოცანებს, რაზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ, უფლის ნებითა და თავსდამტყდარი სტიქიური უბედურების გამოისობით, გარკვეულწილად, უკვე წარსული დროის გეგმებად თუ არა, დროში გადაწეულ გეგმებად მაინც შეგვიძლია ვიგულისხმოთ. ამ მიწისძვრის შედეგად ქვეყანას მიადგა არა მხოლოდ ათიათასობით ადამიანთა მსხვერპლი, ფიზიკური და ფსიქიური ტრავმებით გამოწვეული უდიდესი ზარალი, არამედ მნიშვნელოვანი სამხედრო და ეკონომიკური (მატერიალურ-ტექნიკური) დანაკარგებიც. რამდენადაც ვიცით, მარმარილოს ზღვაში ჩაიძირა თურქეთის მთავარი სამხედრო-საზღვაო ბაზა ქ. გიოლჯიუქში, სადაც მშვიდობიანობის დროს თავმოყრილი იყო თურქეთის წყალქვეშა ნავებისა და წყალზედა საბრძოლო ხომალდების უდიდესი ნაწილი; ნგრევები იყო ქ. ესქიშეჰირში, სადაც განლაგებულია 1-ლი ტაქტიკური საჰაერო სარდლობის შტაბი, სტამბულსა და სხვა ქალაქებში, რომლებშიც თავმოყრილია მნიშვნელოვანი სამხედრო და სამხედრო-სამრეწველო ობიექტები. გარდა ამისა, უახლოეს წლებში (შესაძლოა ათწლეულებშიც) ქვეყნის ხელმძღვანელობის უპირველესი საზრუნავი უნდა გახდეს უსახლკაროდ დარჩენილ ადამიანებზე ზრუნვა და სასიცოცხლოდ აუცილებელი დანგრეული ეკონომიკური, ადმინისტრაციული და სხვა ობიექტების აღდგენა.

მაგრამ ეშმაკს არ სძინავს და საკუთარი მიზნების მისაღწევად ერთი მოჭრილი გზის ნაცვლად სხვებს დაუწყებს ძებნას. ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის (ასევე ნატოს რიგი სახელმწიფოების ხელმძღვანელთა) სავარაუდო მიზნების შესახებ საუბარი ამიერკავკასიასა და ცენტრალურ აზიაში საკუთარი გავლენის გასავრცელებლად, რომლებიც უნდა განხორციელებულიყო თურქეთის (მათ შორის თურქეთის შეიარაღებული ძალების) მეშვეობით.

როგორც წინა წერილებიდან ვნახეთ, შეერთებული შტატებისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსისათვის თურქეთი ცივი ომის პერიოდში მეტად მნიშვნელოვან ფორპოსტს (მეწინავე პოსტს) წარმოადგენდა როგორც ხმელთაშუა ზღვისაკენ საბჭოთა კავშირის აგრესიის შეკავების, ისე მასზე ტექნიკური და სხვა საშუალებებით სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვე-



ბის თვალსაზრისით. ამავე დროს თურქეთი იყო და არის პლაცდარმი ახლო აღმოსავლეთში და ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში ამერიკული ინტერესების გასატარებლად და დასაცავად.

მაგრამ ცივი ომის დასრულებისა და ყოფილი ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის სამხრეთ ფლანგის ტერიტორიის უდიდეს ნაწილზე — ბულგარეთი, რუმინეთი, მოლდოვა, უკრაინა, აზერბაიჯანი, საქართველო, ნაწილობრივ სომხეთიც — რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა გავლენის მნიშვნელოვნად შემცირების (ან სულაც მინიმუმამდე დაყვანის) კვალდაკვალ, როგორც ჩანს, თურქეთმა შეერთებული შტატების, გერმანიის და, შესაძლოა, ნატოს სხვა სახელმწიფოების ხელმძღვანელებისთვის შეიძინა ახალი ფუნქცია — დასავლური (და, ცხადია, საკუთრივ — თურქეთი) გავლენის აღმოსავლეთით (ცენტრალურ აზიაში) გავრცელება.

ამაზე მიუთითებს 90-იან წლებში აშშ-სა და გერმანიის ქმედითი სამხედრო-ტექნიკური და ფინანსური დახმარების შედეგად თურქეთის შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნისა და ბრძოლისუნარიანობის რამდენჯერმე ამაღლება, რაც რუსეთის დასუსტების შედეგად ჩამოყალიბებული ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე ვერ ჯდება ქვეყნის თავდაცვითი მოთხოვნილებების ფარგლებში და მნიშვნელოვნად აღემატება თავდაცვით აუცილებელ დონეს. ჩვენ კი, ბუნებრივია, ვივარაუდოთ, რომ თუკი ქვეყნის ხელმძღვანელობა და მისი მფარველ-მოკავშირეები (აშშ და გფრ) ასეთ პირობებშიც ზრუნავენ თურქული სამხედრო მანქანის ძლიერების შემდგომი ზრდისათვის, მაშინ, როგორც ჩანს, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, ვარაუდობენ ამ ძლიერების დემონსტრირებას (მავანთა დასაშინებლად) ან პრაქტიკულ საბრძოლო გამოყენებას (თუკი დაშინებამ არ გაჭრა).

იმის გასარკვევად, თუ საითკენ შეიძლება იყოს მიმართული თურქეთისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის რიგ სახელმწიფოთა მამების სამხედრო-პოლიტიკური ინტერესები, შეგვიძლია მოვიშველიოთ წინა წერილში მოყვანილი ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის, ან განსვენებული თურგუთ ოზალის მიერ 80-იანი წლების შუახანებში დასავლური პრესისათვის მიცემულ ინტერვიუში ნათქვამი იმის თაობაზე, რომ თურქეთს დიდი პრეტენზიები არ გააჩნია, ვინაიდან იგი არის რეგიონალური სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვიდან ჩინეთამდე-ო.

ქვეყნის მაშინდელი პრემიერის მიერ ზოგადად მოხაზული თურქული სახელმწიფოს (ან გავლენის სფეროს) ფარგლებში ბუნებრივია მოვიაზროთ ის ტერიტორიები, სადაც სახლობენ თურქეთთან ეთნიკურად, კონფესიურად, კულტურულად ახლოს მყოფი ხალხები და ერები, აგრეთვე სადაც თურქეთს ისტორიული, ეკონომიკური და სხვა ინტერესები შეიძლება გააჩნდეს. ასეთად ჩვენ გვესახება ამიერკავკასია, ჩრდილოეთ ირანი (ირანის ადერბაიჯანი), ცენტრალური აზია (ტაჯიკეთის გარდა), ვოლგისპირეთი, ჩრდილო-კავკასია და ყირიმი. შესაბამისად იკვეთება იმ სახელმწიფოთა ჩამონათვალიც, რომელთა სუვერენიტეტი, ტე-

გაგრძელება მე-16 გვერდზე

# შანსი მოგვეცით, შანსი მოგვეცით, რომ აგირჩიოთ

## ამომრჩევლის ღაღადი ყველა ეროვნული პარტიისადმი

ყოველი დღე არჩევნებთან გვაახლოებს, კარს მომდგარი არჩევნები კი იმ არჩევანის წინაშე გვაყენებს, თუ ვის მივცეთ ხმა: მოქალაქეთა კავშირს, აღორძინების ერთობას თუ ედპ-ესეულ გაერთიანებას. სხვა რეალური ძალა პარტიებით გატენილ ჩვენს ქვეყანაში (ორმოცდაათზე მეტი მარტო ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული საარჩევნო პარტია თუ ბლოკია ცნობილი), ერთი შეხედვით, დღესდღეობით არა ჩანს შვიდპროცენტიანი საარჩევნო ბარიერის გამო და ისინიც გულდამშვიდებულნი თვლიან, რომ ამომრჩეველი ვალდებულია მხოლოდ მათ შორის გააკეთოს არჩევანი. ამიტომაც ებრძვიან ასე გააფთრებით მოქალაქენი და „ამღორძინებლები" ერთმანეთს.



რაც ეკონომიკურად ხალხს დამართეს, ამას ეს ხალხი, ასე თუ ისე, იტანს, მაგრამ მისთვის აუტანელია ქვეყნის დანგრევა და დაშლა; მერე ამ დამანგრევლის მედიატორად მოწვევა, მისი უსიტყვო მორჩილება, მისი ყოველგვარი უზნეო საქციელის მიჩქმალვა და მიჩუმათება. მაგალითისათვის, ბოლო ხანებში რუსული თვითმფრინავების განუკითხავი ნავარდი იკმარებს საქართველოს ცაში, რაც საბოლოოდ მსოფლიოს მიერ უარყოფილი კასეტური ბომბებით მოსახლეობის დარბევით დამთავრდა (1989 წლის 9 აპრილს გაზით მოწამლვის დარად). თურმე ნუ იტყვით, მსოფლიო კანიბალიზმის წინააღმდეგ პროტესტის გასაცხადებლად და კაცობრიობის გულისყურის მისაპყრობად, ხმაურის ასატეხად, საკმარისი არ ყოფილა იმის ცოდნა, რომ საფრენმა აპარატებმა რუსეთიდან საქართველოსაკენ და საქართველოდან რუსეთისაკენ ორჯერ გადაკვეთეს საჰაერო და სახმელეთო საზღვარი, დაბომბეს საქართველოს ტერიტორია, დაბომბვა კი კაცობრიობის მიერ აკრძალული ბომბებით მოხდა. თურმე იმის დადგენაა აუცილებელი, ვინ ვის მისცა ბრძანება (თითქოს ელცინის ბრძანება ხელმოწერილი და ბეჭედდასმული ედო მფრინავს პლანშეტში) და ვის ჩასვამენ ციხეში. ასეთი აბსურდული მტკიცებები წარმოუდგენელია სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში და საქმის მიჩქმალვას ისახავს მიზნად (ამ მდგომარეობას ვერც საქართველოში დაბადებული ბატონი ივანოვის ოფიციალური ბოდიში უშველის, თუნდაც რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იყოს მისი ტიტული).

კაცმა რომ თქვას, არც „ამღორძინებლები" ჩანან მთლად ანგელოზები, მაგრამ ამჯერად მკითხველი მინდა გავარკვიო ედპ-ს გაერთიანებისადმი ჩემს დამოკიდებულებაშიც. პირველად ედპ-მ დააფიქსირებინა ეროვნული მოძრაობების პარტიების საერთაშორისო კონფერენციას ჩეხოსლოვაკიაში, ხელმოწერით, ქართული ეროვნული მოძრაობის „ერთი ნაწილის ნაციონალიზმი"; ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ქართული ეროვნული, დამოუკიდებელი სახელმწიფო აეფეთქებინა (ეროვნული კონგრესი; პერმანენტული, ყოველკვირეული მიტინგები და სხვ.); ის პირველი პარტია იყო გადატრიალების შემდეგ, ხელისუფლების საყრდენს რომ წარმოადგენდა; მას ნაკლებად აღელვებს ეროვნული იდეოლოგიის საფუძველზე ქვეყნის მოწყობა; ოპოზიციის ქურქით, შეფარულად, მოქალაქეთა კავშირს უწყობს ხელს (ვფიქრობ, რომ შვიდპროცენტიანი საარჩევნო ბარიერის დაწესების „ინიციატორობა" საკმარისი მაგალითია).

მიუხედავად აქ ნათქვამისა, ვერ დავუკარგავ ედპ-ს თავმჯდომარეს საკმაოდ დახვეწილ პოლიტიკოსობას. გულდასაწყვეტია ჩემთვის, რესპუბლიკური პარტიის ზოგიერთი ლიდერი, გაერთიანების ზოგიერთ სხვა წევრთან ერთად, ჩემი და ჩემისთანების ხმის გარეშე რომ დარჩება.

მოკლედ რომ ვთქვა, მიმაჩნია, ჩვენ ის ბლოკი გვინდა, ვინც მოქმედებს პრინციპებით: ხელისუფლება ხალხისათვის და ქვეყნისათვის და არა ხალხი და ქვეყანა ხელისუფლებისათვის.

მკითხველი იკითხავს, სად არის გამოსავალი.

გასული წლის გაზეთ „საქართველოს" ოქტომბრის დასაწყისის ნომერში მე ერთხელ დავწ-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერია

ბოლო 7-8 წელიწადია ქვეყანაში სასურსათო კრიზისია, დღევანდელი დამოკიდებულებით ჩვენ ვერასოდეს ვერ გამოვალთ გაჭირვებიდან. აგრარული პოლიტიკის მესვეურები ხალხს თვალში ნაცარს აყრიან, ბაზრებსა და უადგილო ადგილას გამოტანილ ნობათს თავიანთ დამსახურებად მიიჩნევენ, მიწის დიდი მასივები თითქმის გადაეჩვია მოსავლის მოცემას, მცირე ზომის (200-300კვ. მ.) მიწის ნაკვეთზე კი 60-70 ცენტნერ ხორბალს იღებენ. დღემდე კაცი არ აღმოჩნდა ისეთი, რომელიც იკითხავდა, როდის გადავალთ მოგებაზე, როდის აღვადგენთ დაქცეულ სოფელს?!

სხვათა შორის, კოლექტიური შრომა — კოლმეურნეობებში, მეურნეობებში, — დღევანდელი გადასახედიდან თითქოს ღმერთმა გვიბოძა. ეს ფორმები ისე დაიშალა, რომ ახალი და უკეთესი ვერაფერი შევთავაზეთ ხალხს. ჯერ ყველაფერი მოვსპეთ, დავანგრიეთ, მოვიპარეთ, გავაპარტახეთ და შემდეგ დაიწყო ეკონომისტთა დავა იმის თაობაზე, სოფლად გლეხური მეურნეობა ჯობია თუ ფერმერული?

სოფლის მეურნეობა ურთულესი და მრავალდარგოვანი ცოცხალი სამყაროა, სხვა დარგებისგან განსხვავებით ღია ცისქვეშაა, ბუნებრივი სტიქიების მუდმივი ზემოქმედების ორბიტაშია და ამიტომ ის თავისი ბუნებით მხოლოდ კოლექტიური შრომით, ცალკეულ ტექნოლოგიურ ოპერაციებზე მუშახელის შეყურსული შრომით შეიძლება აღწევდეს ყოველდღიურ გასაჭირს. მოსახდენი მოხდა. ამაზეა ნათქვამი, „ცხენს ვერაფერი დააკლეს, უნაგირს დაუშინესო". კოლმეურნეობები კი არ უნდა დაგვეშალა, არამედ გაგვენთავისუფლებია, გაგვეწმინდა ხორცმეტებისაგან, გაგვემაგრებია პატიოსანი, მცოდნე, პროფესიონალი სპეციალისტებით.

სოფლის მეურნეობის ხაზით მოჩვენებითმა ღონისძიებებმა, შეკრებებმა და ყრილობებმა დაასუსტა ისედაც ჯანდაქათ მყოფი და ილაჯგაწყვეტილი სოფელი და მასზე მოსახლე გლეხი. ვინ და-



გიჯერა, ვინ ილო ყურად სოფლის გულშემატკივართა მიერ გამოთქმული რჩევა-დარიგებანი. მასმედიის ფურცლებზე იწერებოდა საქმიანი წერილები, გულის სიღრმიდან ამოსული მინიშნებანი — სოფლის მეურნეობა კვებავს ყველას და ყველაფერს ცოცხალს ბუნებაში, ამიტომ საჭირო იყო მისი პრივილეგირებულ დარგად გამოცხადება, მარტო ეს არ კმაროდა, გავყვიროდით, რომ მხოლოდ ასეთი აღიარება არ იყო საკმარისი, მას სავალდებულო სპონსორული თუ სხვა წესით ესაჭიროებოდა მხარში დგომა, ამასთან სოფლისკენ უნდა ყოფილიყო მიმართული ყველა სხვა დარგების ყურადღება, კვების პროდუქტებით უზრუნველყოფას საჭიროებენ ყველა დარგში მომუშავენი, ცხოველები, ცოცხალი არსებები, ვინაც კი ადამიანის ხელებსაა მიჩერებული. მიწისა და მოსავლისადმი გერი დედის როლში ყოფნამ სოფლად გაყინა ყველაფერი, გლეხი ხელისუფლებისგან გარიყული და დაუცველი აღმოჩნდა.

ჩიხში შესული სოფლის გადარჩენის ერთადერთ გზად მიწების პრივატიზაცია იქნა გამოცხადებული. პრივატიზაცია მსოფლიო ბანკის ინტერესში შედიოდა. ბანკის წარმომადგენელმა ვალავიმ ბოლოს არ დამალა განზრახვა (დავალება) და პირდაპირ დააყენა საკითხი, თუკი საქართველოს ხელისუფლება დაუყოვნებლივ არ მიიღებს კანონს სასოფლო-სამეურნეო მიწების ყიდვა-გაყიდვის შესახებ, ბანკის მიერ აღარც ერთი ცენტი აღარ იქნებოდა საქართველოზე გაცემული. უცხო ძალამ ჯერ იყო და გვაიძულა ხელი აგვეღო საკუთარ მეურნეობაზე, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებაზე და მხოლოდ და მხოლოდ უცხოური ქვეყნების მიერ ნაწარმოები (შემოტანილი) პროდუქციაზე ვყოფილიყავით დამოკიდებული. სპეციალისტები, რიგი არასამთავრობო ორგანიზაციები, მიიჩნევდნენ, რომ მიწების თუნდაც ხელაღებით, ნაჩქარევი პრივატიზაცია მთავრობის მხრიდან უდიდესი შეცდომა იყო, ხელისუფლებას სჭირდებოდა დიდი დაფიქრება, განსჯა, საქართველოს ბუნებრივი პირობების და რიგი ასპექტების გათვლა. მიწის პრივატიცია რომ ანაწევრ-ამცირებდა ტექნიკით დასამუშავებელ ნაკვეთებს და უჩვეულოდ გაზრდიდა მიწის დასამუშავებელ ხარჯებს (უქმი

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# ახალ-ახალი ამბები

## რეპლიკა-კომენტარებით

### „ერთი თხილის გული..."



რაოდენ ძნელი დასაჯერებელიც უნდა იყოს, დასავლეთ საქართველოში თვით ამერიკის პირველი ლედის, ჰილარი კლინტონის ძმები როდჰემები ჩამოვიდნენ. ისინი თხილითა და მწვანე და შავი ბაიხის ჩაისგან ნატურალური კოფეინის წარმოებით დაინტერესდნენ. ბათუმში სპეციალურად სტუმრების მომსახურეობისათვის დაქირავებული უმაღლესი კლასის ვერტმფრენი პირდაპირ ქალაქის ცენტრში — უზენაესი საბჭოს შენობასთან ჯდებოდა (ასე უნდა მაღალი რანგის სტუმრებს მასპინძლობა!) და ბათუმელებს მყუდროებას ურღვევდა.

ამიერიდან, იმედი ვიქონიოთ, მარტო „ბორჯომი", მარგანეცი და ღვინო კი არა, თხილიც გადაარჩენს საქართველოს, რომელიც მარტო ჩვენ კი არა, ამერიკელ ძმებსაც (პირდაპირი და ირიბი მნიშვნელობით) უნდა გავუყოთ.

### გაყინული ბარკლები და პენსიები

„პენსია ქათმის ბარკალი არ არის, რომ გაყინო" — აღნიშნა სოცუზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალურმა დირექტორმა ოთარ ხუფენიამ ქუთაისში გამართულ იმერეთის სამხარეო თათბირზე. ნამდვილად, ყველამ იცის, რომ პენსიები და ხელფასები არც ქათმის ბარკლებია და არც სირაქლემის. მაგრამ ერთიც და მეორეც, როგორც გვეუბნებიან, „გაყინულია" და მათ გალღობას ვერც ამ საოცრად ცხელი ზაფხულის პაპანაქებამ უშველა. უშველის თუ არა მას წვიმიანი შემოდგომა, კარს მომდგარი არჩევნები დაგვანახებს.

### რეკორდსმენი ქართველი მოლაპარაკე



გინესის რეკორდების წიგნი ყველას გაგიგონიათ, მასში ათასგვარი რეკორდსმენები შედიან, ზოგი ცალ ფეხზე რამდენ საათს გაძლებს, ზოგი რა სიშორეზე, უკაცრავად და, გადაფურთხებს და ა. შ.

საქართველოდან ამ წიგნში „რეკორდსმენ მოლაპარაკედ" შევა სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი გიორგი კერვალიშვილი. 1991 წლიდან მის მიერ გაკეთებულია 3000 საპროტესტო განცხადება. პრესკონფერენციებზე, საჯარო გამოსვლებზე, შეკრებებსა თუ ასოციაციის სხდომებზე მან 7890 საათი ისაუბრა. როგორც ამბობენ, ამის მსგავსი რეკორდი გინესის წიგნში დაფიქსირებული არ არის.

თუ გიორგი კერვალიშვილს არ შეიყვანენ ამ წიგნში, შეიძლება, მის მიერ გაკეთებული საპროტესტო განცხადებებს კიდევ ერთი არზა შეემატოს.

### „მოკრივე" აბაშიძე



ქართველმა მოკრივემ გიორგი კანდელაკმა, რომელმაც ბათუმში სარეიტინგო ბრძოლაში პირველსავე რაუნდში დაამარცხა ამერიკელი კიმ ოუდემი, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ასლან აბაშიძეს საჩუქრად გადასცა მოკრივის ხელთათმანი, რომლითაც კანდელაკმა ბათუმში პროფესიულ რინგზე თავისი მეთერთმეტე გამარჯვება მოიპოვა.

მოკრივის ხელთათმანის გადაცემამ ასლან აბაშიძეში, შეიძლება რინგის ასოციაცია აღძრა, რომელზეც არჩევნებში ნოკაუტით დამარცხებული მისი მოწინააღმდეგე აღმოჩნდება.

### გავენეციებული თბილისი

წლევანდელი 28 აგვისტო მარტო მარიამობის დღესასწაულით არ დაამახსოვრდება თბილისელებს. შუადღეზე მოსულმა კოკისპირულმა წვიმამ და სეტყვამ ქალაქში ნიაღვრები წარმოშვა, რომელიც ბინებშიც შევარდა და საიმედო ფილაქნებიც კი აჰყარა ვარაზისხევში. „დეზერტირების" ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე წყალში „ნავარდობდნენ" საზამთროები და ნესვები, ქუჩაში ნახევრამდე წყლით დაფარულ მანქანებზე შემსხდარი მძღოლები კი მოთმინებით ელოდებოდნენ ქუჩაში წყლის დონის დაკლებას. მოკლედ, იმ დღეს თბილისი ნამდვილ ვენეციას მოგაგონებდათ, რომელსაც მხოლოდ გონდოლები აკლდა. ისე კი, ღირს ამაზე ფიქრი, წინ წვიმიანი შემოდგომაა და ნავებზე ზრუნვა ხომ არ დაგვეწყო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩევნები

# მიმართვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისადმი, ბ-ნ ასლან აბაშიძისადმი



*დიდად პატივცემულო ბატონო ასლან!*

მოგეხსენებათ ჩვენი ქვეყნის დღევანდელი კრიტიკული მდგომარეობა და, მისგან გამომდინარე, ამა წლის საპარლამენტო არჩევნებისა და მომავალი წლის საპრეზიდენტო არჩევნების დიდი მნიშვნელობა ჩვენი ერის მომავლისათვის. ისიც მოგეხსენებათ, რასაკვირველია, რომ ქართველი ერის უდიდესი ნაწილი შევარდნაძისა და მისი პარტიის — „მოქალაქეთა კავშირის" — პოლიტიკას თვლის საქართველოს ეკონომიკური, სტრატეგიული და მორალური ნგრევის შეგნებულ პოლიტიკად, ხოლო მის გამტარებლებს — უცხო ქვეყნის, პირველ ყოვლისა, რუსეთის ნების ალმსრულებლად საკუთარი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესთა საწინააღმდეგოდ. სამწუხაროდ, ამ შეხედულებას საკმარისზე მეტი საფუძველი აქვს. ამ პირობებში და ამ ფონზე პირადად თქვენ და თქვენი პარტიის — „საქართველოს აღორძინების კავშირის" — საარჩევნო მხარდაჭერისათვის მზად არის ან განწყობილია ამომრჩეველთა ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი, სახელდობრ, მათი არა მხოლოდ ის ნაწილი, რომელსაც თქვენი პოლიტიკური მოღვაწეობა თავისი შეხედულებების შესატყვისად და პერსპექტიულად მიაჩნია, არამედ მათი ისეთი ნაწილიც, რომელსაც ჰსურს, ნებისმიერ ფასად მოაცილოს ქვეყანას დღევანდელი კორუმპირებული მმართველები და „აღორძინების კავშირში" ამ მმართველებისადმი ალტერნატიულ მთავარ რეალურ ძალას ხედავს.

ისიც მოგეხსენებათ, რომ პატრიოტულად, დემოკრატიულად და პატიოსნურად განწყობილი ფართო მასის თვალში გარკვეული ნდობა აქვს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტრადიციული პარტიების და დღეს მათ სათავეში მდგომი ადამიანების რეკომენდაციებს იმის შესახებ, თუ როგორ განკარგონ თავისი ხმები არჩევნების პროცესში. ამ ადამიანთა რიცხვში, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მეც ვარ. ამიტომ მე არ მაქვს უფლება, არ მქონდეს აზრი ამ საკითხზე, და არც იმის უფლება მაქვს, უპასუხოდ დავტოვო ადამიანი, რომელიც კითხვას ასე მისვამს: „შევარდნაძის კორუმპირებული გუნდის გაძევება აუცილებელია. ჩემი ძირითადი მიზანი ამ არჩევნებში ესაა. მივცე თუ არა ხმა „აღორძინებას"?

ამიტომ იძულებული გახლავართ, დიდი ბოდიშის მოხდით შეგაწუხოთ და გთხოვოთ თქვენი პოზიციის გამოხატვა ჩვენი ქვეყნისათვის სასიცოცხლო რამდენიმე ძირითად საკითხზე, რათა შემეძლოს შეკითხვის დამსმელ მოქალაქეს პატიოსნურად და სრული დარწმუნებით ვუთხრა, „აღორძინების" პოზიცია პოლიტიკის დღევანდელი ყველაზე მწვავე პრობლემების დაძლევის საკითხებზე ჩვენი ქვეყნისათვის მისაღებად მესახება, მიუღებლად, ოპტიმალურად თუ მხოლოდ ერთ-ერთ შესაძლებლად სხვა შესაძლებელთა შორის.

ეს კითხვები შემდეგია:

**I. როგორ გესახებათ აფხაზეთის და ცხინვალის პრობლემის გადაჭრა?**

ჩვენ, საქართველოს სახალხო ფრონტს, მიგვაჩნია, რომ ქვეყნის ერთგულ ხელისუფლებას ამ პრობლემის გადაჭრა შეუძლია. სახელდობრ, იგი გადაიჭრება შემდეგი სახელმძღვანელო პრინციპების დაცვით და შემდეგი ნაბიჯების თანმიმდევრობით.

1. საქართველოს ინტერესთა გატარებას აფხაზეთისა და ცხინვალის პრობლემებთან მიმართებაში სჭირდება, პირველ ყოვლისა, შეუვალი იურიდიული თავდაცვა. ხელი არ მოეწეროს არცერთ დოკუმენტს, რომელიც აფიქსირებს რაიმე დათმობას სეპარატისტების, რუსეთის ან რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის ზეწოლის წინაშე. კონფლიქტი მიიჩნევა საქართველოს შინაგან პრობლემად, რომელიც რეგულირდება მხოლოდ საქართველოს მიერ, საერთაშორისოდ მიღებული უფლებადაცვითი ნორმების შესაბამისად.

2. საქართველოს თავის ინტერესთა დაცვისათვის ამ პრობლემასთან დაკავშირებით სჭირდება წაგებული „საპროპაგანდო ომის" განახლება და მოგება, სახელდობრ:

მსოფლიოს უნდა განემარტოს, რომ

ა) აფხაზეთი და ცხინვალის ზონა საქართველოს (ქართველი ერის) ეთნიკური ტერიტორიაა. არ არსებობს ანალოგია რუსულ-ჩეჩნურ და ქართულ-აფსუურ ან ქართულ-ოსურ ურთიერთობებს შორის.

ბ) მომხდარ ომში, რომელიც გრძელდება, მთლიანად დამნაშავენი არიან რუსეთი და მის მიერ ინსპირირებული სეპარატისტები.

გ) არ არსებობს საერთაშორისოდ მიღებული უფლებადაცვითი ნორმები, რომლებიც ხსენებულ საკითხებში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ინტერესთა წინააღმდეგ იყოს მიმართული (პირიქით).

დ) საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების გეგმა კონფლიქტის მოგვარებისა საკმარისად გაითვალისწინებს ყველა დაინტერესებული ჯგუფის ინტერესებს. ოსებისათვის ეს გეგმა არ შეიძლება გასცდეს ე. წ. ფუნქციური ავტონომიის (და არა ტერიტორიულის) ფარგლებს. აფხაზეთისათვის ეს არის ტერიტორიული ავტონომია. მაგრამ აფხაზეთი ვერ განხილება, როგორც აფსუების ქვეყანა, არამედ იგი ჯერ არის ქართველი ერის — ამ ტერიტორიის მთელი ფეოდალური ისტორიის (და არქეოლოგიის) ერთადერთი შემქმნელის — ეთნიკური ტერიტორია, და შემდეგ — აფსუების ეთნიკური ტერიტორია, რამდენადაც დღეს ეს ერთადერთი ტერიტორიაა, სადაც აფსუებს თავისი ეროვნული თვითრეალიზაცია და თვითდამკვიდრება ძალუძთ.

ცხინვალის პრობლემასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია (და ვალდებულია) თავისი მსჯელობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ან სხვა ქვეყნებთან, რომლებიც „რეკომენდაციების" მოცემას გვთავაზობენ ან გვაძლევენ, დაეყრდნოს შემდეგ ურყევ არგუმენტებს: არ არსებობს საერთაშორისოდ მიღებული ნორმა, რომელიც მოითხოვდეს, რომ ადგილობრივ ეთნიკურ უმრავლესობას ტერიტორიულ-პოლიტიკური ავტონომია ეძლეოდეს. მით უმეტეს, არ არსებობს ნორმა, რომ ისეთი ერის წარმომადგენელ ადგილობრივ უმრავლესობას, რომელსაც დედამიწაზე თავისი ქვეყანა აქვს, მეორე ეროვნული ტერიტორია ეძლეოდეს ავტონომიის სახით. ადამიანთა ეროვნული თვითგამორკვევა (თვითგანსაზღვრა) არ გულისხმობს იმ ტერიტორიის სტატუსის გამორკვევას (განსაზღვრას), რომელზედაც ეს ადამიანები ცხოვრობენ. ასეთი ნორმა ვერც იარსებებს, რადგან, თუ მოცემული ტერიტორიის პოლიტიკური სტატუსი დამოკიდებული იქნება მასში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების დინამიკაზე (ვინ გამრავლდა, ვინ ვერ გამრავლდა და ა. შ.), ეს გარდუვალად გამოიწვევს ყოველი ეროვნული (ეთნიკური) ჯგუფის შიშს დანარჩენთა დემოგრაფიული კეთილდღეობის (მისი გამრავლების) წინაშე და ამ შიშზე დამყარებულ ეთნიკურ წმენდებს ან მათ მცდელობებს მთელს მსოფლიოში.

ერი ტერიტორიას კარგავს და იძენს მხოლოდ ომის შედეგად, და არა სხვაგვარად. „ოსეთი" საქართველოში ომის შედეგად არ შექმნილა. იგი შეიქმნა მხოლოდ უცხო ოკუპანტის (რუსი ბოლშევიკების) ძალით და არც ერთ საათს არ უარსებია რუსეთის შეიარაღებული ძალის იქ ყოფნის გარეშე.

„სამხრეთ ოსეთის" არსებობის აღიარებისა და „დაკანონებისთვის" ბრძოლა სხვა არა არის რა, თუ არა საქართველოს ტერიტორიის მიტაცებისათვის ბრძოლა. საქართველოს სახალხო ფრონტი თვლის, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფალნი, რომლებიც არ ეკამათებიან ზემოხსენებული არგუმენტებით „ეუთოს" საქართველოს მისიის „რეკომენდაციას" საქართველოში „სამხრეთ ოსეთის" შექმნის შესახებ და ოფიციალურ გამოსვლებში ხმარობენ უკანონო გამოთქმას „სამხრეთ ოსეთი", ეკუთვნიან ყველაზე უარეს მოღალატეთა რიცხვს საქართველოს მრავალათასწლიანი ისტორიის მანძილზე.

3. აფხაზეთისა და ცხინვალის პრობლემის გადაჭრისათვის აუცილებელია რუსეთის შეიარაღებული და სხვა სახის ჩარევის ბლოკირება

რუსეთის მიმართ საპროტესტო ნოტით, გაეროს სახელზე ჩივილით, ჰააგის სასამართლოში ჩივილით და ყველა მისაწვდომი საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი მიმართვით იმის განცხადება, რომ რუსეთი თავისი რეგულარული შეიარაღებული ძალების საშუალებით და თავისი შეიარაღებული მოქალაქეების საშუალებით აწარმოებს ომს საქართველოს წინააღმდეგ.

4. აფხაზეთისა და ცხინვალის პრობლემის გადაჭრისათვის აუცილებელია რუსეთის შეიარაღებული ძალებისაგან და დიდმასშტაბიანი აგენტურისაგან საქართველოს შეიარაღებული ძალების ზურგის გაწმენდა

რუსეთს უნდა წარედგინოს და საერთაშორისო ორგანიზაციებს უნდა ეცნობოს საქართველოს ხელისუფლების კატეგორიული მოთხოვნა რუსეთის სამხედრო ბაზების დაუყოვნებლივი გაყვანის შესახებ (რასაც არსებულ პირობებში მიზნის მიღწევის სრული გარანტია აქვს). უნდა განხორციელდეს ამ ბაზების მაქსიმალური ბლოკირება პოლიციის ძალების მიერ წინასწარ გამოცხადებული რეჟიმით. რუსეთის აგრესიის სრულ შეწყვეტამდე უნდა შეჩერდეს საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ტრანზიტული ტვირთების გატარება.

5. აფხაზეთისა და ცხინვალის პრობლემის გადაჭრისათვის აუცილებელია შეიარაღებული ძალების შექმნა

საქართველოს შეიარაღებული ძალების შექმნა (რაც შესაძლებელია ბიუჯეტის გაჯანსაღების შემდეგ) აუცილებელი პირობაა აფხაზეთის და ცხინვალის პრობლემათა გადაჭრისა: ან შეიარაღებული ძალით ან მოლაპარაკებით შეიარაღებული ძალის ფონზე.

6. აფხაზეთისა და ცხინვალის პრობლემის გადაჭრისათვის აუცილებელია საქართველოს გამოსვლა „ესენგედან"

რუსეთის ჩარევისათვის ყოველგვარი საბაბის მოსახსნელად აუცილებელია საქართველოს „ესენგეში" გაწევრიანების საპარლამენტო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

7. და ბოლოს, აფხაზეთისა და ცხინვალის პრობლემის გადაჭრისათვის აუცილებელია რუსეთისთვის საქართველოს დაუფლების ზოგადი პერსპექტივის აღკვეთა

აფხაზეთისა და ცხინვალის პრობლემათა შესახებ რუსეთთან ყოველგვარი მოლაპარაკების და სხვა კონტაქტის პროცესში საჭიროა იმის გათვალისწინება და წანამძღვრად მიღება, რომ რუსეთი საქართველოსთან საერთო ენის გამონახვის პოლიტიკას აირჩევს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაკარგავს აფხაზეთის პლაცდარმიდან ფოთის დაუფლების და ცხინვალიდან ახალქალაქისკენ სამხედრო ძალით გზის გაკაფვის იმედს. ამიტომ ამ ორი პრობლემის გადაჭრის აუცილებელი პირობაა რუსეთისათვის საქართველოში პოზიციების გაფართოების ყოველგვარი იმედის გამორიცხვა.

ამ ნაბიჯების განხორციელება, საქართველოს სახალხო ფრონტის აზრით, იძლევა პრობლემის გადაჭრის გარანტიას. ბრძანდებით თუ არა ამავე აზრისა თქვენც? თუ არა, მაშინ როგორია თქვენი ამდენადვე დაკონკრეტებული გეგმა?

**II. როგორ გესახებათ საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გატანის და საქართველოდან რუსეთის შეიარაღებული ძალების გაყვანის საკითხი?**

ჩვენ, საქართველოს სახალხო ფრონტს, მიგვაჩნია, რომ ამ ბაზების გაყვანა აუცილებელია, და აი, რატომ: ამ ბაზებს საქართველო არ აკონტროლებს: რა იარაღია იქ (ქიმიურისა და ბირთვულის ჩათვლით), რომელ ქვეყანაზეა დამიზნებული და როდის ამოქმედდება, ეს საქართველომ არ იცის. თუნდაც იცოდეს, საქართველოს საშუალება არა აქვს, რუსების მიერ ამ იარაღის გამოყენებას ხელი შეუშალოს. ეს ნიშნავს, რომ საქართველო ყოველდღიურად დგას ორი სასიკვდილო საშიშროების წინაშე:

ა) საქართველოში მეზობელ ან შორეულ სახელმწიფოზე დამიზნებული ბირთვული რაკეტების დგომა იწვევს იმას, რომ იმ სახელმწიფოშიც საქართველოზე დამიზნებული ბირთვული რაკეტები იდგმება. ყოველ წუთს შესაძლებელია მათი გასროლა მოხდეს.

ბ) თუ საქართველოდან მოხდება იარაღის გამოყენება სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ, საქართველო ითვლება აგრესორად და იმ სხვა სახელმწიფოს უფლება ეძლევა არა მხოლოდ საქართველოს წინააღმდეგ ომისა, არამედ მისი ოკუპაციისაც (დაპყრობისა).

ამგვარად, საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ბაზების ყოფნის შედეგად საქართველო ყოველდღიურად შეიძლება ჩათრეული აღმოჩნდეს დიდ ომში. ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ რუსეთს ახლო ალმოსავლეთში ომი მოელის. ამავე დროს პრაქტიკულად გამორიცხულია, რუსეთმა ახლო ხანებში რომელიმე დიდი ომის მოგება შეძლოს. მაშასადამე, საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების ყოფნა იმას ნიშნავს, რომ საქართველო ყოველ დღე შეიძლება აღმოჩნდეს ჩაბმული დიდ ომში წაგებულის მხარეზე.

გარდა ამისა, რუსეთის სამხედრო ბაზები ოფიციალური „სახურავია", ანუ თავშესაფარია რუსეთის სამხედრო დაზვერვისათვის (გრუ), რომელსაც საქართველოში მრავალათასიანი აგენტურა ჰყავს და რომელიც დღეს საქართველოში ე. წ. დესტაბილიზაციის ანუ ყაჩაღობის, სამოქალაქო ომების, სეპარატისტული ბანდფორმირებების, ტერაქტების და ანტისახელმწიფოებრივი შეიარაღებული მოქმედების სხვა სახეების ძირითადი ორგანიზატორია. რუსეთის ბაზების ყოფნა საქართველოში იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა შინაგანი დესტაბილიზაციის ახალი აფეთქების მუდმივი საშიშროების წინაშე დგას.

1993 წლის 1 ივნისს საქართველოს პარლამენტმა ეროვნული დეპუტატების ინიციატივით მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც რუსეთის უკანასკნელ სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს ტერიტორია უნდა დაეტოვებინა 1995 წლის 31 დეკემბრამდე. საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას დღემდე არ მიუმართავს რუსეთისათვის სათანადო მოთხოვნით ამ დადგენილების შესრულების შესახებ. ეს არის შევარდნაძისა და მისი პარტიის ერთ-ერთი დიდი ღალატი საქართველოს წინაშე. ეს ღალატი გაგრძელდება მანამდე, სანამ ისინი ხელისუფლებაში არიან.

**III. როგორ გესახებათ „ესენგედან" საქართველოს გამოსვლის საკითხი?**

ჩვენ, საქართველოს სახალხო ფრონტს, ეს საკითხი გვესახება შემდეგნაირად:

საქართველოს პარლამენტი ბათილად აცხადებს 1994 წლის დადგენილებას „ესენგეს" წესდებასთან საქართველოს შეერთების შესახებ, როგორც პროცედურის დარღვევით მიღებულს (მას სჭირდებოდა ხმათა ორი მესამედი, მაგრამ მიღებულ იქნა მხოლოდ უბრალო უმრავლესობით, 126 ხმით)

**IV. როგორ გესახებათ დღევანდელი ეკონომიკური კრიზისიდან საქართველოს გამოყვანის გზა?**

ჩვენ, საქართველოს სახალხო ფრონტს, ამ ამოცანის გადაჭრა გვესახება შემდეგნაირად:

საქართველოში ტარდება გონივრული და ზომიერი პროტექციონიზმის ფრთხილი პოლიტიკა, რათა საქართველოს წარმოებამ (სასოფლო-სამეურნეომ და სამრეწველომ) მტკიცე და შეუვალი პოზიცია მოიპოვოს შინაგან ბაზარზე.

**V. როგორია თქვენი დამოკიდებულება საქართველოს „ფედერალიზაციის" გეგმისადმი, რომლის გათრევასაც შევარდნაძის ადმინისტრაცია ცდილობს?**

საქართველოს სახალხო ფრონტი თვლის, რომ ეს არის საქართველოს ფაქტობრივი დაქუცმაცების, ქვეყნისა და ეროვნული ცნობიერების გახლეჩის, შუა საუკუნეებთან საქართველოს დაბრუნების გეგმა. აჭარისა და აფხაზეთის ავტონომია საჭიროა (მაგ ამოცანებზე აქ სიტყვას არ ვაგრძელებთ), მაგრამ არც სხვა ავტონომიების გაჩენა, არც, მით უმეტეს, ფედერალური წყობა საქართველოში მისაღები არ არის.

უმორჩილესად გთხოვთ, დროებით დაივიწყოთ მიმდინარე დისკუსიათა სიმწვავე და მისით გამოწვეული სიტყვიერი დაპირისპირებები და ჩამოაყალიბოთ თქვენი პოზიცია, რათა საქართველოს რიგითი მოქალაქე და პოლიტიკაში ჩაბმული ადამიანიც გაანთავისუფლოთ გაურკვევლობისაგან ამ საკითხში.

თუ პატივს დაგვცემთ და ჩვენს თხოვნას შეისმენთ, თქვენი პასუხი სრულად გამოქვეყნდება გაზ. „საქართველოს" უახლოეს ნომერში.

*ულრმესი პატივისცემით*
*ნოდარ ნათაძე*
*საქართველოს სახალხო ფრონტის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე.*

# „სხვაგან მოვიპარე, თქვენთან ვხარჯავ"

მომავალი საპარლამენტო არჩევნებისათვის „მონკავშირს" („მოქალაქეთა კავშირს") ორი ძირითადი იარაღი აქვს გამზადებული. ერთია არჩევნების ტოტალური (ანუ ყოვლისმომცველი) გაყალბება, მეორეა ხელოვნურად ორგანიზებული გაჭირვებისაგან გატანჯული ამომრჩევლების მოსყიდვა. პირველი მიიღწევა ორი მეთოდით: სიების გაყალბებით (ანუ სიებში ყალბი გვარების შეტანით და მათი „ბიულეტენების" ჩაგდებით) და მიცემული ხმების დათვლის ფალსიფიკაციით. მეორე ხერხსაც ორი სახე აქვს: ამომრჩეველთა პირდაპირი მოსყიდვა ცალ-ცალკე (თითოს რამდენიმე კილო ფქვილი, შაქარი, მუქთი ჰუმანიტარული დახმარება და სხვა) და ამომრჩეველთა არაპირდაპირი მოსყიდვა კოლექტიურად (მაგალითად, ხიდის გაკეთება, გზის მოასფალტება, წყლის გამოყვანა და ა. შ.). ორსავე შემთხვევაში ხმათა მიღების პრეტენდენტის მსჯელობა ასეთია: „მოვიპარეთ თუ არ მოვიპარეთ, რა თქვენი საქმეა. თუ მოვიპარეთ, სხვაგან მოვიპარეთ. ახლა კი თქვენთან ვხარხჯავთ". კანონი რომ ამომრჩეველთა ამგვარ მოზიდვას სასტიკად კრძალავს, ეს არც „მონკავშირს" აღარდებს და არც კანონის გუშაგებს.

ერთ-ერთ რაიონში (და, ალბათ, არა მხოლოდ ერთში) მაჟორიტარი დეპუტატობა განუზრახავს „მონკავშირის" ერთგულ ერთ-ერთ ე. წ. „ჩარჩოიან" ქურდს, რამდენიმე კაცის მკვლელს, რომელიც აგერ რამდენიმე თვეა რაიონში წინასაარჩევნო „ქველმოქმედებას" ეწევა. სხვა რაიონში (და, ალბათ, არა ერთში) მაჟორიტარობას უმიზნებს თავისივე კოლეგების მიერ „ფულის ტომრად" მონათლული მოლვაწე, კოკა-კოლას ბოთლივით ჩამრგვალებული „პოლიტიკოსი-მოღვაწე", რომელსაც სულ ახლო წარსულში სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობები ეკავა (წარმოშობით, რასაკვირველია, ისიც კომუნისტურ ნომენკლატურას ეკუთვნის). ამ ამხანაგის ლოგიკაც, რაღა თქმა უნდა, იგივეა, რაც მისი ზემოხსენებული „ჩარჩოიანი" თანამოსაქმისა. ოღონდ მისი „საქველმოქმედო" დანახარჯი ცოტა არ იყოს განსხვავებული მასშტაბისაა. მასში შედის, — არც მეტი და არც ნაკლები — რკინა-ბეტონის ხიდის აგება და გზის ერთი მონაკვეთის მოასფალტება. რა ფულით? ამას სიდინჯით განთქმული ადგილობრივი ამომრჩეველნი არ კითხულობენ. მაგრამ იმედია, იკითხავენ. რადგან ის ფული სხვაგან ნაშოვნი არ გახლავთ. იგი მთელ საქართველოში და, მაშასადამე, იმ კონკრეტულ ლამაზ რაიონშიც „მონაგარი" გახლავთ.



როგორაა მონაგარი? ახლავე მოგახსენებთ. რაიონში დაახლოებით 20000 მაცხოვრებელია. დეპუტატობის მაძიებლის პარტიის მიერ მითვისებული მხოლოდ საგარეო ვალების სახით საქართველოს თითო მოქალაქეს (ახალშობილის ჩათვლით) დღეს 600 დოლარი პროცენტიანი საგარეო ვალი ადევს, რომელსაც არავინ ჩამოსწერს და არავინ აპატიებს. თუ „მონკავშირის" ბატონობა საქართველოში კიდევ 4 წლით გაგრძელდება, ეს ვალი ეკონომისტების გაანგარიშებით თითო სულ მოსახლეზე 2000 დოლარამდე აალწევს. მაშასადამე, ოცი ათას ადგილობრივ მოსახლეს ბატონი პრეზიდენტის პარტიამ უკვე 12 მილიონი დოლარი ამოაცალა ჯიბიდან და მომავალ ოთხ წელიწადში (თუკი დარჩა) კიდევ 28 მილიონ დოლარს ამოაცლის. ეს მხოლოდ უნაშთოდ ჩაჯიბებული საგარეო სესხების სახით. ახლა სხვა იანგარიშეთ: გაზიდული ხე-ტყე, განიავებული საწარმოები, 13 მილიარდი 1991 წლის მანეთი მოქალაქეთა პირად ანგარიშებზე, საზღვარგარეთის ბანკებში გადამალული 20-70 მილიარდი დოლარი, ჰიდროელექტროსადგურები, რომლებიც ახლა ჩალის ფასად იყიდება! ხიდი და გზის მოასფალტება, ბევრი ბევრი, რამდენიმე ასეული ათასი დოლარი ღირს. ეს თანხა ამ რაიონის მცხოვრებთაგან უკვე მოპარული და უახლოეს ოთხ წელიწადში მოსაპარავი თანხის ერთ პროცენტს თუ შეადგენს!

საქართველოს სახალხო ფრონტს უნდა, რომ საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში, ეს მარტივი არითმეტიკა წარედგინოს რაიონის მაცხოვრებლებსაც და პატივცემულ პრეტენდენტსაც. ამიტომ სახალხო ფრონტი სთხოვს თავის ერთ-ერთ უძველესსა და უერთგულეს წევრს, ადგილობრივ ბიზნესმენს ბატონ თენგიზ გოგორელიანს კენჭი იყაროს მაჟორიტარ დეპუტატად ზემოხსენებული რაიონიდან და მოუწოდოს მეზობლებს, ჩალის ფასად არ დათმონ თავისი ხმები, რომლებიც რაიონის საქმესაც და საქართველოს საქმესაც სჭირდება. ამ თხოვნით ბრძანდებოდა ამ რამდენიმე დღის წინ აღნიშნულ რაიონში სახალხო ფრონტის წევრთა ჯგუფი ბატონ ნ. ნათაძის ხელმძღვანელობით. იმედი გვაქვს, ბატონი თენგიზ გოგორელიანი არ იტყვის უარს ამ მძიმე ტვირთის აღებაზე.

*ნ. ნოდარაშვილი*

# GIFA — რეტროსა და პერსპექტივაში

საქართველოში მიმდინარე ფსევდორეფორმების უთავბოლობით შეწუხებულ მოსახლეობას მხედველობიდან გამორჩა, რომ დღემდე არ არსებობს დოკუმენტად გამოცემული სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, რომელიც მსოფლიოში ცივილიზებული ქვეყნების ერთადერთი ნიშანია. სწორედ აღნიშნული პროგრამის შემოქმედად მოგვევლინა საქართველოს საერთაშორისო ფედერაცია **GIFA**, რომელიც დაარსდა 1998 წლის 30 მარტს დამფუძნებელ კონფერენციაზე. არის საერთაშორისო არასამთავრობო პროფესიონალური კავშირი. მასში ნებაყოფლობით ერთიანდებიან ხელოვნების მუშაკები, კულტურის სფეროში მომუშავე სხვა პროფესიის ადამიანები, ფიზიკური და იურიდიული პირები. ამჟამად ფედერაციის საქმიანობაში გამოიკვეთა სამი მიმართულება: საქველმოქმედო, შემოქმედებითი და საგანმანათლებლო საქმიანობა. ჩამოყალიბების პროცესშია იურიდიული და საინფორმაციო სექტორები.

კინოს სახლში შედგა ჟურნალისტების შეხვედრა ფედერაციის თავმჯდომარესთან, ბატონ **გიორგი ლევაშოვ-თუმანიშვილთან.** საუბრის მთავარი თემა **GIFA**-ს პროგრამა სიმბოლური სახელწოდებით „ოქროს საწმისის დაბრუნება“ გახლდათ, რაც ბატონ გიორგის თქმით, ნიშნავს:

— დავუბრუნდეთ იმ მივიწყებულ პირველსაწყისებსა და ღირებულებებს, რომლებიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში განსაზღვრავდნენ ჩვენს ადგილსა და როლს მსოფლიო კულტურულ და ეკონომიკურ განვითარებაში.

საამისოდ საჭიროა საზოგადოებამ და სახელმწიფომ ცნონ კულტურის, როგორც დარგის, პრიორიტეტი, დარგისა, რომელსაც შეუძლია ჭეშმარიტად აალორძინოს ეკონომიკა. აუცილებელია მოხდეს მისი სრულმასშტაბიანი პრივატიზაცია, რასაც ბუნებრივად მოჰყვება კანონმდებლობით ზურგგამაგრებულ ამ დარგში ინვესტიციების მოზიდვა.



ეჭვი არ გვეპარება, რომ ჩვენს ქვეყანაში, სადაც დღემდე უჩვეულოდ არის შეხამებული ევროპული და აზიური ტრადიციები და წეს-ჩვეულებანი, ალპური ზონები და ცხელი სუბტროპიკები, ქვეყანა, რომელსაც მრავლად შემორჩენია პატრიარქალური ურთიერთობანი და სწრაფად მიიწევს წინ მოწინავე ტექნოლოგიებისაკენ, მეტად მიმზიდველი იქნება მთელი მსოფლიოს ინვესტორებისათვის. ისინი მუდამ მზად არიან დიდი სახსრები დააბანდონ ეკონომიკის მაღალშემოსავლიან დარგებში, რომელსაც სახელმწიფოებრივ დონეზე აქვთ მხარდაჭერა, დააბანდონ ყოველივე იმაში, რასაც აქვს გრძელვადიანი საერთოეროვნული პროგრამის ხასიათი.

ბატონი გოგი ამჟამად დაინტერესებულია:

აუდიტორია დაეთმოს იმ ხალხს, ვინც თავიდანვე პშაფ-ს წარმოადგენს და ვინც ჩემთან ერთად შექმნა იგი. აუცილებელია მათი პოზიციის დაფიქსირება. ესენი არიან ხელოვნებისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგის წამყვანი სპეციალისტები. ფედერაციასთან თანამშრომლობის დიდი სურვილი გამოთქვა გენერალ-ლეიტენანტმა ვალერი ჩხეიძემ, რომელიც სერიოზული მეცნიერია. აუცილებელია მათი აზრი ფართო მასებმა მოისმინონ.

აღსანიშნავია, რომ **GIFA** არ აპირებს იმოქმედოს, როგორც ორგანიზებულმა პოლიტიკურმა სტრუქტურამ, რომელსაც პარლამენტში არჩევის პრეტენზია აქვს, მაგრამ აქტიურ როლს ითამაშებს არჩევნებში.

— ჩვენ პოზიციას გავუზიარებთ ამომრჩევლებს და ვეცდებით ავუხსნათ ვის უნდა დაუჭირონ მხარი — გვითხრა ფედერაციის თავმჯდომარემ — დღემდე არ გაგვაჩნია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სრულფასოვანი ეროვნული კონცეფცია, მისი გეოპოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ბუნებრივი და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით. ეს იგივეა, უპიესოდ დადგა სპექტაკლი, უსცენაროდ გადაიღო ფილმი, სრულყო სამეცნიერო გამოკვლევა ნათლად გამოკვეთილი ამოცანის გარეშე. მომავალი საქართველოს ბედი დღეს წყდება, კიდევ 6 წელიწადს ვერ გაუძლებს. მე ომის დაწყებას არ ვგულისხმობ, უბრალოდ, შეიცვლება ქართველის ფსიქოლოგია და ის იქნება სულ სხვა ეროვნება, მით უმეტეს, თუ აღდგება აბრეშუმის გზა. უპირველეს ყოვლისა, ქვეყანას ჩვენვე უნდა გავუფრთხილდეთ, სხვანაირად ვერ გადავრჩებით.

ბატონ გოგისთან ერთად ჟურნალისტებს მასპინძლობდნენ ნელი ჩაფიძე — **GIFA**-ს თანათავმჯდომარე (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი), ლიანა ბერიაშვილი (ისტორიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი) და დავით გეგეშიძე (ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი). მათ განავითარეს აზრი, რომ ფედერაციის წევრთა მიერ ჩამოყალიბებულმა იდეებმა და წინადადებებმა უკვე გაიარა პირველი შემოწმება ქვეყნის ყველა რეგიონის მოსახლეობასთან შემოქმედებით მუშაკთა შეხვედრების დროს, რომელიც მოეწყო საქართველოს დამოუკიდებლობის დღისა და ფედერაციის პირველი ყრილობის წინ. ქალბატონმა ლიანა ბერიშვილმა აღნიშნა:

— ხალხი გაგებითა და დიდი ინტერესით მოეკიდა ჩვენს კონცეფციას. სწორედ მათ გვირჩიეს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა ეკონომიკური და პოლიტიკური სიმწიფე განგვესაზღვრა ამ პროგრამისადმი მათი დამოკიდებულებით.

მინდა, კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა, რომ ლაპარაკია არა კულტურის შეშველებაზე შემოწირულობებითა და დოტაციებით, თუმცა, დღეს ესეც მეტად საჭიროა, არამედ ეკონომიკის ახალი კონკურენტუნარიანი დარგის — კულტურის ინდუსტრიის ჩამოყალიბებაზე, რომელსაც მისი როლისა და მნიშვნელობის შესაფერისი ნორმალური პირობები უნდა შევუქმნათ.

ზოგიერთმა ჟურნალისტმა პშაფ-ის წევრთა მიერ წამოყენებული პროგრამის განხორციელების მიმართ უნდობლობა გამოხატა და აღნიშნა: „თეორიებით საუბარი ადვილიაო“. მაშინ, ბატონმა გოგიმ სხვა ხერხს მიმართა და თვალსაჩინოებისათვის, შესაბამისი განმარტებით სქემატურად დაგვიხაზა და დაგვარწმუნა მათი პროგრამის განხორციელების რეალობაში, თუმცა, კამათი კვლავ გაგრძელდა.

ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს ხელოვანთა საერთაშორისო ფედერაციის მოღვაწეობა კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ჩვენი ქვეყნის მოწინავე ცივილიზებულ ხალხთა თანამეგობრობაში პოზიციების განმტკიცებისათვის.

***ირმა ურბეხაშვილი***

# შანსი მომეცით, შანსი მოგვეცით, რომ აგირჩიოთ

## ამომრჩევლის ღაღადი ყველა ეროვნული პარტიისადმი

*მესამე გვერდიდან*

ერე და კიდევ მინდა გავიმეორო: დღევანდელი პარლამენტის შემადგენლობა, ყველა იქ მოხვედრილი პარტიის ჩათვლით, ამომრჩეველთა ხმების 40 პროცენტით არაა არჩეული, დანარჩენ 60 პროცენტზე მეტი მას არ ეკუთვნის (არაფერი რომ არა ვთქვა ოთხ წელიწადში დაკარგულ ხმებზე). მაშასადამე, საჭიროა მათთან ყოველდღიური, თანამიმდევრული, აქტიური მუშაობა, მიუხედავად ამომრჩეველთა დიდი მასის პასიურობისა (უფრო სწორი ვიქნები, თუ ვიტყვი, მიუხედავად ლუკმა-პურისათვის ამომრჩეველთა ყოველდღიური შრომისა, ჭაპანწყვეტისა).

ხალხი ხედავს, რომ ყოველდღიურ რთულ და მომქანცველ სავაჭრო-სამეწარმეო საქმიანობაში მას პარაზიტების ჩამოშორება სჭირდება. ძლიერი საკანონმდებლო ბაზა და მისი აღმასრულებელი ხელისუფლება სჭირდება, ეროვნულ ნიადაგზე მდგარი, საქართველოს მოქალაქეთათვის თავდადებული ხელისუფლება სჭირდება, ვინც სახელმწიფოებრივ პრობლემებს თვითონ მოაგვარებს, რა თქმა უნდა, ხალხის მხარდაჭერითა და დახმარებით, მაგრამ გარკვეულ დროში, გარკვეულ გარემოებათა გამოყენებით, ხალხთან ერთად, მისი თანადგომით, მისი შთაგონებით.

სახელმწიფოს ეროვნულობისათვის იბრძვის რუსეთი (მრავალსაუკუნოვანი ქვეყანა), ეროვნულობისათვის იბრძვის ამერიკის შეერთებული შტატები (აბსოლუტურად არაეროვნული სახელმწიფო), ეროვნული იდეის მატარებელი იყო საუკუნეების მანძილზე და უნდა იყოს მომავალშიაც ქართული სახელმწიფო, მან რომ ტრადიციული ზრუნვა გამოიჩინოს თავისი ხალხისადმი, საქართველოს მომავალი მხოლოდ და მხოლოდ მისი ხელისუფლების ეროვნულობაშია. იცის ეს ხალხმა, იცის და ხელის შეწყობა სჭირდება მას, რომ საარჩევნო ყუთთან მისულმა თავისი ხმა სწორედ რომ ეროვნულ გაერთიანებას მისცეს, ქართული სახელმწიფოებრიობისათვის მებრძოლ პარტიებს.

ყოველ ამომრჩეველს ხმა ერთი აქვს, ეროვნული იდეის მატარებელი, საქართველოს ქართულ ნიადაგზე მოწყობის მსურველი კი ბევრი პარტიაა, რამდენადაც ვიცი. მათი უახლოესი და უპირველესი მიზნებია რუსის ჯარის გაყვანა საქართველოდან; აფხაზებთან და ოსებთან ქართველების კონფლიქტად წოდებული საქართველო-რუსეთის დაპირისპირებისათვის ნამდვილი სახელის დარქმევა, მსოფლიო საზოგადოებისათვის ჭეშმარიტების გაცხადება, რასაც თოფის ტყვიასავით უფრთხის დღევანდელი ხელისუფლება; ამ ნიადაგზე ქვეყნის ტერიტორიული და ეროვნული მთლიანობის აღდგენა; საქართველოს ხსნა სამთავროებად დაყოფა-დანაწილებისაგან; ქართული მრეწველობის ფეხზე დაყენებით, საქართველოს ფეხზე დაყენება; ქართული კულტურულ-ისტორიული ფასეულობების დაცვა და გამრავლება; მეცნიერებისა და განათლების განვითარება; ქართული ეროვნული, დემოკრატიული (მოქალაქეობის კანონი ორივეს შეთავსების საშუალებას იძლევა), სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა.

თუ ბევრ პარტიას ეს ერთი მიზანი აქვს, ხოლო ამომრჩეველს კი მხოლოდ ერთი ხმა, ერთი გამოსავალი რჩება — ეროვნული პარტიების გაერთიანება, იმისაგან დამოუკიდებლად სახალხო ფრონტია მისი სახელი, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება (ესენი დღესაც ერთად არიან), ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, დას-ი, საქართველოს გადამრჩენი მრეწველობა, საქართველო უპირველეს ყოვლისა, სახალხო თუ მრავალი სხვა. თუ გინდათ თქვენი თავი პარლამენტში იხილოთ, ხოლო პარლამენტში მოხვედრით საქართველოსთვის სასარგებლო და საჭირო ხელისუფლება ჩამოაყალიბოთ, გაერთიანდით და ერთიანი ფრონტით გამოდით მეოთხე ძალად. ვიყოთ რეალისტები. ცალ-ცალკე ვერც ერთი ვერ გადააბიჯებთ შვიდპროცენტიან ზღვარს, თუნდაც იმიტომ, რომ თქვენ მრავალი ხართ, ჩვენ, ამომრჩევლებს კი მხოლოდ ერთი ხმა გვაქვს, ერთს თუ მოგეცით ხმა, სხვა გვრჩება განზე. გამოსავალი თქვენთვისაც და ჩვენთვისაც ერთია — თქვენი გაერთიანება ერთ ბლოკში.

მოგიწოდებთ, იფიქროთ ამაზე, გაითვალისწინეთ, ცაიტნოტში ხართ, იჩქარეთ დინჯად და ქვეყნისათვის.

***რევაზ სალია***
*ამომრჩეველი*

# «ასპროცენტიანი» უაზრობა კანონია?!

არაო, უაზრობა არ შეიძლება კანონი იყოსო, იტყვის ნორმალურად მოაზროვნე კაცი. იტყვის და მართალიც იქნება, მაგრამ აბა წავიკითხოთ გაზეთში დაბეჭდილი:

„საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე“. ეს დამატება ასეთია:

„მუხლი 70. სახაზინო საწარმოების რეორგანიზაცია. 1. სახელმწიფო ან ადგილობრივმა თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებმა 1999 წლის 1 ივნისამდე სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან ან მის ტერიტორიულ ორგანოებთან ერთად უზრუნველყონ მათ მიერ შექმნილი სახაზინო საწარმოების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად ან სააქციო საზოგადოებად გარდაქმნა **(სახელმწიფოს ასპროცენტიანი წილობრივი მონაწილეობით) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით“** (ხაზს მე ვუსვამ — ვ. პ.). კანონს ხელს აწერს „საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 1999წ. 9 მარტი).

პირველ ივნისამდე არ მოხერხდა ეს გარდაქმნა, ახლა ამბობენ — პირველ სექტემბრამდეო. გამომცემლობა „განათლებამ“ უაღრესად ბუნდოვან სახელწოდებას („შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოება“) ამჯობინა სააქციო საზოგადოება „განათლებად“ გარდაქმნა, მაგრამ გაჩნდა დაბრკოლება: სააქციო საზოგადოება „განათლებას“ დამფუძნებლად ერთპიროვნულად აცხადებს თავს ქონების მართვის სამინისტრო, უგულებელყოფილია გამომცემლობის ასამდე თანამშრომელი. აშკარაა, ეს იმიტომ ხდება, რომ ზემოხსენებულ კანონში წერია: „სახელმწიფოს ასპროცენტიანი წილობრივი მონაწილეობით“ შეიქმნასო. აი, ეს გახლავთ ის უაზრობა, სათაურში რომ ვახსენეთ. როგორ შეიძლება წილი ასპროცენტიანი იყოს?! მეხუთეკლასელმა უკვე იცის, რომ „ასი პროცენტი“ და „მთლიანად“ ერთი და იგივეა. მაშ, ეს „წილი“ რისთვის ახსენეს? რისთვის და თვალის ასახვევად: ვითომც შენც გიდევს წილი, მაგრამ ასი პროცენტი სახელმწიფოსიაო. ეს არის ბოლშევიკური სოციალიზმი: რას მიქვია პიროვნება, ყველაფერი სახელმწიფოსია!

ეგეც არ იყოს, თუ გამომცემლობა „განათლება“ სააქციო საზოგადოებად უნდა გარდაიქმნას, უფრო უპრიანი იქნებოდა გამომცემლობის თანამშრომლებთან ერთად მისი დამფუძნებელი ყოფილიყო განათლებისა და არა ქონების გაყიდვის ... უკაცრავად, ქონების მართვის სამინისტრო. რაც გინდა იყოს, განათლების სამინისტროა და უთუოდ მიხვდებოდა, რომ „ასპროცენტიანი წილი“ არ არსებობს.

ნუ ვიზამთ ისე, ანდაზა რომ ამბობს: „მე და ჩემმა ქმარმა ვიანგარიშეთ და ჩემს მაზლს წილი არ ერგოო“.

***ვახტანგ პაიკიძე***

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერია...

*მესამე გვერდიდან*

სვლების შედეგად ვაკეზე — 20-ჯერ, ფერდობზე — 41-ჯერ, ხოლო საკმაოდ დახრილ ფერდობზე — 61-ჯერ), წინასწარ იყო სპეციალისტთა მიერ გათვლილი, მაგრამ მას, როგორც პარლამენტის აგრარულ კომიტეტში, ისე პრეზიდენტის მანამდელ შესაბამის უწყებებში ყური არავინ ათხოვა. შედეგი სახეზეა, იგი სავალალოცაა, სატირალიც და დასაფიქრებელიც. პრივატიზაციით მიღებული ჩემი კუთვნილი 1 ჰექტარი ხუთ ნაწილადაა დანაწევრებულ-დაქუცმაცებული. წარმოიდგინეთ სოფლად ასეთი სურათი, როცა თითოეული თავის ნაკვეთთან მანქანით თუნდაც ორი მხრიდან მაინც უნდა მივიდეს, რამდენი ფართობი დაიკარგა.

მახსოვს ერთ შეკრებაზე მოვიდა აკადემიკოსი, სოფლის მეურნეობის ქომაგი, ჩაის ამღები მანქანის გამომგონებელ-კონსტრუქტორი, ბატონი შალვა კერესელიძე. მან სასტიკად გაილაშქრა მიწის დაქუცმაცების და მისი ყიდვა-გაყიდვის საგნად ქცევის წინააღმდეგ: „კი მაგრამ, ფიქრდებიან იმაზე, რომ პრივატიზებისას მიწები აღარაა სახელმწიფოს ხელში, ქარხნები და საწარმოები კერძოთა ხელში გადადის, რაღა დარჩა სახელმწიფოს ხელში, და რა სახელმწიფოა ის სახელმწიფო, რომელსაც ფაქტიურად თავის ხელში აღარაფერი აღარა აქვს.

კანონით ამტკიცებენ და ალბათ სულ მალე მისცემენ ფერმერებს მიწის ყიდვა-გაყიდვის ნებართვას და მაშინ ნახეთ რა მოხდება. სულ მალე გაჩნდებიან ახალი კულაკები, ხოლო მათ გვერდით აღმოჩნდებიან მიწადაკარგული ადამიანები. მიწა უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ სახელმწიფოს და მისი ყიდვა-გაყიდვა არაფრით არაა გამართლებული".

ასეთი იყო ცნობილი სპეციალისტისა და ნაღდი მამულიშვილის აზრი და რჩევა გაგზავნილი ბატონ ედუარდ შევარდნაძის სახელზე. იქამდე მიაღწია თუ არა აკადემიკოს შალვა კერესელიძის ანალიტიკურმა მოხსენებითმა ბარათმა, რომელიც ასე იყო დასათაურებული: „რატომ დაეცა საქართველოს სოფლის მეურნეობა (მიზეზები) და როგორ გამოვიყვანოთ ის ამ მძიმე კრიზისული მდგომარეობიდან?" (1996წ. ოქტომბერი), ჩვენთვის უცნობია, ის კი ხილულია, რომ პიროვნებებმა, რომლებმაც გამოიჩინეს თავი „სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ" კანონის გათრევაში, როგორც ერთი, ყველა მათგანი პრეზიდენტის მიერ დაწინაურებული და წახალისებული იქნა.

დღემდე იკითხა ვინმემ, გადადგა პრაქტიკული ნაბიჯი, დასვა უბრალოდ კითხვა, როდემდე ვიყოთ ხელგაწვდილები პურისათვის? ალბათ, მანამდე, სანამ ჩვენს სოფელს არ აღვჭურვავთ საჭირო მექანიზაციით, მიწას — სასუქებით და თანაც არ გავაწყლიანებთ. დალოცვილო აგრარიკოსებო, პატივცემულო კოზმანაშვილო! მიწა გალეტილია, მიწა გამოგვალულია, თვეობით ელის ნამს ღმერთისგან, მაგრამ ამაოდ. ვგონებ დღესაა ასამოქმედებელი ერთი ცნობილი მეცნიერის მოწოდება: „ჩვენ ვერ დავუცდით ბუნების მოწყალებას, საჭიროა წავართვათ იგი მას".

ჩვენს მაგალითზე აუცილებელია ფულის დაბანდება სოფლის მეურნეობაში, ხელისუფლებას ფული სოფლისთვის კი არა, პენსიონერისთვის კუთვნილი 12 ლარი, პოლიციელისთვის კი ხელფასი ვერ მიუცია. ერთი წუთით გაჩერდით დიდუბის ხიდთან და ნახეთ საგზაო პოლიციელთა 15-20 კაციანი ჯგუფი როგორ აგროვებს ლარობით თანხას, რომელიც სალამოთი ნაწილდება დადგენილი წესისა და რიგითობის მიხედვით. ქვეყანაში არც ერთი მანქანათმშენებელი ქარხანა არ მუშაობს, არაა სათადარიგო ნაწილები, მწყობრიდანაა გამოსული ტრაქტორები, თივის ასალები სალეწები და კომბაინები, უკვე რვა წელიწადზე მეტია ახალს ვერაფერს ვთავაზობთ სოფელს, ძველებს კი ვერ ვარემონტებთ, ისმება ბუნებრივი კითხვა, ფულისა და ტექნიკის გარეშე რისი გამკეთებლები ვართ და როდის მოვიყვანთ პურს?! ამ ხელისუფალთა ხელში, ასეთი დამოკიდებულებით არასდროს.

ჩვენეულ შეჭირვებას ძალაუნებურად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკამდე მივყავართ. მითუმეტეს დღეს, როცა ასე ხელოვნურად ძაბავენ და ართულებენ ურთიერთობას ზოგ-ზოგნი აჭარასთან. „დროა ვაღიაროთ ჩვენი უკულტურობა და ჩამორჩენილობა და სასწავლად აჭარაში ჩავიდეთ". ნაკითხი თანამემამულე მიმიხვდა, თუ ვის ეკუთვნის ეს სიტყვები, ისე კი, ჩემმა მზემ, დღევანდელობაზეა, იგი ზედგამოჭრილი.

ოდნავი გადახვევა. არავისთვის საიდუმლო არაა, რომ 80-იან წლებამდე ჩვენი შეძლებული ცხოვრების გარანტი რესპუბლიკის აგროკულტურული დარაიონება და სტრატეგიული კულტურების მოყვანა-მოშენება იყო. სწორედ სოფლის მეურნეობა აწვდიდა ქალაქს სურსათსა და ნედლეულს, ყოველწლიურად რამდენიმე მილიარდი მანეთი შედიოდა ქვეყნის ხაზინაში. მიუხედავად იმისა, რომ სოფლად ბოგინობდა გამოთქმა: „ერთი პირის და ბევრი ხელის ჭირიმეო", იმის მიუხედავად, რომ დიდი სოციალური ხასიათის დარღვევებს ჰქონდა ადგილი, იმდენი პროდუქცია იწარმოებოდა, რომ დიდიც და პატარაც, ერიც და ბერიც დაპურებული იყო.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის, აგრეთვე სხვა შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელები რეფორმატორთა ყრილობებს მართავენ, პარტიებს ქმნიან და იმას კი ანგარიშს არ უწევენ, თუ რა ვნება და აუნაზღაურებელი ზარალი მოუტანა ქვეყანას არასწორად ჩატარებულმა აგრარულმა რეფორმებმა. რეფორმატორთა წევრები ის ადამიანები არიან, რომლებიც გამოვიდნენ ლოზუნგით, ავყაროთ ძველი რკინიგზები, გავანადგუროთ საქონლის სადგომები, გავანიავოთ კოლმეურნეობათა ქონება, კომბაინი, ტრაქტორი, ავტომანქანა და სხვ. იმას, ვინც მას მართავდა. ე. წ. რეფორმებმა მოსპო და გაანადგურა ასეულ ათასობით ჰექტარზე გაშენებული სტრატეგიული კულტურა, მოსპო სადედე ვაზის პლანტაციები, ხილის ნერგები, სათესლე და სამარცვლე მეურნეობები. დღემდე თვალი არავის აეხილა, რათა შემობრუნდეს პირით სოფლის მეურნეობის აღორძინებისაკენ, დანაშაულს დანაშაული ემატება, ქონების განკარგვის პროცესი გამალებული ტემპით მიიწევს წინ.

დიახაც, მადლობა ღმერთს, რომ ასეთი „რეფორმები" და „ბლიც-პრივატიზაცია" არ დაუშვეს ქვეყნის ერთ-ერთ მსხვილ რეგიონში — აჭარაში, სადაც მისმა თავკაცმა „აჭარის რესპუბლიკის რკინის კარმა", ასლან აბაშიძემ ხმამაღლა განაცხადა, რომ, „პრივატიზაცია და ინვესტირება გარდამავალ პერიოდშიც უნდა ემსახურებოდეს ხალხს, სახელმწიფო ინტერესებს და არ უნდა იმყოფებოდეს მასთან წინააღმდეგობაში". აქედან გამომდინარე, აჭარაში პირველ რიგში გატარდა წვრილი და საშუალო სიმძლავრის საწარმოთა პრივატიზირება კანონის მკაცრად დაცვით, ხოლო მსხვილი სტრატეგიული ობიექტების მართვა დაექვემდებარა სახელმწიფო რეგულირებას და მათი პრივატიზირება მოხდება დროთა განმავლობაში დანაკარგების გარეშე.

ასეთი ბრძნული გადაწყვეტილებებით იმართება მზიური აჭარა, რომელმაც აქაც, სოფლის მეურნეობაშიც გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. მუშაობა აჭარაში 1997 წელს დამუშავებული აგრარული კონცეფციის ძირითადი მიმართულებების საფუძველზე მიმდინარეობს.

... 1995-1996 წლებში ამოქმედდა თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი ციტრუსოვანთა ნაყოფის დახარისხების, დამცავი აპკით დაფარვისა და შეფუთვის ორი საწარმო.



1997 წელს შეიქმნა მშრალი ხილის წარმოების იტალია-საქართველოს ერთობლივი საწარმო „ბესანა და ჯორჯია".

1993-1995 წლებში ამოქმედდა უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილი ჩაის პროდუქციის დაფასოებისა და არომატიზირებული ჩაის დამამზადებელი ინგლის-ისრაელ-საქართველოს ერთობლივი საწარმო („სან ტრი").

დამუშავებულია, — აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგრარული კონცეფციის საფუძელზე — გარემოს დაცვის კონცეფციის ძირითადი მიმართულებანი (1998წ.), აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პროგრამა 2005 წლამდე პერიოდისათვის (1998წ.).

სატყეო მეურნეობის განვითარების პროგრამა 2005 წლამდე პერიოდისათვის (1998წ.).

საადგილმამულო ურთიერთობის სრულყოფისა და მიწის რეფორმის განხორციელების პროგრამა (1997წ.).

ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ჩამოყალიბდა 15 საკრედიტო კავშირი (1998წ.).

მართალია, აჭარის ლიდერს არ მოუწია რაიონებში ჩასვლა და მიწის კუთვნილების დამადასტურებელი ფურცლების გადაცემა, მაგრამ იგი სულაც არ აღელვებს არც ბატონ ასლან აბაშიძეს და მით უმეტეს, მოსახლეობას, რომლებსაც თვით მიწის პირად საკუთრებაში არსებობის დროსაც არც შინაური და არც გარეული არ აწუხებდა. აჭარელ გლეხს გამგებლობაში აქვს მამაპაპურად კუთვნილი მიწა, ხელთა აქვს 1998 წელს გამოცემული მოკლე იურიდიული ცნობარი „მიწის მესაკუთრე, მოიჯარე და კანონმდებლობა", „ცნობარი მიწის საკუთრებისათვის" (საკანონმდებლო აქტთა კრებული) (1998წ.), „აჭარის აგრომრეწვი: რეალობა და პერსპექტივა".

ტენდერით თუ კრედიტით აღებული მილიონები ქვეყანას არ ჰყოფნის, ვერა და ვერ „მოახერხა", რომ 8 წლის მანძილზე შემოტანილი მილიარდებიდან (2 თუ მეტი) საჭირო სახსრების სოფლის მეურნეობისათვის გაღება. არადა, ჩვენის აზრით, გადაუდებლად აუცილებელია უცხოური ქვეყნებიდან ქართული სოფლისათვის საჭირო ტექნიკისა და საწვავის შემოტანა გრძელვადიანი სესხით, ამაზე უარს არც ერთი ქვეყანა არ გვეტყვის (აკი არც გვითხრეს, მოგვცეს და იგი სოფლამდე არ მივიდა) და ჩვენც წელში გავიმართებით, როგორც იტყვიან, ჩიჩიაც ბევრი იქნება და ბაბაც. განა შეხსენებაა საჭირო, რომ სოფლის აღჭურვა სათანადო ტექნიკით, საწვავით, მელიორაციით, აგრომომსახურებითა და სასუქით ერთ-ერთი უტყუარი გზაა დაქცეული სოფლის მეურნეობის ალსადგენად.

სოფელს თავისი კვალიფიცირებული კადრი სჭირდება, აგრონომები, მექანიზატორები, მკვლევარები და სხვა სპეციალისტები, მათი გადამზადება კი სპეციალური კურსებით საერთოდ აღარ სწარმოებს.

ყველამ ბრწყინვალედ უწყის, რომ ჩვენთან კარგა ხანს გაუქმებული იყო მრეწველობის სამინისტრო, ჩვენი სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი. ისმება კითხვა, რატომ მოხდა ეს სასწაულებრივი ამბავი? იქნებ იმიტომ, რომ ძველიდან მოყოლებული დავა იმის შესახებ, რომ საქართველო სოფლის მეურნეობის ქვეყანააო, დღესაც გრძელდება, მაშინ როცა საქართველო დღეს სწორედ მრეწველობის ქვეყანაა — თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, გორი, ზესტაფონი, ჭიათურის, ზუგდიდის, ოზურგეთის, ფოთის, სენაკის ... და სხვა რაიონები ხომ წმინდა სამრეწველო ტიპისაა და მოწყობილობისაც. ამბობენ, აქაც ვილაცა საზღვარგარეთელ „მაგნატს" უბრძანებია, თუ გინდათ დაგეხმაროთ, მრეწველობის სამინისტრო გააუქმეთო და ჩვენებსაც ტაში დაუკრავთ (ტაშის დაკვრაში მაგრები ვართ, ხელისუფლებაში ხომ უპირატესად ისინი სხედან ხოლმე, ვისაც იგი ეხერხება და ტაშის დაკვრისაგან ხელის გულები აქვთ გადატყავებული). რა ქვეყანაა იგი ქვეყანა, რომელსაც თავისი მძიმე და მსუბუქი მრეწველობა არა აქვს? ისმება კითხვა. ჯერ ერთი, რატომ დავეთანხმეთ ასე ადვილად ამ უცნობ „მეგობარს" და მეორეც, ჩავფიქრებულვართ მაინც, რისთვის მოითხოვა ამ მბრძანებელმა ჩვენი მრეწველობის სამინისტროს გაუქმება, არაფერი არ ვიცით? როგორ გეკადრებათ, ვიცით. იგი ამერიკულ პროგრამაშია შეტანილი. მიზანი ის გახლავთ, რომ უფრო იოლად ჩაგვიგდონ ხელში და დიდხანს განვითარებადი ქვეყნის სტატუსით გვამყოფონ, ბოლომდე ამოგვხადონ სული.

ხელისუფლების უსუსურობის ყოფიდან კიდევ ერთ მტკივნეულ ასპექტზე უნდა გავამახვილოთ მკითხველის ყურადღება. ესაა მეცნიერული აზრის, ტექნიკური აზრის, ბიო-ქიმიური პრეპარატების, ქართველ კონსტრუქტორთა მიერ ტიტანური შრომის შედეგად შექმნილი ციცაბო ფერდობზე მომუშავე ტრაქტორის „მოზ-72კ" და „შახსი-0,9კმ" დანერგვა-გამოუყენებლობა. ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, მათი გამოყენებით ხომ ახალი ერა დაიწყებოდა, დადგენილებები მათი სერიული დამზადების თაობაზე 1978 წლიდან დაიწყეს, მაგრამ პატრონი არ აღმოჩნდა. რამდენმა ასეთმა გამოგონებამ ვერ მიიღო მწვანე გზა. დანაშაულის ტოლფასია ცნობილი მეცნიერის, აკადემიკოს, ბატონ რამაზ გახოკიძის მიერ შექმნილი მცენარეთა დაჩქარებული ზრდისა და მათგან მოსავლის უჩვეულო მატების, ეკოლოგიურად სრულიად სუფთა სტიმულიატორის იგნორირება. მის დანერგვაზე, რამდენადაც ვიცი, პრეზიდენტის ბრძანებაც კი დაიწერა, მაგრამ წლები გავიდა და ამ მიმართებით სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, როგორც იტყვიან, ხელი არ გაანძრია. რამდენი ასეთი ინიციატივა და გამოგონება დარჩა მეცნიერის კაბინეტში და საქაღალდეში?!

საქართველოს პრეზიდენტს საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწყობისათვის გული რომ შესტკიებოდა, პირადი საქმეების მოწესრიგებას არ ანაცვალებდა ამ უმნიშვნელოვანეს დარგს და მშენებელ ინჟინერს გასაპარტახებლად არ ჩაუგდებდა. ესაა სიმართლე და რეალობა. ვიცი, რომ სიმართლე არავის ეპიტნავება, კვლავ ერთხელ განიწმატდება პრეზიდენტი და მისი „მეგობარი" სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი, მაგრამ არაფრით ვანუგეშებ, ნათქვამია, „სიმართლის თქმა ჯანის სისაღეაო".

მიკვირს და გაკვირვებაზე პასუხი ვერ მიმიღია. შინაურ მღვდელს რატომ შევაქციეთ ზურგი. რატომ არ ვუჯერებთ და ანგარიშს არ ვუწევთ საკუთარ, ერთ დროს მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერებს, რატომ შევქმენით მათგან მტრის ხატი და საზღვარგარეთ ერთხელ შემთხვევით გაცნობილი კაცი რატომ მოვნათლეთ მეგობრად. საზღვარგარეთ ხშირად უაზრო ვოიაჟების დროს როგორც პრეზიდენტმა, ისე მისმა დასმამ, ბევრი მეგობარი შეიძინა. მათ დროდადრო მოსანახულებლად დროსა და სახსარს არ იშურებს, ბოლო შოუსას ამერიკასა და იაპონიაში 200-ზე მეტი ტაშის დამკვრელი და ამბის ჩამომტანი იახლა. სწორედ მათგან შევიტყვე, თუ როგორ დაუმოძღვრავს ჯორჯ ბუშს პრეზიდენტი: „მართალია, შევარდნაძე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, მაგრამ ჩვენ ზედმიწევნით ვიცოდით, ვისთანაც გვქონდა საქმე. მასთან იოლად გამოვნახეთ საერთო ენა და რაკილა უმალ მიგვიხვდა, რაც ერთობლივად უნდა გვეკეთებინა, ამიტომ დავმეგობრდითო!"

ამჟამინდელ ხელისუფალთა ხელში ყველაფრის გადაფასება მოხდა. ახლებურად აჟღერდა მეგობრის ცნება. შევარდნაძისეულად იქნა წაკითხული თვით „ვეფხისტყაოსანში" მოცემული მეგობრის შოთასეული გაგება. სულხან-საბა ორბელიანი ბრძანებს: „მეგობარი „ესე არის მიწყივ გაუყარი სათანადო მოყვასი, მარადის მას თანა მყოფი". ვაგლახ, რომ ბოლო 8 წელიწადში ბევრ ქართულ სიტყვას აზრი გამოეცალა, თორემ სიცოცხლის (70 წლის) მანძილზე ცხრა მთას იქეთ ერთხელ ან მაქსიმუმ ორჯერ შეხვედრილი კაცი რა შენი მეგობარია?!

ოღონდაც პრეზიდენტს პიტერ შოუ, ვალავი, ჰავიერ სოლანა, ბეიკერი და ძმანი მათნი კარგად ჰყავდეს და ქართველ მეგობარს არ დაეძებს ...

***იაკობ ახუაშვილი***
*საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი*

# საქართველოს ორგანული კანონი
# საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ

*დასასრული. დასაწყისი „საქართველო“ №32*

## თავი VII
## საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილე პარტიათა და საარჩევნო ბლოკთა, პარლამენტის წევრობის კანდიდატთა საქმიანობის გარანტიები

**მუხლი 43. საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და ოლქში წარდგენილი კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამები**

1. პარტიის, საარჩევნო ბლოკის პარლამენტის წევრობის კანდიდატს უფლება აქვს გამოვიდეს თავისი პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ოლქში წარდგენილ კანდიდატს კი — თავისი მომავალი საქმიანობის პროგრამით. პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ოლქში წარდგენილი კანდიდატის პროგრამა არ უნდა შეიცავდეს ომის და ძალადობის პროპაგანდას, არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალმომრეობით შეცვლის ან დამხობის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის, ეროვნული სიძულვილისა და მტრობის, რელიგიური დაპირისპირების მოწოდებას.

2. ცენტრალური საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების წინასაარჩევნო პროგრამების გამოქვეყნებას ოფიციალურ და ადგილობრივ გაზეთებში, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიები უზრუნველყოფენ საინფორმაციო მასალის გამოცემასა და გავრცელებას წარდგენილი პარტიული სიებითა და ოლქში რეგისტრირებულ კანდიდატთა სიებით, ამ კანდიდატების ბიოგრაფიული მონაცემებითა და წინასაარჩევნო პროგრამების ძირითადი დებულებებით, თუ აღნიშნული მასალა შესაბამის საარჩევნო კომისიას გადაეცემა არჩევნებამდე არა უგვიანეს 25-ე დღისა.

**მუხლი 44. საქართველოს პარლამენტის არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიისა და საარჩევნო ბლოკის რწმუნებული, პარლამენტის წევრობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირი**

1. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიასა და საარჩევნო ბლოკს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის შემდეგ შეუძლია ჰყავდეს თითო რწმუნებული ყოველ საარჩევნო ოლქში, რომელიც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რწმუნებულთან ერთად წარმოადგენს პარტიას, საარჩევნო ბლოკს საარჩევნო კომისიებთან, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებთან ურთიერთობისას. საოლქო საარჩევნო კომისიაში რწმუნებულს ნიშნავს პარტიის, საარჩევნო ბლოკის რწმუნებული ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

2. პარლამენტის წევრობის კანდიდატს შეუძლია ჰყოლიოს არა უმეტეს ათი ნდობით აღჭურვილი პირი, რომელნიც წარმოადგენენ ამ კანდიდატს საარჩევნო ურთიერთობაში.

3. პარლამენტის წევრობის კანდიდატი ნიშნავს ნდობით აღჭურვილ პირს და აძლევს მას შესაბამისი საარჩევნო კომისიისაგან მიღებულ მოწმობას.

4. პარტიას, საარჩევნო ბლოკს, პარლამენტის წევრობის კანდიდატს არჩევნებამდე ნებისმიერ დროს შეუძლია შეწყვიტოს თავისი რწმუნებულის, ნდობით აღჭურვილი პირის უფლებამოსილება და შეცვალოს იგი, რის შესახებაც უნდა აცნობოს შესაბამის საარჩევნო კომისიას. რწმუნებულმა, ნდობით აღჭურვილმა პირმა არჩევნებამდე ნებისმიერ დროს შეიძლება მოიხსნას უფლებამოსილება.

5. პარტიის, საარჩევნო ბლოკის რწმუნებულს, პარლამენტის წევრობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილ პირს საკუთარი განცხადებისა და სათანადო მოწმობის წარდგენის საფუძველზე არჩევნების შედეგების შეჯამებამდე მიეცემა უხელფასო შვებულება. ამასთან, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელს შეუძლია შეუნარჩუნოს მას საშუალო ხელფასი.

**მუხლი 45. საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობისათვის პარლამენტის წევრობის კანდიდატის გათავისუფლება საწარმოო თუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან**

1. პარლამენტის წევრობის კანდიდატს საკუთარი განცხადებისა და სათანადო მოწმობის წარდგენის საფუძველზე წინასაარჩევნო კამპანიის ვადით მიეცემა უხელფასო შვებულება. ამასთან, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელს შეუძლია შეუნარჩუნოს მას საშუალო ხელფასი.

2. რეგისტრირების შემდეგ პარლამენტის წევრობის კანდიდატი არ შეიძლება გაიწვიონ ნამდვილ სამხედრო სამსახურში, სამხედრო შეკრებებზე. თუ იგი ნამდვილ სამხედრო სამსახურში ან სამხედრო შეკრებაზეა, სამსახური შეწყდება არჩევნების დროს მომდევნო დღემდე. არჩეული პარლამენტის წევრი თავისუფლდება ნამდვილი სამხედრო სამსახურისაგან თავისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში.

**მუხლი 46. პარლამენტის წევრობის კანდიდატის ხელშეუხებლობა**

პარლამენტის წევრობის კანდიდატი არჩევნების შედეგების შეჯამებამდე არ შეიძლება მისცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დააკავონ, დააპატიმრონ ან გაჩხრიკონ, თუ პროკურატურის ორგანოების შეტყობინებაზე არ იქნა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანხმობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პარლამენტის წევრობის კანდიდატი დაკავებულ იქნა დანაშაულის ადგილზე, რის შესახებაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. თუ ცენტრალური საარჩევნო კომისია არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული პარლამენტის წევრობის კანდიდატი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

**მუხლი 47. წინასაარჩევნო აგიტაცია**

1. პარლამენტის წევრობის კანდიდატები თანასწორი უფლებით მონაწილეობენ წინასაარჩევნო კამპანიაში პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციის მომენტიდან.

2. საქართველოს მოქალაქეებს, პარტიებს, მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებებს, რწმუნებულებს, ნდობით აღჭურვილ პირებს გარანტირებული აქვთ შესაძლებლობა გასწიონ აგიტაცია პარტიის, საარჩევნო ბლოკის, პარლამენტის წევრობის კანდიდატების მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ.

3. საარჩევნო კომისია ხელისუფლებისა და მმართველობის შესაბამის ადგილობრივ ორგანოებთან, მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებებთან ერთად მოვალეა ხელი შეუწყოს წინასაარჩევნო შეხვედრების გამართვას, დროულად გამოაცხადოს მათი მოწყობის დრო და ადგილი.

4. შესაბამის საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის დღიდან პარტიას, საარჩევნო ბლოკს, პარლამენტის წევრობის კანდიდატს უფლება აქვთ დაამზადონ წინასაარჩევნო მოწოდებები, განცხადებები, წარწერები, ფურცლები, ფოტომასალები და ა.შ. (ტექსტში შემდგომ „პლაკატები“).

5. საოლქო საარჩევნო კომისიები შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებთან ერთად, არჩევნებამდე არა უგვიანეს 15 დღისა, უზრუნველყოფენ საინფორმაციო მასალის გამოცემასა და გავრცელებას. გასავრცელებლად სავალდებულოა პარტიული სიები, ოლქში წარდგენილ კანდიდატთა სია, კანდიდატთა ბიოგრაფიული მონაცემები, საარჩევნო პროგრამები. მასალის წარდგენისათვის დადგენილი ვადის გადაცილების შემთხვევაში დაიბეჭდება მხოლოდ კომისიაში არსებული ოფიციალური მონაცემები.

6. ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა შეიძლება აკრძალონ საარჩევნო პლაკატების გაკვრა ცალკეულ საზოგადოებრივ შენობებზე არქიტექტურისა და კულტურის ძეგლების დაცვის, მოძრაობის უსაფრთხოების მოსაზრებებით. აკრძალულია და ისჯება საქართველოს კანონმდებლობით საარჩევნო პლაკატების მოხსნა, ჩამოხევა, დაფარვა ან დაზიანება, თუ ეს პლაკატები აკრძალულ ადგილებში არ არის განლაგებული.

7. არჩევნების დღეს ყოველგვარი აგიტაცია, გარდა ხმის მისაცემი შენობის გარეთ ადრე გამოკრული საგიტაციო მასალისა, აკრძალულია.

8. საარჩევნო კამპანიის პერიოდში სახელმწიფო ტელევიზია და რადიო, წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნით, ვალდებულია უფასოდ გამოყონ ყოველდღიურად 3 საათი საეთერო დრო, რომელიც თანაბრად განაწილდება არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიასა და ბლოკებს შორის. აკრძალულია სახელმწიფო სატელევიზიო და რადიო კომპანიების მიერ საეთერო დროის გაყიდვა, კერძო სატელევიზიო და რადიო კომპანიების მიერ ნებაყოფლობით გამოყოფილი საეთერო დრო, უფასოც და ფასიანიც, დროის გამოყოფის პირობების გამოცხადებისა და შესაბამისი საარჩევნო კომისიისთვის მისი შეტყობინების შემდეგ, თანაბრად უნდა განაწილდეს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს შორის; რომელიმე მათგანის მიერ ამ დროის გამოუყენებლობის შემთხვევაში იგი სხვებზე არ გადანაწილდება. საეთერო დროის ფასი ყველასათვის ერთნაირი უნდა იყოს. შესაბამისი საარჩევნო კომისია პარტიებთან, საარჩევნო ბლოკებთან და ტელერადიო კომპანიების წარმომადგენლებთან ერთად უზრუნველყოფს გამოსვლების გრაფიკის შემუშავებას და დაცვას.

9. ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატებისათვის გამოყოფილი საეთერო დრო თანაბარი პირობებით უნდა განაწილდეს მათ შორის.

10. საარჩევნო კამპანიის პერიოდში, გარდა მისი ჩატარებისათვის გამოყოფილი დროის შუალედისა, იკრძალება საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრებისა და სხვა ოფიციალური პირების წინასაარჩევნო აგიტაციასთან დაკავშირებული გამოსვლა. იკრძალება აგრეთვე პრეზიდენტობისა და პარლამენტის წევრობის კანდიდატების გამოსვლა, თუ ეს დაკავშირებული არ არის ოფიციალურ ინფორმაციასთან.

11. საარჩევნო კამპანიის პერიოდში იკრძალება ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების, პოლიციისა და პროკურატურის ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა საკადრო გადაადგილება, გარდა მათ მიერ კანონის დარღვევის შემთხვევებისა.

12. საქართველოს პარლამენტის არჩევნების დღის დანიშვნის შესახებ ცნობის გამოქვეყნების დღიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე, არჩევნებში მონაწილე პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს, პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების კანდიდატებს, აგრეთვე ოლქში წარდგენილ კანდიდატებს, მათ რწმუნებულებსა და ნდობით აღჭურვილ პირებს ეკრძალებათ გადასცენ ამომრჩევლებს ფულადი სახსრები, საჩუქრები და სხვა სახის მატერიალური ფასეულობანი, ჩაატარონ საქონლის შეღავათიან ფასებში გაყიდვა, მიაწოდონ ან უფასოდ გაავრცელონ ნებისმიერი საქონელი, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული პროპაგანდისტული მასალისა, აგრეთვე დააინტერესონ ამომრჩევლები მათთვის ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირებით. ასეთი ფაქტის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურების შემთხვევაში არჩევნებში მონაწილე ამ პარტიის, საარჩევნო ბლოკის, პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია გაუქმდება შესაბამისი საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით.

**მუხლი 48. საჯაროობა არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისას**

1. პარლამენტის არჩევნებს საარჩევნო კომისიები ამზადებენ და ატარებენ ღიად და საჯაროდ. საარჩევნო კომისიები მოქალაქეებს აცნობენ თავიანთ მუშაობას, საარჩევნო ოლქებისა და უბნების შექმნას, საარჩევნო კომისიების შემადგენლობას, ადგილსამყოფელს, მუშაობის დროს, ამომრჩეველთა სიებს, არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების ნუსხას, მათ მიერ წარდგენილ პარლამენტის წევრობის კანდიდატთა და ოლქში წარდგენილ კანდიდატთა სიებს, მათ საარჩევნო პროგრამებს, აწვდიან ცნობებს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა შესახებ, აცნობენ არჩევნების შედეგებს.

2. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს რესპუბლიკურ და ადგილობრივ პრესაში გამოაქვეყნოს თავისი წინასაარჩევნო პროგრამა და პლატფორმა, ხოლო პარლამენტის წევრობის კანდიდატს — ადგილობრივ პრესაში გამოაქვეყნოს საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული წერილები, რისთვისაც შესაბამის გაზეთს უნდა მიაწოდოს პროგრამა და პლატფორმა არჩევნებამდე არა უგვიანეს 25 დღისა. ამ დოკუმენტების გამოქვეყნებისას დაცული უნდა იყოს მათი წარდგენის რიგითობა.

3. არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებით მასობრივი ინფორმაციის იმ საშუალებათა ნუსხას, რომლებიც უფასოდ აქვეყნებენ წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებულ მასალებს, და მათი მუშაობის წესს ადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

4. აკრძალულია არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება არჩევნებამდე ბოლო 10 დღის განმავლობაში.

## თავი VIII
## კენჭისყრის წესი და არჩევნების შედეგების დადგენა. არჩევნები გამოკლებული პარლამენტის წევრის ნაცვლად და მისი ადგილმონაცვლის განსაზღვრის წესი

**მუხლი 49. კენჭისყრის დრო და ადგილი**

1. საქართველოს პარლამენტის არჩევნების დღეს კენჭისყრა ეწყობა 7 საათიდან 20 საათამდე. საუბნო საარჩევნო კომისია კენჭისყრის დროსა და ადგილს ამომრჩევლებს აცნობებს არჩევნებამდე არა უგვიანეს 3 დღისა.

2. ხმის მიცემის დროს დაუშვებელია კენჭისყრის შენობის ჩაკეტვა და კენჭისყრის შეწყვეტა, გარდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ განსაზღვრული შემთხვევებისა.

3. საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში და საქართველოს სამხედრო ძალების სამხედრო ნაწილებსა და შენაერთებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე და ძნელად მისადგომ ადგილებში შექმნილ საარჩევნო უბნებში საუბნო საარჩევნო კომისიას შეუძლია კენჭისყრა დამთავრებულად გამოაცხადოს ნებისმიერ დროს, თუ ხმა მისცა სიაში შეტანილმა ყველა ამომრჩეველმა.

**მუხლი 50. კენჭისყრის მოწყობა**

1. კენჭისყრა ეწყობა სპეციალურად გამოყოფილ ისეთ შენობებში, რომლებიც არ არის მხოლოდ ერთი პარტიის, საარჩევნო ბლოკის სარგებლობაში. ამ შენობებში უნდა იყოს ფარული კენჭისყრისათვის მოწყობილი საკმაო რაოდენობით კაბინები ან ოთახები, განისაზღვროს საარჩევნო ბიულეტენების გაცემის ადგილები და დაიდგას საარჩევნო ყუთები. საარჩევნო ყუთები ისეთნაირად იდგმება, რომ ამომრჩეველი მათთან მისვლისას აუცილებლად გადიოდეს ფარული კენჭისყრის კაბინებს ან ოთახებს. კენჭისყრის კაბინებში (ოთახებში) უნდა იყოს კალმისტრები. კენჭისყრის

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*

# საქართველოს ორგანული კანონი
# საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ

მეშვიდე გვერდიდან

შენობებსა და ოთახებში გამოკრული უნდა იყოს პარტიული სიები და შესაბამის საარჩევნო ოლქში წარდგენილ კანდიდატთა სიები, აგრეთვე ინსტრუქცია, თუ როგორც უნდა შეივსოს საარჩევნო ბიულეტენი.

2. თუ საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი პარტია, საარჩევნო ბლოკი, პარლამენტის წევრობის კანდიდატი არჩევნებში აღარ მონაწილეობს, სათანადო განცხადება თვალსაჩინო ადგილას უნდა იყოს გამოკრული, როგორც საარჩევნო უბანში, ასევე ხმის მისაცემ კაბინებში (ოთახებში).

3. პასუხისმგებლობა კენჭისყრის ორგანიზაციისათვის, ამომრჩეველთა ნების ობიექტური გამოვლინების, კენჭისყრის ფარულობის უზრუნველყოფისა და შენობის მოწყობისათვის ეკისრება საუბნო საარჩევნო კომისიას, ხოლო პერსონალურად — კომისიის თავმჯდომარეს. არჩევნების დღეს, კენჭისყრის შენობაში წესრიგის დაცვას ხელმძღვანელობს და მასზე პასუხისმგებელია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. წესრიგის დაცვის მიზნით მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა კენჭისყრის შენობაში დასწრების უფლების მქონე ყველა პირისა და ამომრჩევლისათვის. ხმის მისაცემ შენობაში დაუშვებელია შეიარაღებულ პირთა შესვლა. ხმის მისაცემ შენობაში წესრიგის დასაცავად გამოყოფილი პოლიციელი დარღვევების თავიდან აცილებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად შენობაში შეიძლება იმყოფებოდეს მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნის შემთხვევაში და მისი პირადი პასუხისმგებლობით. ამომრჩეველი კენჭისყრის შენობაში შეიძლება იმყოფებოდეს მხოლოდ ხმის მიცემისათვის საჭირო დროის განმავლობაში.

4. არჩევნების დღეს კენჭისყრის დაწყებამდე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აცხადებს მიღებული ბიულეტენების რაოდენობას, კომისიის წევრებისა და დასწრების უფლების მქონე პირთა თანდასწრებით ამოწმებს და პლომბავს ან ლუქავს საარჩევნო ყუთებს, რის შემდეგაც ყუთებში უშვებენ საკონტროლო ფურცელს, რომელსაც ხელს უნდა აწერდნენ კომისიის წევრები და ხმის მისაცემად მისული პირველი ამომრჩეველი; საკონტროლო ფურცელზე უნდა აღინიშნოს ყუთში მისი ჩაშვების დრო.

5. თითოეული ამომრჩეველი ხმას პირადად აძლევს. სხვა პირთა ნაცვლად ხმის მიცემა დაუშვებელია. საარჩევნო ბიულეტენებს გასცემს საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა სიის ან ხმის მიცემის უფლების მოწმობის საფუძველზე საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის წარდგენისას. ბიულეტენის გაცემისას ამომრჩეველთა სიაში შეიტანება პირადობის მოწმობის ნომერი.

6. საარჩევნო ბიულეტენის მიღებას ამომრჩეველი ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით. ხმის მიცემის უფლების მოწმობები ერთვის ამომრჩეველთა დამატებით სიას.

7. ამ უბანში მცხოვრები მოქალაქენი, რომლებიც შეცდომით ვერ მოხვდნენ ამომრჩეველთა სიაში, პირადობისა და საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი საბუთის საფუძველზე შეაქვთ ამომრჩეველთა დამატებით სიაში.

8. იმ შემთხვევაში, როცა ცალკეულ ამომრჩევლებს ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა მიზეზთა გამო არ შეუძლიათ კენჭისყრის შენობაში მისვლა, საუბნო საარჩევნო კომისია მათი თხოვნით, რომელიც არჩევნების წინა დღეს 18 საათამდე უნდა ეცნობოს საუბნო საარჩევნო კომისიას და გატარებული უნდა იყოს განცხადებების ჟურნალში, კომისიის წევრებს ავალებს კენჭისყრის მოწყობას ამომრჩეველთა ყოფნის ადგილას ამომრჩეველთა სიის დანართის საფუძველზე, რის შესახებაც ამომრჩეველთა სიაში კეთდება სათანადო აღნიშვნა. ამ შემთხვევაში კენჭისყრის მოწყობაში მონაწილეობს კომისიის სულ ცოტა ორი წევრი; მასში მონაწილეობის უფლება აქვთ საარჩევნო უბანში დასწრების უფლების მქონე პირებსაც. კენჭისყრის ამგვარად ჩასატარებლად გამოიყენება ერთი გადასატანი საარჩევნო ყუთი. ასეთივე წესით ეწყობა კენჭისყრა იმ შემთხვევაშიც, როცა ამომრჩეველი თავისუფლების აღკვეთის ადგილას იმყოფება სასამართლოს განაჩენის გარეშე.

### მუხლი 51. კენჭისყრის ჩატარება

1. საარჩევნო ბიულეტენი მოწმდება საარჩევნო კომისიის ორი წევრის ხელმოწერითა და კომისიის ბეჭდით.

2. საარჩევნო ბიულეტენებს ამომრჩეველი ავსებს ფარული კენჭისყრის კაბინაში ან ოთახში. ბიულეტენების შევსებისას აკრძალულია ვინმეს დასწრება. ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს ბიულეტენი, უფლება აქვს კაბინაში ან ოთახში მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, ნდობით აღჭურვილი პირისა, პარტიისა, საარჩევნო ბლოკის რწმუნებულისა და მეთვალყურისა.

3. თუ ამომრჩეველსა და საარჩევნო ყუთთან მდგომ კომისიის წევრს უყურადღებობის გამო გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი, მას შეუძლია მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ან მდივანს, ჩააბაროს გაფუჭებული ბიულეტენი და მიიღოს ახალი. გაფუჭებულ ბიულეტენს ამომრჩევლის თანდასწრებით ჩამოეჭრება კუთხე და ცალკე შეინახება.

4. შევსებულ ბიულეტენებს ამომრჩეველი უშვებს საარჩევნო ყუთში.

5. კომისიის წევრებსა და საარჩევნო უბანში დასწრების უფლების მქონე პირებს უფლება აქვთ ამომრჩეველს მოსთხოვონ უჩვენოს, რომ მას ხელთ მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი რაოდენობის ბიულეტენი აქვს. ისინი ვალდებულნი არიან დააკმაყოფილონ ეს მოთხოვნა.

6. კენჭისყრის შენობა იკეტება 20 საათზე. ამ დროისათვის შენობაში მყოფ ამომრჩევლებს შეუძლიათ ხმის მიცემა.

### მუხლი 52. ხმების დათვლა საარჩევნო უბანში

1. ხმების დათვლისას დაცული უნდა იქნეს შემდეგი თანამიმდევრობა:

ა) კენჭისყრის დამთავრების შემდეგ საარჩევნო კომისია ითვლის და პაკეტებად კრავს გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს. პაკეტს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის სახელი და ნომერი, გამოუყენებელი ბიულეტენების სახეობა და რაოდენობა. მას ხელს უნდა აწერდნენ კომისიის თავმჯდომარე (ან მოადგილე) და მდივანი და უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი; დაითვლება და პაკეტად შეიკვრება გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები და გაფორმდება ზემოთ აღნიშნული წესით;

ბ) ამომრჩეველთა ძირითადი და დამატებითი სიების მიხედვით საუბნო საარჩევნო კომისია ადგენს საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას და არჩევნებში მონაწილეთა ანუ იმ ამომრჩეველთა რაოდენობას, რომელთაც მიიღეს ბიულეტენები;

გ) საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრების თანდასწრებით ამოწმებს საარჩევნო ყუთებზე ბეჭდის მთლიანობას, ხსნის მათ და ამოწმებს ყუთებში საკონტროლო ფურცლის არსებობას. თუ ყუთში საკონტროლო ფურცელი არ აღმოჩნდა, ამის შესახებ კომისიის ახსნა-განმარტება უნდა დაერთოს ოქმს;

დ) კომისია ცალ-ცალკე ითვლის ყუთებში არსებული სხვადასხვა ფერის დადგენილი ნიმუშის ბიულეტენების რაოდენობას. ცალკე ითვლება დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენები. ბათილად ცნობილი და დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენები ფერების მიხედვით ცალ-ცალკე კონვერტებში იდება და იმდაგვარად იბეჭდება, რომ ბეჭდის დაუზიანებლად შეუძლებელი იყოს კონვერტიდან ბიულეტენის ამოღება ან მასში ჩადება. კონვერტებს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, მათში ჩადებული ბიულეტენების რაოდენობა და სახეობა;

ე) ბიულეტენი ნამდვილად უნდა იქნეს ცნობილი, თუ ამომრჩეველმა ერთ პარტიას, საარჩევნო ბლოკს მისცა ხმა ამ კანონით დადგენილი წესით. წინააღმდეგ შემთხვევაში ბიულეტენი ბათილად ჩაითვლება;

ვ) საარჩევნო ბიულეტენი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, თუ შეუძლებელია დადგინდეს, რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა. ყველა სხვა შემთხვევაში ბიულეტენი ნამდვილად ითვლება;

ზ) კომისია ახარისხებს და ცალ-ცალკე ითვლის ყოველი კანდიდატისათვის მიცემული ხმების რაოდენობას. ამის შემდეგ ბიულეტენები ისევე უნდა ჩაეწყოს, როგორც „დ" ქვეპუნქტშია მითითებული; ყოველ კონვერტს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, პარლამენტის წევრობის კანდიდატის გვარი, მასში ჩადებული ბიულეტენების რაოდენობა;

თ) კომისია ახარისხებს და ითვლის ყოველი პარტიისთვის, საარჩევნო ბლოკისთვის მიცემული ხმების რაოდენობას. ამის შემდეგ ბიულეტენები ისე უნდა ჩაეწყოს, როგორც „დ" ქვეპუნქტშია მითითებული; ყოველ კონვერტს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, პარტიის ან ბლოკის სახელი, მასში ჩადებული ბიულეტენების რაოდენობა;

ი) საუბნო საარჩევნო კომისია თავის სხდომაზე განიხილავს ხმების დათვლის შედეგებს, აფორმებს ორ ოქმს, რომელთაგან ერთში აღნიშნული უნდა იყოს ყოველ ოლქში წარდგენილი კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა, მეორეში — ყოველი პარტიის, საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა. ოქმების ცალთა რაოდენობა სამით უნდა აღემატებოდეს კანდიდატების, პარტიების, საარჩევნო ბლოკების რაოდენობას. ოქმის ყოველ ცალს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და წევრები, მას უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი;

კ) ოქმების ორ-ორ ცალს და ყველა საარჩევნო ბიულეტენს დაუყოვნებლივ უგზავნიან საოლქო საარჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით, ოქმების თითო ცალი ინახება თვით საუბნო საარჩევნო კომისიაში, თითო ცალი კი უნდა ჩაბარდეს კანდიდატთა ნდობით აღჭურვილ პირებს, პარტიებს და საარჩევნო ბლოკებს.

2. საარჩევნო ბიულეტენების ნამდვილობაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში საკითხს კენჭისყრით წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისია, კენჭისყრის შედეგი შეაქვს ოქმში და ასეთ ბიულეტენებს ცალკე დასტად კრავს ზემოაღნიშნული წესით.

### მუხლი 53. არჩევნების შედეგების შეჯამება საოლქო საარჩევნო კომისიაში

1. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქის მიხედვით ადგენს გამოუყენებელი და გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობას, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას, არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობას, ნამდვილად და ბათილად ცნობილი და დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენების რაოდენობას, თითოეული კანდიდატისათვის მიცემული ხმების რაოდენობას, არჩევნების შედეგებს.

2. ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობდა ოლქში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ერთი მესამედი მაინც.

3. საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს, მაგრამ არანაკლებ არჩევნებში მონაწილეთა ერთი მესამედისა.

4. საოლქო საარჩევნო კომისია თავის სხდომაზე ადგენს არჩევნების შედეგებს და ამტკიცებს ოქმს.

5. ოქმის ცალთა რაოდენობა ორით უნდა აღემატებოდეს ოლქში დასახელებული კანდიდატების რაოდენობას. ოქმის ყველა ცალს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და წევრები და მას უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი.

6. საოლქო საარჩევნო კომისიის ოქმი და საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმების თითო ცალი არჩევნების ჩატარებიდან არა უგვიანეს მე-5 დღისა ეგზავნება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით, თითო ცალი ინახება თვით საარჩევნო კომისიაში, თითო ცალი კი გადაეცემა პარლამენტის წევრობის კანდიდატთა ნდობით აღჭურვილ პირებს.

7. საუბნო საარჩევნო კომისიების იმ ოქმების თითო ცალი, რომლებშიც შეჯამებულია პარტიული სიებით ჩატარებული არჩევნების შედეგები, დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით.

8. საარჩევნო უბანში არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ განცხადება საუბნო საარჩევნო კომისიაში შედგენილ უნდა იქნეს არჩევნების დღეს 07-დან 20 საათამდე. განცხადებას თან უნდა დაერთოს დარღვევის შესახებ ოქმი, რომელშიც აღინიშნება: ოქმის შედგენის თარიღი და ადგილი; შემდგენის თანამდებობა, სახელი და გვარი; მონაცემები დამრღვევი პირის შესახებ; დარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი; მოწმეთა გვარები და მისამართები; დამრღვევის ახსნა-განმარტება და სხვა დამატებითი ცნობები.

9. საუბნო საარჩევნო კომისია ამ მუხლის მე-8 პუნქტში აღნიშნულ განცხადებას ოქმთან ერთად არჩევნების მომდევნო დღეს გადასცემს საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელიც განცხადებას განიხილავს 2 დღის ვადაში და თავის მოსაზრებას არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ დაუყოვნებლივ წარუდგენს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

10. ამ მუხლით დადგენილი წესის დარღვევით შედგენილი და წარდგენილი განცხადება არ განიხილება.

### მუხლი 54. არჩევნების შედეგების შეჯამება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

1. საქართველოს პარლამენტის არჩევნები პარტიული სიების მიხედვით ჩატარებულად ჩაითვლება, თუ არჩევნებში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ერთი მესამედი მაინც.

2. თუ პარლამენტის წევრი პირველ ტურში ვერ აირჩა, ჩატარდება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს უკეთესი შედეგების მქონე ორი კანდიდატი, ხოლო თუ საუკეთესო ერთნაირი შედეგი აღმოაჩნდა რამდენიმე კანდიდატს ან საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატის მომდევნო რამდენიმე კანდიდატს, მეორე ტურში გადის ყველა აღნიშნული კანდიდატი. მეორე ტურის ჩატარების თარიღს განსაზღვრავს ცენტრალური საარჩევნო კომისია. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს. თუ ყველა კანდიდატმა ერთნაირი შედეგი მიიღო, მაშინ არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც პირველ ტურში მიიღო ხმათა მეტი რაოდენობა.

3. ცენტრალური საარჩევნო კომისია საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე არჩევნების ჩატარებიდან არა უგვიანეს 10 დღისა თავის სხდომებზე აჯამებს საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგებს და შეაქვს ოქმში.

4. ოქმის პირველი ცალი ინახება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, მეორე ცალი გადაეცემა საქართველოს პარლამენტს, თითო ცალი კი — პარტიების, საარჩევნო ბლოკების რწმუნებულებს.

5. საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების საფუძველზე ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს ნამდვილად და ბათილად ცნობილი და დაუდგენელი ნი-

# საქართველოს ორგანული კანონი
## საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ

მუშის ბიულეტენთა რაოდენობას, თითოეული პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობას, პარტიის, საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობას.

6. პარლამენტის წევრთა მანდატები მიეკუთვნება მხოლოდ იმ პარტიულ სიას, რომელმაც მიიღო არჩევნების მონაწილეთა ხმების 7% მაინც. პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად ამ სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა უნდა გამრავლდეს 150-ზე და გაიყოს ასეთი პარტიების მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობის ჯამზე. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი წარმოადგენს სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობას.

7. იმ შემთხვევაში, თუ ამგვარად მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი 150-ზე ნაკლები აღმოჩნდა, გაუნაწილებელი მანდატებისაგან თითო მანდატი მიეკუთვნებათ იმ პარტიულ სიებს, რომლებმაც არჩევნებში ხმების მეტი რაოდენობა მიიღეს. თუ ორი ან მეტი პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა თანაბარი აღმოჩნდა, მანდატი მიეკუთვნება იმ სიას, რომელმაც უფრო ადრე გაიარა რეგისტრაცია.

8. თუ კანდიდატი არჩეულია როგორც საარჩევნო ოლქიდან, ისე პარტიული სიით, მაშინ იგი არჩეულად ითვლება საარჩევნო ოლქიდან, ამოიღება პარტიული სიიდან და სიაში ხდება მისი მომდევნო კანდიდატების წანაცვლება სიის დასაწყისისკენ. პარტიული სიით არჩეულად ჩაითვლებიან პარლამენტის წევრობის ის კანდიდატები, რომელთა რიგითი ნომრებიც ამ სიაში ნაკლებია ან ტოლია სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობისა. ამ სიის მიხედვით არჩეულ პარლამენტის წევრთა რაოდენობა უცვლელი რჩება.

9. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შეუძლია ბათილად ცნოს არჩევნები იმ საარჩევნო უბნებში, სადაც მოხდა ამ კანონის უხეშად დარღვევა. ეს საკითხი კომისიამ უნდა განიხილოს არჩევნების დღიდან არა უგვიანეს მე-5 დღისა.

10. საარჩევნო უბნებში არჩევნების ბათილად ცნობის შემთხვევაში ცენტრალური საარჩევნო კომისია ამ უბნებში ნიშნავს ხელახალ ხმის მიცემას ოლქში წარდგენილი კანდიდატებისათვის, თუ ამ უბნებში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა მეტია საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატისა და მომდევნო საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატის მიერ მიღებულ ხმათა სხვაობის რაოდენობაზე, ხოლო ხელახალ ხმის მიცემას პარტიული სიებისათვის, თუ ამომრჩეველთა სრული რაოდენობა ამ უბნებში საქართველოს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 10 პროცენტზე მეტია. ხელახალი ხმის მიცემა საერთო არჩევნებიდან ორი კვირის ვადაში უნდა ჩატარდეს. თუ ამ შემთხვევაშიც ბათილად იქნა ცნობილი არჩევნები, საბოლოო შედეგები დადგინდება ასეთი უბნების გაუთვალისწინებლად.

11. ოქმში მითითებული უნდა იყოს იმ საარჩევნო ოლქებისა და უბნების დასახელება და ნომრები, რომლებშიც არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი, აგრეთვე მათში ამომრჩეველთა რაოდენობა, არჩევნების ბათილად ცნობის მიზეზები, ყოველ საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა, არჩევნების მონაწილეთა რაოდენობა, არჩეულ პარლამენტის წევრთა რაოდენობა და ანბანურად დალაგებული მათი სია.

12. შედეგების შეჯამებიდან 5 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია რესპუბლიკურ გაზეთებში, ტელევიზიითა და რადიოთი აქვეყნებს ცნობას ოქმში მოცემული არჩევნების შედეგების შესახებ.

**მუხლი 55. ხელახალი ხმის მიცემა საარჩევნო უბანში**

1. ხელახალ ხმის მიცემას საარჩევნო უბანში ნიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

2. ხელახალი ხმის მიცემა საერთო არჩევნებიდან ორი კვირის ვადაში უნდა ჩატარდეს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობით. ასეთ შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისიას უფლება აქვს ხელახალი ხმის მიცემის ჩატარება დაავალოს საუბნო საარჩევნო კომისიის ახალ შემადგენლობას.

**მუხლი 56. არჩეული პარლამენტის წევრების რეგისტრაცია**

არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 5 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია რეგისტრაციაში ატარებს არჩეულ პარლამენტის წევრებს და აძლევს მათ დროებით მოწმობას საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევის შესახებ.

**მუხლი 57. ხელახალი არჩევნები იმ ერთმანდატიან ოლქში, სადაც არჩევნები არ შედგა გამოკლებული პარლამენტის წევრის ნაცვლად, და უკანასკნელის ადგილმონაცვლის განსაზღვრის წესი**

1. საქართველოს პარლამენტის მიერ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში ამ კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით არჩევნების ჩაუტარებლობის შემთხვევაში არჩეული პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ბათილად ცნობისას, აგრეთვე ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში არჩეული პარლამენტის წევრის გადადგომის ან სხვა მიზეზების გამო მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას შესაბამის საარჩევნო ოლქში ეწყობა ახალი არჩევნები. არჩევნებს ნიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნების ჩატარებამდე არა უგვიანეს სამი თვისა და იგი ეწყობა ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით.

2. გამოკლებული პარლამენტის წევრის ნაცვლად არჩევნები ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში ტარდება წელიწადში ორჯერ — მაის-ივნისში და ოქტომბერ-ნოემბერში. არჩევნები უნდა ჩატარდეს უახლოეს ვადაში. პარლამენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე არჩევნები გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად არ ტარდება.

3. თუ გამოკლებული პარლამენტის წევრი არჩეული იყო პარტიული სიით, მის ადგილს ერთი თვის ვადაში იკავებს იმავე სიაში რიგით მომდევნო პარლამენტის წევრობის კანდიდატი, თუ მან 15 დღის განმავლობაში თანხმობა განაცხადა პარლამენტის წევრობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს კანდიდატი სიიდან ამოიღება და ვაკანტურ ადგილს დაიკავებს მისი მომდევნო კანდიდატი და ა.შ. თუ წარდგენილ პარტიულ სიაში ასარჩევი კანდიდატი აღარ არის, პარლამენტის წევრის ეს მანდატი უქმდება.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში სათანადო დოკუმენტაციას პარლამენტის სამანდატო კომისიას წარუდგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

5. პარლამენტის წევრად არჩეული პარლამენტის წევრობის კანდიდატი ამოიღება პარტიული სიიდან.

**მუხლი 58. საოლქო საარჩევნო კომისიის დოკუმენტაციისა და მატერიალურ ფასეულობათა შენახვის წესი**

1. არჩევნების დამთავრების შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიები ვალდებულნი არიან ჩაატარონ მათ გამგებლობაში არსებული დოკუმენტაციისა და მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია. ამის შემდეგ არსებული დოკუმენტები და ინვენტარი ინახება ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანოთა მიერ გამოყოფილ ადგილას 5 წლის განმავლობაში მაინც.

2. არჩევნების ჩატარებისათვის აუცილებელი ინვენტარის შენახვაზე პასუხისმგებლები არიან ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანოები და საოლქო საარჩევნო კომისიები.

### თავი IX
### გარდამავალი დებულებანი

**მუხლი 59. აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის სრულ აღდგენამდე და საქართველოს პარლამენტის წევრთა არჩევნებისათვის აუცილებელი პირობების შექმნამდე:**

ა) 1992 წლის არჩევნების შედეგად აფხაზეთიდან არჩეულ პარლამენტის წევრებს, რომლებიც ამ კანონის ამოქმედების დღისათვის არიან პარლამენტის წევრები, უგრძელდებათ პარლამენტის წევრის უფლებამოსილება. აფხაზეთში ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში საქართველოს პარლამენტის წევრთა არჩევნების ჩატარებისა და მათი უფლებამოსილების ცნობისთანავე უფლებამოსილებაგაგრძელებული პარლამენტის წევრის უფლებამოსილება შეწყდება;

ბ) თუ ამ მუხლის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პარლამენტის წევრი რეგისტრირებული იქნება პარლამენტის წევრობის კანდიდატად, მას უფლებამოსილება არ უგრძელდება.

**მუხლი 60. 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ცენტრალური საარჩევნო კომისია კომპლექტდება შემდეგი წესით:**

ა) საქართველოს პრეზიდენტი ამ კანონის ამოქმედებიდან 30 დღის ვადაში 5 წლის ვადით ნიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 4 წევრს და პარლამენტის თანხმობით — კომისიის თავმჯდომარეს;

ბ) საქართველოს პარლამენტი ამ კანონის ამოქმედებიდან 30 დღის ვადაში ირჩევს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 5 წევრს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ვადითა და წესით, რომელთაგან საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სამს;

გ) კანონის ამოქმედებიდან 30 დღის ვადაში თითო წევრს ირჩევენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ვადით;

დ) კანონის ამოქმედებიდან 30 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისიის თითო წევრს ნიშნავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების — საკრებულოების პროპორციული სისტემით 1998 წლის არჩევნებში (ქალაქების თბილისის, ბათუმის, რუსთავის, ქუთაისის, ფოთის და რაიონების საკრებულოების შედეგების მიხედვით) 7 საუკეთესო შედეგის მქონე პოლიტიკური პარტია (საარჩევნო ბლოკი). ამ წევრების უფლებამოსილება გრძელდება 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში 5 საუკეთესო შედეგის მქონე პოლიტიკური პარტიიდან (საარჩევნო ბლოკიდან) ერთ-ერთის მიერ თავისი წევრის დანიშვნამდე.

**მუხლი 61.**

1999 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და 6 წევრს ნიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისია, ხოლო 7 წევრს მე-60 მუხლის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პოლიტიკური პარტიები (საარჩევნო ბლოკები). ამავე ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების ვადით.

**მუხლი 62.**

1999 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და 6 წევრს ნიშნავს საოლქო საარჩევნო კომისია, ხოლო 7 წევრს ნიშნავენ მე-60 მუხლის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პოლიტიკური პარტიები (საარჩევნო ბლოკები).

**მუხლი 63.**

ამ კანონის გარდამავალი დებულებების მიხედვით დაკომპლექტებული ცენტრალური საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება იწყება ამ კანონის ამოქმედებიდან 30-ე დღეს. ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების არსებული შემადგენლობის უფლებამოსილება წყდება ამ კანონით დადგენილი წესით ფორმირებული შესაბამისი საარჩევნო კომისიის პირველი შეკრებისთანავე.

**მუხლი 64.**

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრის შრომის ანაზღაურება გაიცემა ამ კანონით დადგენილი წესით შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების დაწყებიდან.

**მუხლი 65.**

საოლქო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება მოხდეს ამ კანონის ამოქმედებიდან 45 დღის ვადაში.

**მუხლი 66.**

1. 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა სიები დგება ამომრჩეველთა რეგისტრაციის საფუძველზე, რომლის წესსა და ვადებს ადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

2. 1999 წლის არჩევნებისათვის 50-ე მუხლის მე-5 პუნქტში სიტყვები „საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის წარდგენისას, ბიულეტენის გაცემისას, ამომრჩეველთა სიაში შეიტანება პირადობის მოწმობის ნომერი" შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული სურათიანი პირადობის დამადასტურებელი მოწმობის, ხოლო დევნილთათვის აგრეთვე დევნილის მოწმობის წარდგენისას".

**მუხლი 67.**

1. პარტიებმა, რომლებსაც ამ კანონის მიღებამდე ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გავლილი აქვთ საარჩევნო რეგისტრაცია, ამ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ხელახალი რეგისტრაციისათვის განცხადებით უნდა მიმართონ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არჩევნებამდე არა უგვიანეს 55 დღისა.

2. იმ არასაპარლამენტო პარტიებმა, რომელთაც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არ გაუვლიათ საარჩევნო რეგისტრაცია, ამ კანონის მე-13 მუხლით დადგენილი წესით მხარდამჭერთა სიების წარსადგენად ცენტრალურ საარჩევნო კომისიას განცხადებით უნდა მიმართონ კანონის ამოქმედებიდან 15 დღის ვადაში.

**მუხლი 68.**

1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში ამ კანონის მე-40 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული პარტიების რიგითობა განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების — საკრებულოების პროპორციული სისტემით 1998 წლის არჩევნებში (ქალაქების თბილისის, ბათუმის, რუსთავის, ქუთაისის, ფოთის და რაიონების საკრებულოების შედეგების მიხედვით) მონაწილე პარტიების (ბლოკების) შედეგების შესაბამისი თანამიმდევრობით.

*საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —*
*სახელმწიფოს მეთაური **ედუარდ შევარდნაძე***

*საქართველოს პარლამენტის სპიკერი*
***ვახტანგ გოგუაძე***

**თბილისი,**

**1995 წ. 01. 09. № 790 — რს**

**შესწორებები:**

| | |
|---|---|
| 1997 წ. 17.10 | № 965 — I ს |
| 1999 წ. 05.03 | № 1,834 — II ს |
| 1999 წ. 25.06 | № 2,175 — II ს |
| 1999 წ. 20.07 | № 2,248 — რს |

*დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველო“ № 7*

შუა ძილში ვიყავი, ვილაცამ შემაჯანჯღარა, გამომეღვიძა, მიშა იყო, ცხოვრებაძე, ასე მითხრა: საბუთები მოუტანიათ და ხალხს იძახებენო. სასწრაფოდ წამოვხტი, ორივენი გავიქეცით ვახტაზე, იქ საქმე გავარკვიეთ და მერე შემნახველ საკანს მივაშურეთ. ჩვენი ბარგი გამოვიტანეთ და კისრისტეხით მივაშურეთ ვახტას, სადაც ბლომად ხალხი შეკრებილიყო. გასასვლელ კარში ჩამდგარიყვნენ წითელსამკლაურიანი მორიგე და ვილაც ოფიცრები, მორიგე ჩახედავდა მავანი პატიმრის საბუთს და მასში აღნიშნული გვარის მხოლოდ წინა ასოს გამოაცხადებდა, იმ პიროვნებას კი, ვისი გვარიც ამ ასოთი იწყებოდა, უნდა ეთქვა გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი, საცხოვრებელი ადგილი, სად ან როდის გაასამართლეს, რა მუხლით, ან რამდენი ჰქონდა მისჯილი. თუ ყოველივე ნათქვამი სინამდვილეს დაემთხვეოდა, ადრესატს ცნობას გადასცემდნენ და ისიც თავისი ბარგი-ბარხანით გადიოდა ზონის გარეთ. ეს გამოძახება ანბანური საძიებლით ხდებოდა, ამიტომ მე და ცხოვრებაძეს სულ ბოლოს, ღამის თორმეტ საათზე, მოგვიწია გამოძახებამ (იმის გამო, რომ საკომენდატო ლაგერი გადატვირთული იყო გასაშვები პატიმრებით, ამიტომ ლაგერის ადმინისტრაციას სადღეღამისო მუშაობა ჰქონდათ — სამი ცვლა). ასე თუ ისე, ამ ცოდო ბრალობით ჩვენი ჯერიც დადგა, ვახტის ვიწრო კარით გამოვედით ქუჩაში, სადაც კარგა ბლომად ხალხი შეჭუჩებულიყო (გამოსული პატიმრები). მე და მიშაც მივედით და მათთან, გავჩერდით, ველოდებოდით ბადრაგებს, რომელნიც, ალბათ, წაგვიყვანდნენ უახლოეს რკინიგზის სადგურამდე. ლოდინით რომ გული გადაგვეღალა, ყველამ ერთხმად ავტეხეთ ყვირილი: „ნაჩალნიკ კანვოი“, — მოგვეცი-თქო. ჩვენს ყვირილზე ზონის მორიგე ოფიცერი გამოვიდა და მიზეზი გვკითხა. როდესაც ავუხსენით, რომ გამცილებელი ბადრაგის მოლოდინში ვიყავით, ერთი გულიანად შეგვიკურთხა და ასე გვითხრა: — თქვე უგუნურებო, აქამდე იმას ნატრობდით, როგორმე თავისუფლება გღირსებოდათ და ბადრაგი მოგეცილებინათ, ახლა ეს დროც დაგიდგათ, სამოქალაქო საბუთები ხელთა გაქვთ, ჩვენ თქვენი ვალი აღარაფერი გვაქვს და თქვენ ჩვენი, კეთილად დავცილდეთ ერთიმეორეს, გინდ ალმა წადით და გინდ — დალმა, საითაც გაგეხარდებათო, თუ ჩვენი პურ-მარილი მოგენატრებათ, არ მოგერიდოთ, აქედან გასვლაა ძნელი, თორემ აქ დაბრუნება სულ იოლია, პატარა დანაშაული რამე ჩაიდინეთ და გზიდანვე მოგაბრუნებთო. ახლა კი დაცოცხეთ აქედან, თქვენთვის არა მცალია, აგერ, რკინიგზას მარჯვნივ გაუყევით და ხუთას მეტრშია უახლოესი სადგურიო. ეს გვითხრა და ყველამ ჩვენ-ჩვენს ბარგს ვტაცეთ ხელი. ალტაცებულებმა „ურას“ ძახილით გავწიეთ წინ, გავუყევით რკინიგზის ლიანდაგს და ნახევარ საათში სადგურში აღმოვჩნდით. მაგრამ ის სადგური საშინლად გადატვირთული იყო გასამგზავრებელი ხალხით. როგორც დამხვდურებისაგან შევიტყეთ, მესამე დღე თენდებოდა, რაც მატარებელი არ გამოსულა. სადგურის მორიგეს გამოეცხადებინა, ლიანდაგის დაზიანების გამო იგვიანებსო.

სამი დღის მანძილზე ჯერ გორკის ოლქიდან გამოსული ნაპატიმრალი ხალხი, მერე კიროვის ოლქის ლაგერებიდან ჩამოსულნი, ზოგნიც სამოქალაქო მგზავრები და ყველანი აქ ვიყავით მოჭუჩებულნი, ამ პატარა სადგურში და ფეხად ველარ ვეტეოდით.

„ამღვრეული წყალი მეთევზეს ბედისწერააო“, იტყვიან ხოლმე. ამ არეულ-დარეულობაში, სამოქალაქო პირებს საეჭვოდ შებრუნავდნენ მაწანწალა შკოდები, რომ რაიმე აეწაპნათ. მე და ცხოვრებაძემ ხალხისგან განცალკევებით მყუდრო ადგილი ამოვარჩიეთ და დასასვენებლად ჩამოვსხედით. ჩვენი აქ მოსვლიდან ნახევარი საათიც არ იქნებოდა გასული, რომ ვილაც პირგაუპარსავი ახალგაზრდა გამოგვეცხადა და "ტიგრი" გეძახისო, მითხრა. თან თითით მიმანიშნა ხავერდის წითელ პიჯაკში გამოწყობილი ახმახი მამაკაცისაკენ, რომელიც ჩვენგან ნახევრად ზურგშექცეული იდგა თავის ამქრებთან. არ მესიამოვნა ეს მიწვევა, მაგრამ უარის თქმის უფლებაც არა მქონდა. ტიგრი (იგივე სურენა ტიგრანიანი, წარმოშობით სომეხი) კომენდანტის ლაგერიდან დამამახსოვრდა, კანონიერ ქურდად ითვლებოდა და საკმაოდ გამორჩენილი ფიგურა გახლდათ „შავ“ ხალხში. იგი ჩვენზე სამი-ოთხი დღით ადრე განთავისუფლდა, მის შემდეგ აქ, ამ სადგურში, მოკალათებულა რამდენიმე კაცის თანხლებით და ფულის საშოვნელად იოლი საქმისათვის მიუყვია ხელი. მივხვდი, რომ ფულის გამოძალვის მიზნით გამომიძახა მეც.

ჩემოდანი ცხოვრებაძეს დავუტოვე და ათრეული ნაბიჯით მივუახლოვდი სურენას, რომელიც თავის ამქრებში რალაცას კამათობდა. მივესალმე და მათ წინ გავჩერდი (მიღებული მქონდა მტკიცე გადაწყვეტილება, რომ ფული არ მიმეცა არც ერთ შემთხვევაში). სურენამ სალამზე სალმითვე მიპასუხა, მერე გვარი მკითხა და როცა ვუპასუხე, ჯიბიდან რალაც ქალალდი ამოიღო, სადგურის სინათლის საპირისპიროდ გაჩერდა და იმ ქალალდში რალაცას დაუწყო ძებნა.

ჰო, არის, არისო, წამოიძახა უცბად და ჩემი სახელი და მამის სახელიც კი მითხრა, მერე სახელოში ხელი მომკიდა, განზე გამიყვანა და ასე დაიწყო: — აი, რა, ჩემო თანამემამულევ, ნაპატიმრალი კაცი ხარ და აბა რალა გესწავლება, ხომ იცი, რომ ჩვენნაირ ხალხს პატივისცემა უნდა, პირადი ანგარიშიდან შენ მიგილია 4900 მანეთი, ღმერთმა ჰალალი ქნას, შენსას ვინ გეცილება, მაგრამ შინაურულად ანგარიში უნდა გაგვიწიო და ერთი ათასი მანეთი მაინც გვაჩუქო, თუ გინდა, რომ შენს საყვარელ ოჯახში მშვიდობით დაბრუნდე. მაგის შემდეგ კი ნულარ შეგეშინდება, დაცული იქნება შენი უსაფრთხოება ჩვენი მხრიდან. რა ვუყოთ, ხალხნი ვართ, ჩვენც ხომ გვინდა პურის ჭამა...

უცბად დავიბენი, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ასეთი ზუსტი ცნობა ვინ, ან როგორ მიაწოდამეთქი, მეორეც, ათასი მანეთის გასაჩუქებლად სად მქონდა საქმე. კაცი სამოქალაქო ცხოვრებას ვუბრუნდებოდი და ფული ათას რამეში დამჭირდებოდა, ან რალა სომეხი გამელალებინა ჩემი ნაოფლარით. შიშით კი როგორლა შემაშინებდა თავისუფლებაში გასულს, ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდას.

ყოველივე ეს ელვის უსწრაფესად გავივლე გუნებაში და ბევრი ალარ მიფიქრია. სასტიკი უარი განვუცხადე სურენას: — შეცდომით ვინმეს მოუწოდებია თქვენთვის ეგ ცნობა, გზაზე სამყოფი ფულიც კი არა მაქვს-მეთქი.

უარით განაწყენებულმა ტიგრმა თვალებით დამცეცხლა და კბილების ღრჭიალში მუქარით გამოსცრა: — რაც მიიღე და რაც ჯიბეში გაქვს, მე ძალიან კარგად ვიცი, „ფოსტა-ტელეფონი“ არ მღალატობს. ახლა გასწი, მომწყდი თავიდან და თუ ასე არ გინდა, რაც გზაზე დაგემართოს, შენს თავს დააბრალეო.

ალარაფერი მიპასუხია. დაბოლმილი გავბრუნდი, ცხოვრებაძესთან მივედი და ჩემოდანზე ჩამოვჯექი. მიშამ შემატყო, რომ რალაც ცუდი ამბავი შემემთხვა, მიზეზი მკითხა. არ დამიმალავს, ყველაფერი ვუთხარი, ვუამბე ისიც, თუ როგორ დამემუქრა ტიგრად წოდებული სურენა. ან როგორი საფრთხე გველოდა ამ გრძელ გზაზე.

რაც არის, არის, — ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ წარმოთქვა მიშამ, კარგი იყო, მაგათ საჯიჯგნად არ გავმხდარიყავით, გავხდით და მეც შენს გვერდით მიგულე ჭირშიც და ლხინშიც, ვეცადოთ, სომეხმა არ გვაჯობოს ქართველებს, ერთი, რაც მთავარია, დავრწმუნდი იმაში, რომ ეგ ნაღდი ქურდი არ უნდა იყოს, იმათი წესი ასე ხელგაწვდით მათხოვრობას არ ითვალისწინებს. ასე თუ ისე, ერთიმეორის იმედით რალაც სიმხნევე ვიგრძენით, მაგრამ ძალიან ხშირად შეგვახსენებდა ხოლმე თავს ტიგრი და მართლა „ტიგრივით“ გაგვიქროლებდა ხოლმე ახლოს, რათა ჩვენი სიმყუდროვე დაერღვია თავის მოულოდნელი გამოჩენით.

როგორც იქნა, დილის ოთხ საათზე ჩამოდგა დიდი ხნის ნანატრი მატარებელი, მე და მიშა ცხოვრებაძე ერთ ვაგონში მოვთავსდით, სურენას ჯგუფის წევრებიდან აქ ვერავინ შევნიშნეთ, მაგრამ მაინც სიფხიზლე არ მოგვიდუნებია, ასე ვფიქრობდით, ვაითუ, მოსაჩვენებელი ფანდი იყოს მათი მხრიდან და რალაც უეცარი მომენტით ისარგებლონ-მეთქი.

მიშას ვაგონში ვილაც ცუგრუმელა გოგო ეშოვა და იქვე ტუალეტში მოესურვილიანებინათ ერთმანეთი. მერე ორივენი ჩემთან მოვიდნენ და შემომთავაზეს, თუკი მოვისურვებდი, ამომერჩია ვინმე იმ გოგოს ამხანაგებიდან. მე ცივი უარით გავისტუმრე ისინი, იმის გამო, რომ ასეთი მოხეტიალეთაგან მოსალოდნელი იყო რაიმე ჭირს გადაჰყროდა კაცი.

დილის რვა საათზე ერთ პატარა სადგურში შევჩერდით მცირე ხნით, მიშამ ფული გამომართვა, რაიმე საჭმელს ვიყიდიო და ვაგონიდან გაუჩინარდა. ხუთი წუთიც არ იყო გასული, უკან დაბრუნდა, ხელში ერთი ბოთლი რუსული არაყი, პური და ძეხვი ეჭირა. სახელდახელოდ გადავკარით არაყი, ზედაც პური და ძეხვი დავაყოლეთ, როცა მოვრჩით ყველაფერს, ძილისგან თავდამძიმებულები იქვე ვაგონში მოვეწყეთ ერთ სკამზე და სულ მალე ჩაგვძინებოდა კიდეც.

რალაც ხმაურმა გამოგვალვიძა, დაფეთებულმა თვალები დავაჭყიტე



შალვა ჭოლიკაური

# წარსულის გახსენება

და პირველი რაც დავინახე, ეს იყო ვაგონის დამლაგებელი ქალი ცოცხით ხელში. მატარებელი იდგა. ვაგონი დაცარიელებულიყო. მარტო მე და მიშა დავრჩენილიყავით. დღესაც მიკვირს, როგორ გადარჩა ჩემი ჩემოდანი, რომ არავინ გააყოლა ხელს, ასე არეულობაში. დავინტერესდი, თუ რომელ სადგურში ვიმყოფებოდით. დამლაგებელმა ქალმა გვითხრა: — გორკში ხართო (ადრინდელი ნიჟნი ნოვგოროდი) და ბოლო გაჩერებაც აქ არისო. ისიც გვითხრა, რომ დღის ორი საათი იყო უკვე.

ვაგონიდან ჩამოვედით და სადგურის ცნობათა ბიუროს მივაკითხეთ. გვინდოდა გაგვეგო, თუ რომელ საათზე იქნებოდა მოსკოვის მატარებელი. ცნობათა ბიუროში ყველაფერი დაწვრილებით გამოგვკითხეს და ბოლოს გვითხრეს, რომ მოსკოვის მიმართულებით ბევრი მატარებელი გადის, მაგრამ თქვენნაირი ხალხი რბილ ვაგონებში არ დაიშვება, საღამოს რვა საათზე კი შეგიძლიათ „ხმელი“ ვაგონებით გაემგზავროთო.

რალას ვიზამდით, იქვე სადგურში სასაუზმეში წავისადილეთ, მერე მიშას ვუთხარი: — საღამომდის დიდი დროა, ქალაქში გავალ და მალე დავბრუნდები-მეთქი. ჩემოდანი დავუტოვე და წავედი სახეტიალოდ. უფრო სწორად, მინდოდა ერთი მაჯის საათი მეყიდა. ტანსაცმელი კარგი მეცვა და თუკი მაჯის საათსაც ვიშოვიდი, ჩემს სოფელში ასე დაბრუნება დიდ აყიოტაჟს გამოიწვევდა. იმის გამო, რომ იმ დროს მაჯის საათები ძნელად იშოვებოდა, დეფიციტი იყო.

ბევრი ძებნის შემდეგ, როგორც იქნა, ვიყიდე საათი და უკან დავბრუნდი იმავე გზით, რა გზითაც სადგურიდან აქ მოვედი. ის იყო, სადგურს მივუახლოვდი, რომ ერთ ადგილას ვილაც მოჩხუბრები შევნიშნე. ერთი დაბალი ტანის ახალგაზრდას ორნი მისეოდნენ, მაგრამ ის დალოცვილი ისე მადლიანად უძლვებოდა ორივეს, რომ ალტაცებაში მოვიდოდა კაცი, მისი მოჩხუბრებიდან ხან ერთი ეგდო დაბლა და ხან მეორე, რომელსაც მოარტყამდა ხელს, ფეხზე ალარ აჩერებდა არცერთს.

თვალი ტროტუარისკენ გამექცა და ჩემი ჩემოდანი დავინახე, მაშინ კი სირბილით მივიჭერი მოჩხუბრებთან, რომლებიც ცხოვრებაძეს მისეოდნენ, როგორ მოხვდა აქ, ან თვითონ ცხოვრებაძე, ან ჩემი ჩემოდანი, ეს ჩემთვის ჯერჯერობით საიდუმლოს წარმოადგენდა. არც იყო ამის გარკვევის დრო. უნდა გამეშველებინა მოჩხუბრები. სულზე მივუსწარი, როდესაც ერთმა მოჩხუბარმა აყლაყუდამ ჩექმის ყელიდან ელვარე ბებუთი ამოაძრო, იმ დროს უკნიდან ძლიერად შემოვხვიე ხელები, ზე ავიტაცე და მთელი გამეტებით ფილაქანზე დავახეთქე, დაცემისას დანა გაუვარდა, იგი ერთ-ერთმა მოქალაქემ აიტაცა, რომელიც ჩვენს ბედზე შემოგვსწრებოდა. ვერ გეტყვით, თუ როგორ დამთავრდებოდა ეს უსიამოვნო შეხლა-შემოხლა, რომ ორი მილიციელი არ წამოგვდგომოდა თავს. როგორც შემდეგში გაირკვა, მათ თავიდანვე უყურებიათ ამ სეირისათვის და როცა იგრძნეს, რომ საქმე სერიოზულად გართულდა, საჭიროდ ცნეს საქმეში ჩარევა. იმ მოქალაქეს ბებუთი ჩამოართვეს და ჩვენ ოთხივეს გვიბრძანეს, მილიციის განყოფილებაში გავყოლოდით. ჩვენმა მოწინაალმდეგეებმა გაქცევა სცადეს, მაგრამ წესრიგის დამცველებმა ორივეს სტაცეს ხელი და კინწისკვრით გაიყარეს წინ. ჩვენც თან გაგვიყოლეს, მე და ცხოვრებაძე. ბედად ჩვენვე დაგვემგზავრა ის მოქალაქე, რომელმაც მოძალადეს ხელიდან გავარდნილი ბებუთი აიტაცა. მასთან ერთად ორი მანდილოსანიც, რომელთაც თავიდანვე ეყურებინათ ამ შემთხვევისათვის და ახლა გზაზე გვაგულისებდნენ, იმედს გვაძლევდნენ, რომ მოწმედ დაგვიდგებოდნენ. ამასობაში რკინიგზის სადგურის მილიციის სამორიგეო განყოფილებაში აღმოვჩნდით. აქ ჯერ ცხოვრებაძე დაჰკითხეს, მისი ნაამბობიდან შევიტყე, რომ ამ ორ მაწანწალას შემთხვევით უსარგებლიათ და ჩემი ჩემოდანი მოუპარავთ, ცხოვრებაძეს ეს მაშინვე შეუნიშნავს და უკან გამოჰკიდებია მათ, სადგურის გარეთ წამოსწევია და რადგანაც ჩემოდნის წართმევას ცდილობდა, ამის გამო ამტყდარა ჩხუბი. ასეთივე ჩვენება დაადასტურეს მანდილოსნებმაც, რომელნიც ლაპარაკს არავის აცდიდნენ და ზიზღით უთითებდნენ ამ ორი ვიგინდარისაკენ, რომელნიც კარგა ნასვამებიც გახლდნენ, მაგრამ მათთან გასაუბრებისას (მილიციის მიერ) მაინც აშკარად გამოიკვეთა, რომ ისინი სურენ ტიგრანიანის მოგზავნილები იყვნენ. მილიციაში ჩემთვის არაფერი უკითხავთ, შემსწრე მილიციელებმა თავიდანვე აუხსნეს მორიგე ოფიცერს, რომ მე არაფერ შუაში არ ვიყავი.

როდესაც ყველაფერი გაარკვიეს, იმ ორს იქვე სამორიგეოში დროებით მოსაცდელ საკანში უკრეს თავი. მიშა ცხოვრებაძეს და მოწმე მოქალაქეებს ოქმზე მოაწერინეს ხელი. მერე მე და მიშა ცხოვრებაძე სასტიკად გაგვაფრთხილეს, სადგურის მოსაცდელი დარბაზიდან ფეხი არსად გაგვედგა, თორემ თუ კიდევ რაიმე ფათერაკს გადავაწყდებოდით, ჩვენც ისეთივე ბედი გვეწეოდა, როგორც იმ ჩვენს მოჩხუბრებს. ასე გაილია ის დღეც საღამოს რვა საათამდე. რვა საათზე კი, როგორც იქნა, ჩამოდგა ჩვენთვის განკუთვნილი მატარებელი, მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც ჩასხდომა დაიწყო, ცხოვრებაძე დამეკარგა, ვეძიე, მაგრამ ვერსად ვნახე. ეს კი ვიცოდი, იგი მატარებელს არ ჩამორჩებოდა და რომელიმე სხვა ვაგონში მაინც ავიდოდა. ასე ვიფიქრე, მაგრამ მაინც დაბოლმილი ავედი ვაგონში. ასვლისთანავე გავიცანი ერთი ქართველი ახალგაზრდა კაცი, კოტე ბრეგვაძე, რომელიც ვეტლაგიდან განთავისუფლებულიყო და საქართველოში მოემგზავრებოდა. ჩემზე რამდენიმე წლით უფროსი იყო, ისედაც სერიოზული და სანდო კაცი ჩანდა. მალე გამოვნახეთ საერთო ენა და ერთმანეთს აღვუთქვით, რომ ყურადღებიანად ვიქნებოდით ერთიმეორის მიმართ, იმ ლამეს რიგრიგობით გვეძინა, დილით კი ორივე ზეზე ვიყავით, პირი დავიბანეთ, პატარა წა[illegible]ხემსეთ და დავიწყეთ საუბარი იმის შესახებ, თუ როგ[illegible] [illegible]ბოდით მოსკოვში. [illegible] [illegible]ბელმა გვითხრა, დღის 12 საათისათვის უნდა ჩავსულიყავით იქ. გზა და გზა სხვადასხვა სანახაობა სცვლიდა ერთიმეორეს და რალა თქმა უნდა, დიდი ინტერესით ვადევნებდი თვალს ყველაფერს. ეს გასაგებიცაა, სამი წლის მანძილზე წიწვოვანი ტყისა და ზედამხედველების გარდა ვერაფერს ვხედავდი. ახლა კი მთელი თავისუფალი სამყარო იშლებოდა ჩემს თვალწინ. დრომ ისე გაიარა და ისე მივალწიეთ მოსკოვს, არც კი შემიმჩნევია. გამიკვირდა, როდესაც ბოლო გაჩერება გამოაცხადეს. კოტე ბრეგვაძესთან ერთად ვაგონიდან ჩამოვედი ჩემოდნით ხელში.

მოზიმზიმე ხალხში ცხოვრებაძეს დავუწყე თვალთვალი. ამ დროს კი ყურში მკაფიოდ ჩამესმა მისივე ხმა: — გაფრთხილდი, ჩემოდანი არ მანდოო! ამის გაგონებაზე გვერდზე მივიხედე და თვალი მოვკარი მიშას, რომელიც ხალხის ჯგუფში გაუჩინარდა.

ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა. მივხვდი, რომ ცხოვრებაძე „ტიგრის“ ბიჭებთან მოხვდა ვაგონში და მათგან მიიღო იძულებითი დავალება, გავეძარცვე, რაზეც თვითონვე გამაფრთხილა მიშამ.

მე და ბრეგვაძემ შემნახველ საკანში ჩავაბარეთ ბარგი, მერე სადგურის ცნობათა ბიუროში ვიკითხეთ თბილისის მატარებლის შესახებ და გავიგეთ, რომ ის უკვე გამოსულიყო. ამიტომ შეგვეძლო გვესარგებლა მხოლოდ მოსკოვი-სოხუმით, რომელიც საღამოს შვიდ საათზე გამოდიოდა. არჩევანი ალარ დაგვიწყია. ამ დროს ცხოვრებაძემაც მოგვნახა და სამივემ სოხუმის მიმართულებით გავიფორმეთ ბილეთები. მერე ქალაქში გავედით. საღამომდე საკმაო დრო გვქონდა. ახლა უკვე ჯან-ღონით სავსე სამი ახალგაზრდა ვიყავით და თავი ქუდქვეშ გვეგულებოდა. ცხოვრებაძემ გვიამბო, თუ როგორ დაავალა მას „ტიგრის“ ჯგუფმა ჩემი გაძარცვა, მაგრამ ბოლოს ფეხებზე დავიკიდეთ ტიგრანიანის „ტიგრობა“ და ქალაქის დასათვალიერებლად გავედით. გადავიღეთ სამახსოვრო სურათებიც, საღამოს კი, მოსკოვი-სოხუმის მატარებლით გამოვემგზავრეთ მშობლიური საქართველოსკენ.

სოხუმში დილით ჩამოვედით. აქ უკვე ოთხნი გავხდით, ერთი ქართველი ახალგაზრდა კაცი მოგვემატა კიდევ, ზაური მინდიაშვილი (წარმოშობით კახეთიდან), რომელიც მაგადანის ლაგერებში ყოფილა პატიმრობაში და იქიდან ბრუნდებოდა.

სოხუმის რკინიგზის სადგურში როგორც გავიგეთ, მატარებელი საღამოს რვა საათზე გამოვიდოდა თბილისისაკენ. მთელი დღე სადგურში ხომ ვერ გავჩერდებოდით. ამიტომ საღამომდის ქალაქს ღირსშესანიშნაობა დავათვალიერეთ. საღამოს რვის ნახევარზე ყველა მოვქუჩდით რკინიგზის ვაგზალში (მიშა ცხოვრებაძეს გარდა, რომელზეც ბრეგვაძემ თქვა: — ზღვაზე წაიყვანეს გოგოებმაო. განგაში ალარ აგვიტეხია, ცხოვრებაძე თავის გზას გაიგნებდა. ჩვენ კი ჩვენთვის განკუთვნილ ვაგონში მოვთავსდით: ზაურ მინდიაშვილი, კოტე ბრეგვაძე და მე (ამ სტრიქონების ავტორი).

ის ლამე ერთურთის გაცნობაში გავატარეთ. ზაურ მინდიაშვილმა გვიამბო მაგადანის ლაგერების შესახებ, თუ როგორ ცხოვრობენ იქ პატიმრები, ანუ როგორ ხდება ოქროს მადნეულის მოპოვება და მას გარდა, ბევრი სხვა რამეც იქაური საინტერესო ამბები.

მატარებელი გამალებული მოქროდა თბილისისაკენ და მისი ბორბლების ხრიგინი არღვევდა ლამის მყუდროებას...

**პირველი წიგნის დასასრული**

**(ჩანაწერები გაკეთებულია სხვადასხვა წლებში)**

**ავტორისეული შენიშვნა:**

არ მილალატია ჩემი ძმადნაფიცის — იუსუფის, ხსოვნისათვის და მის შესახებ ყოველივე ჩანაწერები ისევე გავაკეთე, როგორც თვითონ გადმომცა, თანაც ხომ მთხოვა: ისე დაწერე, როგორც მოგიყვები, მისი მხატვრული თუ ლიტერატურული გაფორმება არ იფიქრო, მკითხველმა სინამდვილე უნდა იცოდესო. მეც შევუსრულე ეს თხოვნა, დე, ისე იყოს ყოველივე, როგორც მან თვითონ მიამბო.

**რედაქციისაგან: დავასრულეთ შ. ჭოლიკაურის პირველი წიგნის ბეჭდვა. ავტორთან შეთანხმებით წიგნი გამოსაცემად მზადდება და გამოცხადდება მასზე ხელმოწერები. დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ გამოგვეხმაურონ გაზ. „საქართველოს“ რედაქციაში ტელეფონზე 93-20-36.**

# დავით სოკოლოვი: „რაღა მე გადავირქვა, შევარდნაძემ გადაირქვას გვარი!“

*მეორე გვერდიდან*

— ჰო, რა თქმა უნდა! კოკა ყანდიაშილმა რომ დამირეკა და მითხრა, სამუშაოდ გიწვევო, თვეში 200 ლარი გექნებაო, თავიდან არც დავიჯერე. 1992-ის მერე, მე კი არა, ჩემი შვილიც სადაც მივიდა და, ვთქვათ, ვარიანტიც იყო, გვარს რომ მოჰკრავდნენ ყურს, ა-პა, პაპა, პაო! შენი ჭირიმე, შარს არაფერს გადაგვყაროოო და ამნაირები. ასეთი სიტუაცია გახლდათ.

**— დავით, თქვენ, ზვიადისა და მერაბის დარად, ბავშვობიდანვე, თუნდაც ჭაბუკობიდანვე არ ყოფილხართ ეროვნულ მოძრაობაში აქტიურად ჩაბმული, ხომ?**

— რასაკვირველია, არა! არც სხვა უნდა მოვატყუოთ და — არც საკუთარი თავი!

1991-ში რომ დაიწყო ის ჯოჯოხეთი, რომ ააგორეს ედეპემ და ეროვნული დამოუკიდებლობის, ირაკლი წერეთლის პარტიამ ოპოზიციური ტალღა, შვებულებაში ვიყავი, დედულეთში, ონში. იქ გავიგე ეს ამბავი.

**— გადაკეტილი რომ იყო რუსთაველი?**

— დიახ, რაჭაში ვიყავი და მოაღწია ხმამ. მეორე დღესვე ჩამოვედი. მითხრეს, ტელევიზიასთან აწყობენ თანამშრომლები გაფიცვებს, რომლებიც მიტინგებში გადაიზარდაო. წავედი, ვნახო ერთი, რა ამბავია-მეთქი. რატომაც არ უნდა წავსულიყავი, ჩემი სამსახური იქ იყო და! ვარ მათთან ერთად, თუ გეჩაგრავენ, მეც ჩემი თანამშრომლების გვერდით უნდა ვიყო-მეთქი. ვაყურადებ, რის ჩაგვრა, რა ჩაგვრა! ვის ახსოვს შენი ტელევიზია. პირდაპირ ხელისუფლების გამქაქებელ სიტყვებს აცხობენ ერთი მეორეზე მიყოლებით.

მეორე დღეს მივედი. ისევ ისე. ახლა პირდაპირ პრეზიდენტის დამხობისაკენ მოუწოდებენ ხალხს. ერიჰა!

ვფიქრობ, პრეზიდენტი უმრავლესობამ ავირჩიეთ. ესენი ჩამოგდებით ემუქრებიან! იქ რაღა გამაჩერებდა! ჭკუათმყოფელი თუ ხარ, ასეთ დროს, ხელისუფლების მხარეს უნდა დადგე! როცა იარაღის გამოყენებაზეა ლაპარაკი, ეს უკვე პუტჩია! წავედი და დავუდექი კანონიერ ხელისუფლებას გვერდით. ხელისუფლების წინააღმდეგ მუშტი-კრივით და, სულ უარესი, იარაღით ხელში გალაშქრება სისულელეა, ბოროტება რომ არ იყოს!

**— კი, მაგრამ თვითონ ზვიადი და მერაბიც არ იბრძოდნენ იმჟამინდელი ხელისუფლების წინააღმდეგ?**

— როგორ, კაცო, ზვიადი და მერაბი ტანკებითა და ზარბაზნებით მიადგნენ მთავრობის სახლს?! როგორ გეკადრებათ! მათ მშვიდობიანი გზით მოახერხეს თითქმის მოუხერხებელი! ასეთი ბრძოლა ყოველთვის დასაშვებია და ყოვლად დემოკრატიულიც.

რუსთაველის გადაკეტვა რომ ყოფილიყო საჭირო, ისინი ამათზე ნაკლებად მოახერხებდნენ ამას? ისე გადახერგავდნენ პროსპექტს, მგონი, დღესაც აულებელი იქნებოდა!.. მე შენ გეტყვი და, ხალხი არ აჰყვებოდა! ცეცხლში ჩაცვივდებოდნენ, თუკი საჭირო გახდებოდა!..

ჩემი აზრით, სხვის ანკესზე წამოგებული აგრესიული ოპოზიცია ეგრეთ წოდებულ „ეროვნულ კონგრესში“ იღებს სათავეს. მხოლოდ სიცრუეზე და პროვოკაციებზე იყო გათვლილი მათი სტრატეგია — „მრგვალი მაგიდის“ დისკრედიტაცია.

აგერ, გუშინწინ (ჩვენი საუბარი 27 აგვისტოს შედგა. გ. ზ.), რამდენიმეჯერ ახსენეს ეკრანიდან, რომ პირველი სახელმწიფო იყო უკრაინა, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა სცნოო! ჰო, მაგრამ, ჯერჯერობით ხომ ყველანი ცოცხლები ვართ, ყოველ შემთხვევაში, უმრავლესობა. განა ისევ თქვენ არ გაჰყვიროდით დაცინვით — დიდი ამბავი, უკრაინამ თუ გვცნოო! ნუთუ, ასეთ რამეს ვინც იკადრებს, მას ნამუსის ნატამალი მაინც არ გააჩნია!

ერთი-ორი კვირის წინათ, მგონი, „კავკასიის“ არხით გამობრძანდა ქალბატონი ირინა სარიშვილი-ჭანტურია. შევიდა ტელემაყურებლის შეკითხვა: ქალბატონო ირინა, იყო დრო, მიტინგებზე ამბობდით, რომ არსებობს შევარდნაძე-გამსახურდიას ალიანსი! მერე კი გაირკვა (თავად პრეზიდენტმა წამოგძახათ სახალხოდ!), რომ თქვენ თვითონ დადიოდით მოსკოვში შევარდნაძესთან, კონსულტაციების მისაღებად!

რა გგგონიათ, როგორი იყო ქ-ნ ირინას პასუხი? არც მეტი, არც ნაკლები: „სწორედ მაგაში გამოჩნდა, რომ ალიანსი იყო! იძულებული გავხდით, რომ შევარდნაძესთან წავსულიყავით!“ როგორ უნდა ამოვხსნათ ეს, — როგორც დიდი რაიკინი იტყოდა, — „კროკსვორდი“?!

**— ბატონო დავით, კიდევ ვინ იყო დიქტორებიდან „ბუნკერში“?**

— თინა მგალობლიშვილი, მზია, ბაქრაძე, თამაზ ჭყონია, თამრიკო გელაშვილი.

**— არადა, ესენიც როგორ აკლია დღევანდელი საქართველოს საინფორმაციო, და არა მარტო საინფორმაციო, პროგრამებს! როგორი დახვეწილი, თავანკარა ქართულით, როგორი ჭეშმარიტად ქართული დიქციით მეტყველებდით ყველანი!..**

— მართლაც გულსატკენია, ხანდახან ისეთ დაღვლაჭნილსა და გატყლარჭულ ქართულს მოისმენს კაცი! ეტყობა, თვითშემოქმედებაზეა ყველაფერი მიშვებული! ვისაც როგორი კოსტიუმი მოსწონს, ისეთით ჯდება კადრში, ვისაც როგორი მაკიაჟი აკმაყოფილებს, ისეთს იკეთებს, ვისაც როგორ მოსდის ჭკუაში, ისე გამოთქვამს ამა თუ იმ სიტყვას. ხშირად, საერთოდ, შეცდომით! ვთქვათ, „ცივილიზებულის“ ნაცვლად, როგორც წინა შაბათს, მარიამობას, პროგრამა „ფსიქოში“ ვისმინეთ, „ცივილურს“.

**— რა ფუნქცია გაკისრიათ და რამდენი გაქვთ ხელფასი სტუდია „აუდიენციაში“?**

— 200 ლარი. ფუნქცია ისა მაქვს, რომ ვკითხულობ მხოლოდ და მხოლოდ კადრს გარეთ და მხოლოდ და მხოლოდ კრიმინალური სიუჟეტების ტექსტებს. ერთხელაც რომ შემომთავაზონ ე. წ. აგიტაციური შინაარსის ტექსტი, უმალვე გავწყვეტ „კონტრაქტს“ ...

**— ჰონორარს თუ ღებულობთ?**

— არა. ისე, ამას წინათ მთხოვეს ჩამეწერა ორი პატარა რეკლამა. ჩავწერე კიდევაც, მაგრამ... საქმე ისაა, რომ ყველა ცდილობს, რაც შეიძლება მოკლე დროში ჩატიოს ტექსტი, რომ ფულის გადახდაც ცოტამ მოუწიოს. ზოგი რეკლამის შინაარსს ვერც გაიგებ. დიქტორი ცდილობს, რაც შეიძლება სწრაფად ჩაიკითხოს ტექსტი და იმას, თუ როგორ აღიქვამს მას მსმენელი, არაფრად დაგიდევს!

**— რა მოჰყვა თქვენს „ბუნკერულ მოღვაწეობას“, დაკავებული ხომ არ ყოფილხართ, ან დაკითხული?**

— დაკავებით არ დავუკავებივართ. ისე, დარბევა, იცოცხლე, იყო!..

**— ვინ და როდის დაგარბიათ?**

— პირველ საშუალო სკოლას ცეცხლი ეკიდა (ბოლოს, ესეც ჩვენ დაგვბრალდა — პრეზიდენტმა დააწვევინაო!), ჩვენ იქვე ვცხოვრობდით. მე სიდედრი მყავდა დამბლადაცემული. მთელი სახლი დაცლილი იყო. ყველა გახიზნული. სიდედრს ენა ჩავარდნილი ჰქონდა, ვერ ლაპარაკობდა ბოლო სამი წელიწადი.

ერთი სიტყვით, ცეცხლმოდებული ბინიდან სამივენი მეუღლის მეგობრის ბინაში გადავბარგდით, დიდუბეში, თუმც მე მათ გამოვეყავი და ხან ვისთან ვიყავი და ხან — ვისთან. მოსულან, აუწიოკებიათ ოჯახი. ეტყობა, ვიღაცას დავუბეზღებივართ. კიდევ კარგი, იქ არ ვიყავი! აუქოთებიათ იქაურობა, აბა ჩხრეკა და აბა ძებნაო!.. მეძებდნენ, ხომ არსად ვიყავი შემალული. ეს ხდება 1992 წლის 7 იანვარს, ქრისტეშობას. ქვემოდან თურმე ისმოდა: „ჯერ გაატარე და მერე ესროლე!“ და ასეთი რაღაცეები, დაშინების მიზნით. სახლი მთლიანად გარშემორტყმული ყოფილიყო. ზოგი ფორმიანი იყო, ზოგიც უფორმოო, მეუღლემ. მიცვენილან სიდედრს იარაღმომარჯვებულნი, თქვი, დავით სოკოლოვი შენი რა არისო. სსს-იძეო, უთქვამს. შიშზე ენა ამოუდგამს იმ საბრალოს.

**— ბუნკერში ყოფნისას, — ეს ბევრჯერ ითქვა, — პრეზიდენტის ხალხი სასტიკად აწამებდა ხოლმე ტყვეებსო, მავთულზე ჰკიდებდნენო და ათასი რაღაც. სწორია ეს?**

— ყოვლად უნამუსო ტყუილია! აბსოლუტური ბლეფია, რათა ხალხს გული გასტეხოდა პრეზიდენტზე, საწინააღმდეგოდ განეწყო. პუტჩისტების „რევკომს“ (მათ ხომ „სახალხო რევოლუციად“ მოუნათლეს პუტჩი მოსკოვში!) თავისი სპეცსამსახურებიც ჰყავდა უკვე. ეს იყო მათი „შემოქმედება“. არავითარი წამება არ ყოფილა. რატომ უნდა ჩამოეკიდათ ვინმე მავთულზე და რატომ უნდა შეეერთებინათ დენი! რისთვის! რა, შპიონი იყო, სახელმწიფო საიდუმლო იცოდა და ისე არ ტყდებოდა, თუ რა?

**— როგორ! ფაშისტი და სადისტი იყო პრეზიდენტიო, გაქცეულს მაგიდაზე სადიზმის ინსტრუქციების კრებული დარჩენია გადაშლილი — ეცნობოდა, რამდენნაირად შეიძლება მოწინააღმდეგის წამებაო!..**

— ენას ძვალი არა აქვს! ეს კი არადა, არ მინდა დავასახელო, ახლანდელ არმიაშია გენერლად, თბილისის ზღვაზე დაბანაკებული ამბოხებულების ასალაგმავად სთხოვა ზვიადს — ჩემი 80 კაცით მაგენს ბდღვირს ვადენო! სასტიკი წინააღმდეგი წავიდა: როგორ შეიძლება, ქართველთა სისხლი დაიღვრება, ამას ვინ გვაპატიებსო!.. არადა, პრეზიდენტს, არათუ უფლება ჰქონდა, მოვალეც იყო დაესაჯა სარდალი!..

**— დავით ბატონო! რომ გკითხონ, ყველაზე მეტად ამ ბოლო ხანს რამ გაგაოცათო, რას უპასუხებდით?**

— როცა ექს-პრემიერი, პუტჩის სული და გული, ბატონი თენგიზ სიგუა წარბშეუხრელად აცხადებს (გაზეთში ამოვიკითხე ამ ზამთარს!): როგორ შეიძლებოდა თბილისის დანგრევა და გადაწვა, ეს რა ვანდალიზმიაო!

კიდევ შეიძლებოდა ჩამოთვლა, მაგრამ ვიცი, მავანი და მავანი, ყველაფერს დაბოლმილი კაცის პოზიციად ჩამითვლის.

**— მიგაჩნიათ თუ არა საჭიროდ და აუცილებლად 1991-1992 წლების მოვლენების პოლიტიკური შეფასება?**

— ამჟამად ვერ შეიქმნება ისეთი კომპეტენტური კომისია, რომელიც ობიექტურად შეძლებდა იმ მოვლენების შეფასებას. თუ მაინც შეკოწიწდება ასეთი კომისია, მაშინ დიდი საშიშროება იქნება, რომ კვლავ მცდარი, ტენდენციური დოკუმენტი შეიქმნას, იმის მსგავსი, სობჩაკის კომისიამ რომ მიიღო 9 აპრილის შეფასებისას. ეს კი, ისტორიული თვალსაზრისით, არასასურველი იქნება. ისევ წავა დაპირისპირებანი. ისევ შეიძლება იარაღს წაეტანონ. ერთი თუ გავარდა, მორჩა!

ასე რომ, 1991-1992 წლების მოვლენებს პირუთვნელად მომავალი შეაფასებს. ამ მხრივ, სავსებით ვიზიარებ მისი აღმატებულების, ბატონი პრეზიდენტის აზრს.

**— საპარლამენტო არჩევნებში თუ აპირებთ მონაწილეობას?**

— ახლა არა. 1995 წლის არჩევნებში ვღებულობდი მონაწილეობას. ახლა არა.

**— ჩვენთან კორუფციასთან ბრძოლა, არათუ ახლა, სიტყვით სულაც 1972 წლიდან მიმდინარეობს, მაგრამ სასურველი შედეგისაგან ჯერჯერობით შორსა ვართ. ამას წინათ, ბატონმა ლევან ბერძენიშვილმა საავტორო გადაცემაში „მჯერა“ არცთუ ორიგინალური იდეა წამოაყენა: კორუფციასთან ბრძოლა უნდა დავიწყოთ იმით, რომ მინისტრს ათასლარიანი ხელფასი დავუწესოთო. თუ კიდევ დააშავებს, მერე სხვანაირად დაველაპარაკოთო.**

— ერთი შეხედვით არასწორი მისამართით სვამთ ამ კითხვას: მე, დავით სოკოლოვს, პროფესიით არაეკონომისტსა და არაფინანსისტს, რა გამეგება ასეთ საკითხებში! მაგრამ, თუ იმას ითვალისწინებთ, რომ თავად ბატონი ბერძენიშვილიც ძალიან შორსაა ამ პროფესიებისგან, მაშინ სწორი ბრძანდებით.

ასე გეტყვით: დილეტანტის დონეზე ჩამოყალიბებული კონცეფციაა. კორუფციას, ჯერ ერთი, ფსიქოლოგიური მომენტითაც უნდა განვიხილავდეთ. აქ მხოლოდ „კუჭის“ ფაქტორი როდია მთავარი. თუ კაცი წუწკი სულის პატრონია, ათი ათასიც რომ დაუწესო, მაინც გაექცევა ხელი. „ის ქვეყანაც ჩემი იყოს“! — ხომ გახსოვთ ბარათაშვილთან. არადა, სწორედ მეფედ წარმოუდგენიათ თავი მავანთ.

ბერძენიშვილთან დაკავშირებით ერთიც უნდა ვთქვა აუცილებლად: რას ჰქვია ეროვნული რეკვიზიტის გაუქმება! რატომ უნდა მოიშალოს ეროვნების გრაფა?! შენ რომ ყველას „საქართველოს მოქალაქედ“ ქცევა გნადია, იმ სომეხს, რუსს, აფხაზს, ქურთს არ ეკითხები, არიან თუ არა თანახმა?!

მე, მაგალითად, თავი მომწონს იმით, რომ ქართველი ვარ. ჩინელსაც, ალბათ, იმით, რომ ჩინელია!

**— როგორ ფიქრობთ, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში „ხმების გაყალბებას“ ექნება ადგილი?**

— ძნელია, რომ არ ექნეს! ჰქონდა უწინ და ექნება ახლაც. ეს იმიტომ, რომ კანონი ჯერ კიდევ არ კანონობს. ხომ ითქვა, რომ საარჩევნო კანონი დისკრიმინაციულია! კანონი იმიტომ არ კანონობს, რომ უპირველესად ვინც უნდა იცავდეს, ის არ იცავს!

**— თუ დადგინდა, რომ ამან და ამან ფულით მოისყიდა ამომრჩეველი, კანონი მას დასჯის თუ არა?**

— ჰო, მაგრამ, მაგის დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია. მოწმეს ვერ იშოვი. მაგალითად, ყველამ ვიცით, რაც ჩაიდინა “მხედრიონმა”. კი, ახლა ცოტა უხერხულია ამის ხაზგასმა, რადგან „მხედრიონი“ ისედაც დასჯილია, მაგრამ იმისთვის არაა დასჯილი, რისთვისაც უნდა დასჯილიყო! არაა იმიტომ, რომ ძარცვა-გლეჯის ფაქტების დადგენა, მოწმის გარეშე, ვერ ხერხდება. ერთი სიტყვით, ჩვენში არ არსებობს მოწმის დაცვის ინსტიტუტი.

სამეგრელო როგორც გაიძარცვა, მე ვარ მაგის მოწმე. ვხედავდი, რაც ხდებოდა. მე იქიდან ფეხით მოვდიოდი.

**— საიდან?**

— ზუგდიდიდან. 1993-ის ბოლო იყო, ნოემბერი. კოლონებად მოდიოდა ნაძარცვი. საწვავი ჭირდა მაშინ. ბენზინი არ იშოვებოდა. „კამაზებსა“ და ტრეილერებზე ჰქონდათ მიბმული ხუთ-ხუთი, ექვს-ექვსი მსუბუქი მანქანა და ჰაიდა!.. მიმდინარეობდა საკუთარი ხალხის ტოტალური ექსპროპრიაცია!.. ჩემი საკუთარი თვალებით ვხედავდი, იმიტომ, რომ ფეხით განვვლე მთელი გზა ზუგდიდიდან ონამდე.

**— რას იტყოდით ბატონი ნუგზარ ფოფხაძის განცხადებაზე, რომ მხარს უჭერს „ალორძინების“ ბლოკის კანდიდატს, ბატონ ზვიად ცეცხლაძეს, ასევე იმ რეაქციაზე, რომლითაც ბატონი ედუარდი გამოეხმაურა ამ ფაქტს?**

— ოო, მაგ ფაქტმა ძალიან, ძალიან დამაბნია. ვერანაირად ვერ ამიხსნია.

**— ბატონო დავით, საბოლოოდ, მოდით, ასეთი რამ წარმოვიდგინოთ: ვთქვათ, ბატონმა პრეზიდენტმა (რაც უნდა იყოს, სწორედ მას გაახსენდით სამსახურში დაბრუნებისას!) თვითონ გთხოვათ ჩამოაყალიბოთ ის პრეტენზიები, რაც ხელისუფლების მიმართ გაგაჩნიათ. ჩამოუყალიბებდით?**

— რატომაც არა! პირველი: ზედმეტად ველოლიავებით თავგზააბნეულ რუსეთს! 12 კმ-იანი ზონა თუ უნდა ყოფილიყო ენგურის ორივე მხარეს, რატომაა, რომ „ჩაფხუტიანებმა“ იმდენი იჩოჩეს, იჩოჩეს, რომ ლამის ხობს მოადგნენ?! საპროტესტო ნოტა მაინც არ უნდა წარგვედგინა?!

მეორე: ბატონმა ოტიამ, ამას წინათ, ამავე გაზეთში ბრძანა, რომ სიტყვის გატეხა კაცისთვისაც და სახელმწიფოსთვისაც ერთობ ცუდი რამაა! დავპირდით ხალხს ერთმილიონიან სამუშაო ადგილს? კიდევაც უნდა შევუსრულოთ!

მესამე: მხოლოდ სიტყვით ვიბრძვით კორუფციის წინააღმდეგ, რადგან არც ერთი სახელმწიფო დამნაშავე, არა თუ დასჯილა, არც გამოვლენილა საქართველოში!

მაგალითად, სართიჭალაში, ერთერთმა ამერიკულმა ფირმამ ააშენა ნავთობგადამამუშავებელი მინი-ქარხანა, რომელმაც ქართველ ენერგეტიკოსებს საკმაოდ ხელმისაწვდომ ფასებში შესთავაზა თურმე მაზუთი. ენერგეტიკოსები კი გაცილებით ძვირად „ყიდულობენ“ უცხოეთში მაზუთს, რასაკვირველია, ფულის „მოტეხვის“ მიზნით! უყურებს ამერიკული ფირმა ამ ტრიუკს, უყურებს და ერთ მშვენიერ დღეს გუდა-ნაბადსაც აიკრავს!..

რა ახლა, ძნელი დასადგენია მაფიის კვალი?! ლავრენტი ბერია ან ალენ დალესია ამისათვის საჭირო?!

**— ბატონო დავით, ახლა ყველა ქართველი ეკითხება ასევე ყველას: როგორ ფიქრობთ, ეშველება საქართველოს?**

— თუ მოინდომებს — კი ეშველება!

*ესაუბრა გიზო ზარნაძე*

## პოეზია

# გველეშბის თავდასხმა

*ავთანდილ ხარაიშვილი*

მხოლოდ სიცხე ხალისობს,
ხმა არ ისმის წვიმისი;
უხსენებლით აივსო
გათანგული თბილისი.
ზოგს ბინა აქვს კაცობის,
ზოგსაც — ხვრელი გველების;
ბევრი არის საცობი,
ხვრელის ჭიანჭველების.
ჩხრიალათა პარპაში
კარგს არაფერს გვპირდება,
ვართ წყეულთა ალყაში —
თენდება თუ ბინდდება.
ცოტა დრო გვაქვს კარგ დრომდის, —
დაპირება წყვილ-წყვილი;
გველი გარეთ გამოდის...
ხვრელში წივის წიწილი.
კოსმოსს კაცი მიფრინავს,
კოსმიური სინდისის;
როდის იყო თვითმფრინავს
რომ აგდებდნენ მშვილდ-ისრით.
დარი დარობს კვირადღის,
ფული არ მაქვს მაწვნისა;
არც საქმე მაქვს პირადი,
გეფიცებით მთაწმინდას.
არ იქნა, არ გაწვიმდა,
რო სოკოზე წაყვე კაცს;
აქ ცხოვრება გაძვირდა,
აქვს ერთადერთს — გარეწარს!
ანდა, ვინ გაპატიებს, —
ყველა მისთვის კურკურობს;
ამ უტვინო პარტიებს
სანამ უნდა უყურო.
არჩევნები უჩვენებს, —
გახდე ნარცხის ნარეცხი;
ღმერთო! ღმერთო! უშველე,
ყველა სინდისგარეცხილს!
ჩამორიგდა რგოლებად
საარჩევნო მაფია;
ახალ „კომსომოლებად“ —
სიტყვით ყველა თაფლია.
უწინ ჩეხდნენ „საფერავს“,
ჯერი მისდგა „რქაწითელს“;
ისტორია წაკრიფავს
ამ უმწიფარ რქაწითელს.
შობელძაღლთა ნაშიერთ
ცოდვები არ შერჩება;
კაცს ვერ ნახავ ასში ერთს,
არ იძახდეს „შე ჩემას!“
ქანაობენ ქუჩები
მათხოვართა ხელებით;
გაცრეცილი ტუჩებით,
ხახაგამხმარ ხველებით.
უნამუსოს, ჩემს სკამზე,
ჩემთვის აღარ სცალია...
ხაშს მიირთმევს სისხამზე,
მე, — არც ნიორწყალია!..
იმის სისხლი გაწყალდა,
ვინც ჩვენს სისხლს სვამს ამხანად, —
რომ ეშველოს საწყალ ხალხს,
მეგობარს და ამხანაგს!!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მარსელიოზა“ ხომ არ გვემღერა, ბატონო გივი.... ერთად?!

*დასაწყისი იხილეთ (№28,29,30,31).*

ძვირფასო მკითხველო! მინდა გაუწყოთ, რომ ბატონ გივი გიგინეიშვილს (საქ. პარლამენტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე) თავის წერილში (პასუხად ავტორს პუბლიკაციებისა „გურული „ავაზაკები“ და „მცირე რევოლუცია“ ლანჩხუთში“ იხ. გაზ. „საქართველო“ №31. გვ. 12) ან ეშლება თავისი კომიტეტის მიერ კონსპირაციულად მიღებული კანონის სახელი, ან განზრახ დეზინფორმაციას.

ვაკეთებ ციტირებას: **მართალი**



*WWF-ელები სუფსაში*

**გითხრათ, ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ კანონის მიღებას „კოლხეთის დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ ასეთი რეაქცია მოყვებოდა.**

ორივე შემთხვევაში, მე ვალდებულად ვთვლი თავს გაუწყოთ სწორი ინფორმაცია. გურიაში აჟიოტაჟი და მძაფრი რეაქცია გამოიწვია არა ზემოთხსენებულმა კანონმა, არამედ კანონმა „კოლხეთის დაც-



*ლანჩხუთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი რომან კვაჭაძე უმტკიცებს, პარლამენტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის აპარატის უფროსს, ქეთევან გუჯარაიძეს, რომ კანონისათვის „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ მე-3 მოსმენისას ხმა არა აქვს მიცემული.*

ული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“, რომელიც მიიღეს 1998 წლის 9 დეკემბერს და რომლის უკანაც საკმაოდ დიდი გუნდის ფინანსური ინტერესები მოისაზრება (ამაზე დაწვრილებით და მტკიცებულებით თქვენს ინტერესს სპეც. გამოშვებაში დავაკმაყოფილებ.)

რაც შეეხება კანონს „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, იგი საქართველოს პარლამენტმა მიიღო 1996 წელს და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF-ის) საქართველოს წარმომადგენლობის სიტყვით — **წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საკანონმდებლო საფუძველს საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარებისათვის. ამ ჩარჩო კანონის უმთავრეს მიზანს საქართველოს სინამდვილესთან ტერიტორიების დაცვის IUCN-ის მიერ შემუშავებული კატეგორიების ადაპტირება წარმოადგენს. კანონის თანახმად, საქართველოში შესაძლებელია დაცული ტერიტორიების 11 კატეგორიის გამოყენება (სახელმწიფო** ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია, აგრეთვე, საერთაშორისო ქსელში ჩართული კატეგორიები — ბიოსფერული რეზერვატი, მსოფლიო მემკვიდრეობის უბანი, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორია). ამგვარად, კანონი არსებული სისტემის კრიტიკული გადახედვისა და ადგილობრივ პირობებს მორგებული, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ახალი დაცული ტერიტორიების შექმნის საუკეთესო შესაძლებლობას ეძლევა.

დიახ, ბატონებო! ეს კანონი და მენეჯმენტის გეგმა „კოლხეთის ეროვნული პარკის შესახებ“ საფუძვლად სრულიად საკმარისი იყო, რათა შეექმნათ კოლხეთის ეროვნული პარკი. ამას უჩიჩინებდა ბატონ გივისა და მის თანაგუნდელებს ბატონი ჭიჭიკო ჯანელიძე (რომელიც ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგია კომიტეტის მიერ მიღებული კანონისა). არ დაუჯერეს... თავში საცემად გაუხდათ საქმე. იხტიბარს კი არ იტეხენ!

რაც შეეხება მოსახლეობის ეკოგანათლების პროგრამას, (რომელიც ასე ბრწყინვალედ აქვს გადაწყვეტილი WWF-ს ბორჯომ-ხარაგაულის პარკის მაგალითზე) კანონის „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ მიღების შემდეგ, აზრი ეკარგება. კანონი, მოგეხსენებათ სავალდებულოა შესასრულებლად და იდეაფიქსი, რომელიც გატარებულია მასში (ამ შემთხვევაში კოლხეთის ეროვნული პარკის შექმნა), აღარ საჭიროებს რეკლამირებას. არადა ამ პროგრამაზე საკმაოდ სოლიდური თანხა აქვს გამოყოფილი მსოფლიო ბანკს, რომლის კარნახითაც მიიღეს ეს კანონი (ამასაც სპეც. გამოშვებაში დაგიმტკიცებთ). სად მიდის ეს თანხა?!!

1996 წელს მიღებული კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, პირდაპირ უბრძანებს გივი გიგინეიშვილსა და ბატონი გია გვაზავას ჯგუფს — შემდეგს:

**მუხლი 22. მოსახლეობასთან და საზოგადოებრივ გაერთიანებებთან თანამშრომლობა.**

მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენლებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ:

**ა) დაცული ტერიტორიების დაარსების, განვითარების, შემცირებისა და გაუქმების გადაწყვეტილებების, მენეჯმენტის გეგმების, დებულებებისა და სხვა დოკუმენტების განხილვისა და შესწორებების პროცესში;**

**ბ) დაცული ტერიტორიებისა და ბუფერული ზონის მოვლა-პატრონობისა და მართვის საქმიანობაში;**

**გ) ადგილობრივი პრობლემატიკის სრულფასოვანი ასახვის მიზნით, ცენტრალურ პროგრამებში და საკონსულტაციო საბჭოებში;**

**დ) დაცული ტერიტორიების ადგილობრივი ფუნქციონირებისათვის გამოყოფილი არასაბიუჯეტო ფინანსების ხარჯვის რეგულირების საქმეში და სხვა.**

თქვენ, „ხალხის რჩეულნო“, კანონის ეს მუხლი არ შეგისრულებიათ. ძვირფასო მკითხველო! ვიმეორებ, ბატონი გივი გიგინეიშვილი თავის სტატიაში ან ცდება ან გატყუებთ, როცა ამბობს ვერ წარმოვიდგენდი, რომ კანონის მიღებას „კოლხეთის დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ ასეთი აჟიოტაჟი მოჰყვებოდაო გურიაში.

კანონს, ამ სახელწოდებით დიდი სიმპატიები აქვს გურიის რეგიონში, რასაც ვერ ვიტყოდი 1998 წლის 9 დეკემბერს მიღებულ ავადსახსენებელ კანონზე — „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა მართვის შესახებ“.

მინდა აგრეთვე გაუწყოთ, რომ გურულებს არავითარი პრობლემა არა აქვთ ეროვნული პარკის იდეის მიმართ, არამედ განრისხებული არიან პარკისადმი თქვენეულ მიდგომაზე და ნუ ცდილობთ ეს ორი სხვადასხვა მცნება ერთ სიბრტყეში მოაქციოთ (ნუ ეფარებით ეროვნული პარკის იდეას).

საკმარისი იყო მცირეოდენი რეკლამა გაკეთებოდა რეგიონში პარკისადმი ცივილიზებულ-დასავლურ მიდგომას (WWF-სეული ვარიანტი), რომ ხალხი დიდი სიყვარულითა და სითბოთი შეხვედროდა მათ ავტორებს.

მინდა დავამატო, რომ ამ კანონის მიღებას პარლამენტში, საკმაო რაოდენობის მოწინააღმდეგე ჰყავდა. მისი მიღებიდან გავიდა 10 თვე და კანონის სახელიც კი არავის ახსოვს. დავიარე თითქმის ყველა ფრაქცია და დიდი ენერგიის ხარჯვა მიწევდა იმის ასახსნელად თუ რა შედეგი გამოიღო მათმა ნალვაწმა გურიის რეგიონში. სიცილით მეუბნებოდნენ — ეგ კანონი „ხელსმიყოლებულ“ კანონთა რიგს განეკუთვნებაო. მე-2 და მე-3 მოსმენა მოხდა დიდი სისწრაფით 8 და 9 დეკემბერს. ამ სახელით დეპუტატები მოიხსენიებენ ისეთ კანონს, რომელსაც „მძიმე“ კანონების მიღებით არაქათგამოცლილნი — უცბად მიასამშაბათებენ.

თქვენ კი, ბატონო გივი ხალხს აქეთ ამტყუნებთ 1996-98 წლებში რატომ არ აქტიურობდითო. ამ წლებში, ლანჩხუთის საზოგადოებრიობის დიდი ნაწილის აზრით უნდა ეაქტიურა ლანჩხუთის მაჟორიტარ დეპუტატს — ბატონ რომან კვაჭაძეს, რომელსაც ავიენები თქვენს მეგობრად მოიხსენიებენ. მაგრამ „მეგობრებშიც“ ხდება გაუგებრობა. ამის მაგალითად გამოდგება შემდეგი:

**1999 წლის აპრილის ბოლოს თქვენთან დავამთავრე ინტერვიუ. შემოდის ბატონი რომანი (ჩვენ პოლემიკა გვქონდა ზუსტად ამ წლებში მოსახლეობის აქტიურობაზე). თქვენს შორის წარმოიშვა დავა. თქვენ უმტკიცებთ — ხმა გაქვს მიცემული კანონზეო. ის იძახის — არაო. ამის შემდეგ მე, ბატონი რომანი და თქვენი აპარატის უფროსი ქეთი გუჯარაიძე ვიხედებით კომიტეტის არქივში, და... ბატონი რომანის სიმართლეში ვრწმუნდებით.**

ბატონო გივი, ძალიან ბევრი „შეცდომა“ მოგდით. კიდევ კარგი მე ვიყავი იქ დამსწრედ და არა ლანჩხუთის საკრებულო, თორემ მტერს არ ვუსურვებდი, რაც ბატონ რომანს დაემართებოდა.



*რომან კვაჭაძე*

**კვაჭაძე რომანი**

**მაჟორიტარი დეპუტატი ლანჩხუთის რაიონიდან, ფრაქცია „იმედი“-ს წევრი**

**დაიბადა ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჯურუყვეთში (1941)**

**დაამთავრა ინწრის საშ. სკოლა (1958)**

**სკოლის დამთავრების შემდეგ 1 წლის განმავლობაში მუშაობდა ენწერის კოლმეურნეობაში.**

**სწავლობდა ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, სამკურნალო ფაკულტეტზე (1959-65).**

**მუშაობდა ქედის რაიონის სოფ. ზვარეში, შემდეგ ქ. ფოთის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სადგურში (1965-68).**

**დაამთავრა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ქირურგიულ კათედრაზე კლინიკურ ორდინატურის კურსები (1062-70).**

**მუშაობდა ქ. თბილისში, დასაწყისში მორიგე ქირურგად, შემდეგ სისხლძარღვთა ქირურგიის რესპუბლიკური ცენტრის გამგედ (1976-82).**

**შემდეგ ზემოთ აღნიშნული ცენტრი გადაკეთდა განყოფილებად და დაინიშნა განყოფილების გამგედ (1982-95).**

**1995 წელს კენჭი იყარა ლანჩხუთის რაიონში, როგორც მაჟორიტარმა დეპუტატმა. არის ფრაქცია „იმედი“-ს და „ჯან.დაცვის და სოციალურ საკითხთა“ კომიტეტის წევრი.**

**დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998). მიზეზი — მედიცინის დარგში ნაყოფიერი მოღვაწეობა.**

რაც შეეხება ჩემს დაინტერესებას ფირმა „ეკოტექსით“, რა თქვენი საქმეა ვისით დავინტერესდები. ამ ფირმით მარტო მე კი არა, მთელი ქვეყანა ყოფილა დაინტერესებული. (იხ. გაზ. „საქართველო“, №28, 29, 30; გაზ. „ალია“ სტ. „რა ხდება სუფსაში“?, გაზ. „დრონი“ და სხვ.). ე. ი. ჟურნალისტები, თუ ამ ფირმისადმი თქვენეულ მიდგომას გადმოსცემენ (მაია ფურცელაძე, მაკა ჯაიანი) — ეს მისაღებია თქვენთვის და თუ ხდება იმ დოკუმენტაციის გამოქვეყნება, რომელიც მჭიდროდ არის დამოკიდებული თქვენი კანონის მიღებასთან, მაშინ გცხელათ?, თან ზემოთხსენებულ ჟურნალისტებს „ეკოტექსთან“ არ უმუშავიათ, ხოლო მე კი ამ ხვათქ ზაფხულში ორი კვირის განმავლობაში ვუსმენდი ქართულად ცუდად მოსაუბრე და ლოგიკანაკლულ იური რამაზაშვილს („ეკოტექსის“ გენ. დირექტ.), რათა გამერკვია მისი დამოკიდებულება ჩემი რეგიონის მიმართ. რაც მე იმას ნაკვეთებზე ვდიე, რათა საკუთარი თვალით მენახა მისი „ყბადაღებული“ გრანულირებული სასუქის მოქმედების შედეგი — მტერს არ ვუსურვებ.

რაც შეეხება კანონს, ავი ხმები ამბობენ — მასში მე-3 მუხლი შეტანილია „ეკოტექსის“ ჯინაზე, იმნათის (სუფსის ტერიტორია) ტორფის საბადოს დასაბლოკადო, რის დამუშავებასაც ასე კატეგორიულად მოითხოვს სუფსის თემისა და ლანჩხუთის საკრებულოები. თქვენ ეს საუკეთესოდ იცით. იცით, ისიც რომ ისინი ითხოვენ ტენდერს ამ საბადოს დამუშავებაზე. ეს იმის შემდეგ, რაც ენერგიული კომპანია გააჩალეთ ამ ფირმის იმიჯის წინააღმდეგ. თან ისე გადაამლაშეთ, რომ ზედ მოსახლეობაც მიაყოლეთ. (ამის შესახებ დაწვრილებით სპეც. ნომერში). სწორედ ეს მომენტი შეადგენს ჩემი დაინტერესების საგანს და არა ფირმა „ეკოტექსი“, რადგან თქვენ ამ ფირმაზე მოსახლეობის ყურადღებისა და ენერგიის გადატანით, დაბლოკეთ რაიონის აგრომადნები და მიუხედავად ხალხის ისტერიისა მიიღეთ მსოფლიო ბანკისგან ნაკარნახევი კანონი!!!

რაც შეეხება, ბატონ რომან კვაჭაძეს, მან დროულად... 1999 წლის 13 მარტს (როცა უკვე მიღებული იყო კანონი) დააფიქსირა ეს და საქართველოს პრეზიდენტს მისწერა შემდეგი შინაარსის წერილი.



**„თუ არ იქნება ტორფის ქარხანა, არ იქნება კოლხეთის პარკი ლანჩხუთის ტერიტორიაზე“**

სადეპუტატო უფლებამოსილების აღსრულების მიზნით, ვალდებული ვარ, მოგმართოთ ლანჩხუთში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო.

ცნობილი საფინანსო-საბიუჯეტო კრიზისისა და სხვა გარემოებათა გამო ლანჩხუთის რაიონმა 1998 წელი დიდი ფინანსური დეფიციტით — 436 ლარით დაამთავრა. ამას დაემატა 114000 ლარის ოდენობით გაუცემელი სოციალური დახმარება და 800000 გაუცემელი პენსია. პენსიონერებთან ერთად უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ პედაგოგები და ჯანდაცვის მუშაკები, რომელთა გაუცემელმა ხელფასებმა 364000 ლარი შეადგინა. ეს ხდება მაშინ, როცა რაიონმა 1998 წლის საბიუჯეტო დავალება 94,5%-ით, ხოლო ცენტრალური ბიუჯეტის — 115%-ით შეასრულა. მიმდინარე წლის 19 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი. მასში გათვალისწინებული ხარჯების ლარის არსებული ინფლაციის პირობებში სასიკეთო გარდატეხას რაიონის მოსახლეობას ვერ ჰპირდება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული მდგომარეობა ლანჩხუთის მოსახლეობის პერმანენტულად მზარდ უკმაყოფილებას იწვევს.

ბოლო წლებში გურიის რეგიონსა და კერძოდ, ლანჩხუთში, ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარებისათვის დაიგეგმა, და განხორციელდა დიდი პროექტები (დამთავრდა სუფსის სანავთობე ტერმინალის მშენებლობა, ლანჩხუთში დაიწყო სავაგონო დეპოს მშენებლობა, რეალური გახდა ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის განხორციელების პერსპექტივა და სხვა).

მიუხედავად ამისა, ქვეყნისა და რეგიონისთვის ფრიად ერსპექტიული პროექტების ბლოკირება ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწეთა მხრიდან, მაინც ხდება, ვიწრო უწყებრივი ინტერესებიდან გამომდინარე ბიუროკრატიული მიდგომით და ადგილობრივი მოსახლეობის სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობების გაუთვალისწინებლობით.

ასევე ხდება თქვენი 1998 წლის 25 ოქტომბრის №767 განკარგულების „გურიის მხარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დამატებითი ღონისძიებების შესახებ“ I პუნქტისა და II პუნქტის ვ და გ. ქვეპუნქტების ბლოკირება. ადგილი აქვს „საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფციის“, საქართველოს კანონების: „ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის შესახებ“, „უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ხელშეწყობის შესახებ“, საერთაშორისო შეთანხმების (რამსარის კონვენცია) და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტების მოთხოვნათა უგულვებელყოფას.

ზემოაღნიშნულს ადასტურებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს პოზიცია „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველო-ისრაელის ერთობლივი კომპანია „ეკოტექს ლტდ“-ს მიერ, სამინისტროში წარდგენილი პროექტის, (ლანჩხუთის რაიონში ეკოლოგიურად სუფთა ორგანული

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მარსელიოზა" ხომ არ გვემღერა, ბატონო გივი.... ერთად?!

მე-12 გვერდიდან

მინერალური სასუქის „ცომფ"-ის დამამზადებელი საწარმოს შექმნის შესახებ) განხილვის მიმართ მიდგომა.

ეს საკითხი მეტად მწვავედ დგას ლანჩხუთის რაიონში. ამიტომ, მთელი მოსახლეობის, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის წარმომადგენელთა, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კატეგორიული მოთხოვნაა, თქვენს მიმართ სხვადასხვა დროს გამოგზავნილი მათი წერილები და ლანჩხუთის საკრებულოსა და გამგეობის ერთობლივი მიმართვა თქვენსა და პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე, ირადად გადმოგცეთ იმ იმედით, რომ თქვენი განკარგულებით, კონფლიქტური სიტუაცია უახლოეს პერიოდში გადაწყდება.

საქმე კი შემდეგშია: ჯერ ერთი 1996 წლის 6 დეკემბერს ლანჩხუთში ჩატარდა კონფერენცია, რომელიც ეხებოდა საქართველოში ეკოლოგიურად სუფთა ზონებისა და წარმოებების შექმნას. მას ყველა დაინტერესებული ორგანიზაცია და უწყება (14 ორგანიზაცია) ესწრებოდა, მათ შორის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროც.

აღნიშნული პრობლემით დაინტერესდა საქართველო-ისრაელის ერთობლივი ფირმა „ეკოტექს"-ი. ფირმამ ჩაატარა შესაბამისი მარკეტინგული კვლევა, შეადგინა ბიზნეს-გეგმა, მოიძებნა პოტენციური ინვესტორები და ლანჩხუთის წიალისეულის ბაზაზე, ეკოლოგიურად სუფთა ახალი თაობის ორგანულ-მინერალური სასუქის „კომფ"-ის დამამზადებელი საწარმოს შექმნა მოინდომა, რომლის პროდუქციაზეც დიდი მოთხოვნაა არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნის გარეთაც. ფირმის მიერ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, უცხოელი ინვესტორები მზად არიან ამ საქმის განვითარებაში 17500000-ზე მეტი ა.შ.შ. დოლარი ჩადონ და ქარხნის მშენებლობა ტორფის საბადოს ლიცენზიის მიღებისთანავე დაიწყონ. საწარმო 300-დან 500-მდე ადამიანს დაასაქმებს. მისი საქმიანობა სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად 1 მლნ აშშ დოლარამდე შეტანას ითვალისწინებს.

1998 წლის 25 მარტს ფირმა „ეკოტექს"-სა და გურიის მხარის ადმინისტრაციას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ლანჩხუთის რაიონში, ყოფილი „საქსოფლნაყოფიერების" კუთვნილ ტორფის გადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიაზე უნდა აშენებულიყო ქარხანა. მხარის ადმინისტრაციას კი უნდა უზრუნველეყო ქარხნის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის გამოყოფა გრძელვადიანი იჯარით და ლიცენზია საჭირო ნედლეულის (ტორფი) გრძელვადიან მოპოვებაზე. შერჩეული იყო იმნათი II-ის საბადო, რომელიც ნაწილობრივ დამუშავებულია. მაგრამ, სამწუხაროდ, მხარის ადმინისტრაციამ ამ ხელშეკრულებით დაამთავრა ფირმასთან თანამშრომლობა.

1998 წლის 22 ივლისს ფირმა „ეკოტექს"-მა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩასატარებლად და ლიცენზიის მოსაპოვებლად ეკოპროექტი ჩაიბარა.

1998 წ. 4 ნოემბერს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის თავმჯდომარე ბ-ნი მ. მაჭავარიანი, გარემოს დაცვითი ნებართვების სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბ-ნ ს. ცაბაძეს, №10-21/301 წერილით პირდაპირ უკრძალავს პროექტის განხილვას:

„თქვენს მიერ წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გაცნობებთ, მოთხოვნილი ტერიტორია (იმნათის ტორფის საბადოები) მდებარეობს რამსარის კონვენციის შესაბამისად გამოცხადებულ საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე.

ამასთანავე გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ უახლოეს პერიოდში აქ დაგეგმილია კოლხეთის ეროვნული პარკის დაარსება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ ვერ დავეთანხმებით პროექტის განხორციელებას."

აქედან გამომდინარე — გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ფირმა „ეკოტექს"-ს პასუხობს:

„თქვენი წერილის პასუხად, რომელიც შეეხებოდა იმნათის ჭაობების ტერიტორიაზე ტორფის მოპოვებას მისი შემდგომი გადამუშავების მიზნით, გაცნობებთ შემდეგს:

პროექტით განსაზღვრული ტერიტორია მდებარეობს რამსარის კონვენციით დაცული საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის ფარგლებში. ამასთანავე, უახლოეს პერიოდში აქვე დაგეგმილია კოლხეთის ეროვნული პარკის დაარსება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო მიზანშეუწონლად მიიჩნევს ტორფის მოპოვებას აღნიშნულ ტერიტორიაზე და ვერ განიხილავს წარმოდგენილ პროექტს სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის მიზნით". წერილს ხელს აწერს მინისტრი — ნ. ჩხობაძე, 15.11.98 №13-12/124.

ბატონო პრეზიდენტო, როგორც კი პროექტის განხორციელების შეფერხება ცნობილი გახდა ლანჩხუთის საზოგადოებისათვის, თქვენი მისამართით სხვადასხვა დროს რამდენიმე წერილი გამოიგზავნა: 18.12.98. ლანჩხუთის ყველა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმოწერით; 30.12.98, ლანჩხუთის გამგებლის ხელმოწერით; 21.12.98. ლანჩხუთის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარის ხელმოწერით; 27.01.99. ლანჩხუთის რაიონის საკრებულოს მიმართვა, საკრებულოს თავმჯდომარის ხელმოწერით; როგორც ჩანს, თქვენამდე არცერთს არ მოუღწევია.

საქართველოს პრეზიდენტმა 1998 წლის 9 დეკემბერს მიიღო კანონი „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ", ამის შემდეგ ფირმა „ეკოტექს"-ის გენერალურმა დირექტორმა ი. რამაზაშვილმა პარლამენტს დახმარებისათვის მიმართა, რომ არ ჩაშლილიყო პროექტის განხორციელება.

უშუალოდ ჩვენი და პარლამენტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომიტეტის დაცული ტერიტორიების ქვეკომიტეტის თავმჯდომარის გ. გვაზავას მონაწილეობით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრთან ქ-ნ ნ. ჩხობაძესთან, მის დაქვემდებარებაში მყოფი სათანადო დეპარტამენტებისა და ფირმა „ეკოტექს"-ის წარმომადგენლებთან ერთად განხილულ იქნა სადავო საკითხი და ფირმის დირექტორს აღუთქვეს, რომ ლიცენზიას გასცემდნენ მალთაყვის ტორფის საბადოზე პროექტის გადაკეთების შემდეგ. ფირმის დირექტორმა ი. რამაზაშვილმა 1998 წლის 14 დეკემბერს გააკეთა განაცხადი მალთაყვის ტორფის საბადოზე ლიცენზიის მისაღებად, მაგრამ დღემდე პასუხი ვერ მიიღო.

ლანჩხუთში, მიმდინარე წლის 12-13 მარტს, ჩვენი ინიციატივით შედგა ყველა დაინტერესებული უწყების წარმომადგენელთა შეხვედრა, მოსახლეობის, ლანჩხუთის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მონაწილეობით, მაგრამ საკითხი ვერ გადაწყდა.

მოსახლეობა კატეგორიულად სვამს საკითხს: „თუ არ იქნება ტორფის ქარხანა, არ იქნება კოლხეთის პარკი ლანჩხუთის ტერიტორიაზე", ამით კი შეიძლება საქართველოში დესტაბილიზაციის მოსურნე პოლიტიკური ძალები იყვნენ მხოლოდ დაინტერესებული.

ბატონო პრეზიდენტო, დაძაბული სიტუაციის განმუხტვის მიზნით, საჭიროა ანგარიში გაეწიოს საზოგადოებრივ აზრს. აუცილებლად მიგვაჩნია, „კოლხეთის დაცული ტერიტორიებისა და მართვის შესახებ" კანონის მთელ რიგ მუხლებში, უახლოეს პერიოდში, შეტანილი იქნეს ცვლილებები. დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბებისა და მისი საზღვრების დადგენის აუცილებელ წინაპირობად უნდა მივიჩნიოთ ამ ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების ქვეყნისა და ხალხის სასარგებლოდ გამოყენების პრიორიტეტულობა. კანონმა შეიძლება შეზღუდოს, მაგრამ ადგილობრივ მოსახლეობას არ უნდა აუკრძალოს ბუნებრივი რესურსებით (საშეშე ხე-ტყის ჭრა, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, მომთაბარე მესაქონლეობა და სხვა ტრადიციული საქმიანობა) სარგებლობა, შესაბამისი ალტერნატიული საშუალებების გამოძებნის გარეშე.

სათანადო ცვლილებებით კანონის მიღება ხელს არ შეუშლის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებსა და ამ მიზნით უცხოური ინვესტიციების მოზიდვას.

ვფიქრობ, თქვენი აქტიური ჩარევის გარეშე საკითხის დროულად გადაწყვეტა გაძნელდება.

პატივისცემით,

რომან კვაჭაძე

ლანჩხუთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი."

ამ წერილს საქართველოს პრეზიდენტმა 1999 წლის 31 მარტს დაადო რეზოლუცია:

„საქართველოს პრეზიდენტი

ბ-ნ ვ. ლორთქიფანიძეს
ქ-ნ ნ. ჩხობაძეს
ქ-ნ თ. ბერუჩაშვილს
ბ-ნ ბ. ხატიძეს

რწმუნებულთან, რაიონის გამგეობასთან და დეპუტატთან ერთად შეიკრიბეთ, განიხილეთ, წარმოადგინეთ დასკვნა. მინდა გაცნობოთ, რომ ამავე საკითხზე მომმართა ინვესტორმა, რომელიც ბ-ნ ნეთანიაჰუს დელეგაციაში იმყოფებოდა.

მომახსენეთ.

ე. შევარდნაძე

საქართველოს პრეზიდენტი

ბ-ნ ვ. ლორთქიფანიძეს
ქ-ნ ნ. ჩხობაძეს
ქ-ნ თ. ბერუჩაშვილს
ბ-ნ ბ. ხატიძეს

რწმუნებულთან, რაიონის გამგეობასთან და დეპუტატთან ერთად შეიკრიბეთ, განიხილეთ, წარმოადგინეთ დასკვნა. მინდა გაცნობოთ, რომ ამავე საკითხზე მომმართა ინვესტორმა, რომელიც ბ-ნ ნეთანიაჰუს დელეგაციაში იმყოფებოდა.
მომახსენეთ.

ე. შევარდნაძე

N 92/20 31. 03. 99

აქ პრეზიდენტი გულისხმობს ზეევ ფრენკელს, ფირმა „ეკოტექსის" უცხოელ პარტნიორს.

ბატონო გივი! უფრო ადრე, 1998 წლის 17 აგვისტოს, გურიის გუბერნატორი, ბატონი კარლო გუჯაბიძე ბ-ნ ზ. ქუთელიას უგზავნის შემდეგი შინაარსის წერილს:

„გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წიაღის დაცვისა და სამთო საქმის დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბატონ ზურაბ ქუთელიას

ბატონო ზურაბ,

საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 3 სექტემბრის №530 ბრძანებულების, „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1996-2000 წლების ინდიკატური გეგმის შესახებ" მიღებამ, შესაძლებლობა მოგვცა დაგვეწყო მუშაობა, გურიის მხარის ტერიტორიაზე არსებული აგრომადნეულის (ტორფი, საპროპელი, ცეოლითები) ათვისებისა და მისგან ახალი თაობის ეკოლოგიურად სუფთა ორგანო-მინერალური სასუქების მიღების პროექტის განხორციელებაზე.

საქართველოს პრეზიდენტის აღნიშნული ბრძანებულების შესაბამისად, 1996 წლის დეკემბერში ლანჩხუთში ჩატარდა რესპუბლიკური სამეცნიერო ტექნიკური კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა მხარეში არსებული აგრომადნეულის რაციონალურად მოპოვებისა და მათგან მიღებული ეკოლოგიურად სუფთა სასუქებით ეროვნული მეურნეობის მოთხოვნათა დაკმაყოფილების საკითხებს.

კონფერენციის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის საქმეში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა ფირმა „ეკოტექს"-მა, რომელსაც დამუშავებული აქვს ტორფისა და სხვა ადგილობრივი აგრომადნეულის ბაზაზე პრინციპიალურად ახალი ეკოლოგიურად სუფთა ორგანო-მინერალური სასუქების მიღების ტექნოლოგია და პროექტი. ამ მიმართებით ფირმა აპირებს მსხვილი ინვესტიციების მოზიდვას.

კონფერენციის მასალებითა და ჩვენს ხელთ არსებული სხვა ინფორმაციის პროექტი შესაძლებელია განხორციელდეს ლანჩხუთის რაიონის „იმნათის" ტორფის საბადოს ტერიტორიის ნაწილობრივი გამოყენებით ისე, რომ არ ირღვევა რამსარის კონვენციისა და ეროვნული პარკის დებულებათა ძირითადი მოთხოვნები. „იმნათის" ტორფის საბადოს ტერიტორიიდან ტორფის ინტენსიური დამუშავებისათვის გამოსაყოფი ფართობის სიდიდე შეადგენს 1200 ჰა-ს.

საქართველოს პრეზიდენტმა, მიანიჭა რა პრობლემის გადაწყვეტას განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ეროვნული მეურნეობის აღორძინების საქმეში მისი უდიდესი წვლილის გამო, მხარი დაუჭირა პროექტის განხორციელებას.

გთხოვთ გაითვალისწინოთ ყოველივე ზემოთ აღნიშნული და განიხილოთ საკითხი ლანჩხუთის რაიონის „იმნათი"-ს ტორფის საბადოდან, შპს ფირმა „ეკოტექსი"-სათვის ტორფის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ.

პატივისცემით

კარლო გუჯაბიძე"

გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული

№ 343/11-05 „17" აგვისტო 1998 წელი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წიაღის დაცვისა და სამთო საქმის დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბატონ ზურაბ ქუთელიას

ბატონო ზურაბ,

საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 3 სექტემბრის №530 ბრძანებულების, „საქართველოს სოციალურ — ეკონომიკური განვითარების 1996 — 2000 წლების ინდიკატური გეგმის შესახებ" მიღებამ, შესაძლებლობა მოგვცა დაგვეწყო მუშაობა, გურიის მხარის ტერიტორიაზე არსებული აგრომადნეულის (ტორფი, საპროპელი, ცეოლითები) ათვისებისა და მისგან ახალი თაობის ეკოლოგიურად სუფთა ორგანო-მინერალური სასუქების მიღების პროექტის განხორციელებაზე.

საქართველოს პრეზიდენტის აღნიშნული ბრძანებულების შესაბამისად, 1996 წლის დეკემბერში ლანჩხუთში ჩატარდა რესპუბლიკური სამეცნიერო ტექნიკური კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა მხარეში არსებული აგრომადნეულის რაციონალურად მოპოვებისა და მათგან მიღებული ეკოლოგიურად სუფთა სასუქებით ეროვნული მეურნეობის მოთხოვნათა დაკმაყოფილების საკითხებს.

კონფერენციის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის საქმეში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა ფირმა „ეკოტექს"-მა, რომელსაც დამუშავებული აქვს ტორფისა და სხვა ადგილობრივი აგრომადნეულის ბაზაზე პრინციპიალურად ახალი ეკოლოგიურად სუფთა ორგანო-მინერალური სასუქების მიღების ტექნოლოგია და პროექტი. ამ მიმართებით ფირმა აპირებს მსხვილი ინვესტიციების მოზიდვას.

კონფერენციის მასალებითა და ჩვენს ხელთ არსებული სხვა ინფორმაციით პროექტი შესაძლებელია განხორციელდეს ლანჩხუთის რაიონის „იმნათის" ტორფის საბადოს ტერიტორიის ნაწილობრივი გამოყენებით ისე, რომ არ ირღვევა რამსარის კონვენციისა და ეროვნული პარკის დებულებათა ძირითადი მოთხოვნები. „იმნათის" ტორფის საბადოს ტერიტორიიდან ტორფის ინტენსიური დამუშავებისათვის გამოსაყოფი ფართობის სიდიდე შეადგენს 1200 ჰა-ს.

საქართველოს პრეზიდენტმა, მიანიჭა რა პრობლემის გადაწყვეტას განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ეროვნული მეურნეობის აღორძინების საქმეში მისი უდიდესი წვლილის გამო, მხარი დაუჭირა პროექტის განხორციელებას.

გთხოვთ გაითვალისწინოთ ყოველივე ზემოთ აღნიშნული და განიხილოთ საკითხი ლანჩხუთის რაიონის „იმნათი"-ს ტორფის საბადოდან, შპს ფირმა „ეკოტექსი"-სათვის ტორფის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ.

პატივისცემით,

კარლო გუჯაბიძე

384370, საქართველო, ოზურგეთი, მერაბ კოსტავას ქუჩა №1, 6-32-35, 6-41-69, 99-66-75
384370, Грузия, г. Озургети, ул. Мераба Костава №1. 6-32-35, 6-41-69, 99-66-75
384370, Merab Kostava st. 1, Ozurgeti, GEORGIA, 6-32-35, 6-41-69, 99-66-75, E-mail: InfoGuris@iberiapac.ge

გემშვიდობებით ბატონო გივი! მადლობელი ვარ ეპითეტისათვის — დამოუკიდებელი ჟურნალისტი ვიღაცის ბოროტ ზრახვებს ემსახურება — და ეს ყველაფერი გამოსაკვლევიაო. იკვლიეთ, რამდენიც გინდათ, მაგრამ არ შეეცადოთ ამ მტკივნეული საკითხისაგან ხალხის ყურადღების სხვა თემაზე გადატანას და ნაცადი კომუნისტური ხერხით „ბუას" შექმნას. შეეცადეთ ამავე მოწვევის პარლამენტშივე მოახერხოთ გამწარებული ხალხის გულის მოგება, თორემ სპეც.ნომერში თქვენ და „თქვენს" გუნდს იმისთანა „ბუას" შევუქმნი, ნახევარი საქართველო კომბლებით დაგდევდეთ.

ძვირფასო მკითხველო! ამით დროებით გემშვიდობებით და მადლობას ვუხდი გაზეთ „საქართველოს" რედაქციას, რათა საშუალება მომცა ავად თუ კარგად დამეფიქსირებინა ლანჩხუთის რაიონისა და სუფსის თემის საკრებულოს პოზიცია. გამოქვეყნებულია მასალის მცირე ნაწილი (დანარჩენს — 42 ინტერვიუს, თავისი ფოტომასალით იხილავთ სპეც. ნომერში, რომელსაც უახლოეს ხანში გამოვცემ).



მარცხნიდან — რომან კვაჭაძე (ლანჩხუთის მაჟორიტარი დეპუტატი), იური რამაზაშვილი, (ფირმა „ეკოტექსის" გენ. დირექტორი), გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი ნინო ჩხობაძე და მისი წარმომადგენელი ლანჩხუთში მანანა გოგუაძე (ზურგით).

გიორგი ვასაძე,
დამოუკიდებელი ჟურნალისტი.

(პუბლიკაციის დასასრული)

## გუშანი

აფხაზეთი რომ დავკარგეთ,
ეს ცხადზე უფრო ცხადია,
მაგრამ, მთლად ქვეყნის დაკარგვის,
ეს მხოლოდ განაცხადია.
არ ვიცი როდის იქნება,
ცოტა ხანს გასტანს, თუ დიდ ხანს,
ალბათ, ოსები ქართლიდან
გვასროლინებენ კუდით ქვას.
სომხეთი ითხოვს ჯავახეთს
და უნამუსოდ გვღალატობს,
ჯერ შავ ზღვას დაისაკუთრებს,
მერე მთელი მტკვრის კალაპოტს.
თათრებმა გაითავისეს
მარნეული და დმანისი,
თუ სადმე კარგი მიწა გვაქვს,
ყველა ჰგონიათ თავისი.
ღმერთმა არა ქნას აგვიხდეს,
თუმც რა მოხდება ვინ იცის,
საქართველოდან დაგვრჩება
დედაქალაქი თბილისი.
მერე დავდგეთ და ვუმღეროთ
ჭადრებს, ლამპებს და ჯიხურებს,
რა პასუხს ვაძლევთ მომავალს,
ან ღმერთს, ციდან რომ გვიყურებს.

## წკიპურტ-ალიყურები

***არც ისე მეგობრული მიმართვა***

*მოქკავშირს მყარად მორგებულო მოქალაქენო!*

მე, მშიერი მეცნიერი, მშიერი მეუღლის, მშიერი მოზარდების მამა-მარჩენალი, მეგობრულად მოგმართავთ: მოეშვით „მოქკავშირის“ მამამთავრის მაამებლობას, მლიქვნელობას, მიღმა მძრომელობას, მშიერ-მწყურვალი „მასის“ მიზანდასახულ მოტყუებას, მეანაბრეების მიერ მობარებულების მითვისებას, მოგების მიზნით მოთრეულ მატყუარა მილიონერებისათვის მიწების მიყიდვას, მოპარული მილიონებით მარკეტების მშენებლობას, მერიის მიმდებარე მოედნის მოწყობა-მოპირკეთებას.

მიხედეთ: მტრების მიერ მიტაცებულ, მარჩენალ მიწებს, მშიერ მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მედიცინის მუშაკებს, მეცნიერებას, მავნე მწერებივით მომრავლებულ მამათმავლებს, მამაკაცების „მოტრფიალე“ მეძავ მანდილოსნებს, მძარცველებს, მწეველ-მჩხირავებს.

მამული მოაოხრეთ, მოაოხრეთ, მილიონობით მაწანწალა-მათხოვრებს მაინც მიხედეთ!

მოგისმენიათ მეტროში, მიუსაფარი მოზარდი მათხოვრის მოწიწებული მოთხოვნა: „მომეხმარეთ, მიშველეთ, მცირედი მოსაკითხი მაინც მომეცით, მშობლები მშივრები მეხოცებიან?“

მოგისმენიათ მათხოვარი მუსიკოსებისათვის, მომღერლებისათვის?!

მოუსმინეთ! მიხედეთ! მიეხმარეთ!

მერე მიდით მონასტერში, მოსანანიებელი მოინანიეთ!

მოინანიეთ! მოინანიეთ! მოინანიეთ!

## სატირისა და იუმორის გვერდი



რუბრიკის მასპინძელია

**ნიკოლოზ იოსებიძე**

### თემა

— მიხო, ეხლა, კი არ გაგიჟდე და გადაირიო შენებურად, ვანუას ბიჭს, გოგიას, ჩვენი მაყვალასთვის ხელი უთხოვია.

— თუ მარტო ხელი სთხოვა, ხმას არ გავცემ, თუ სხვა რამეც მიაყოლა, მაგას...

### გაიხადეთ გოგოებო!

გაიხადეთ გოგოებო!
გაახარეთ კაცის თვალი,
მკერდი, ჭიპი, ბაყვი გიჩანთ,
რაღა დარჩა დასამალი?!
გაიხადეთ, გაიხადეთ!
ნამეტანი გაგვახარებთ,
თუ შეგრცხვებათ, წინ და უკან
ლელვის ფოთლებს დაგაფარებთ.
გაიხადეთ, გაგულავდით,
ევროპელებს რის გრცხვენიათ?!
მერე მაინც გათხოვდებით,
განა „იმას“ მრიცხველი აქვს.

* * *

მალე რეკლამა წალეკავს ქალაქს,
მთავრობა განგებ არიდებს თვალებს,
სხვისგან დაგმობილ თუთუნს და არაყს,
სთავაზობთ ქართველ კაცებს და
ქალებს.

* * *

ვეტერანებო! მეც მალე
მივეწერები თქვენს სიას,
გისურვებთ ჯანმრთელობას და
წნევაზე მაღალ პენსიას.

* * *

მაისში ვჭამდით ფხალეულს,
აგვისტოში ვჭამთ ბადრიჯანს,
დეკემბერ-იანვარში კი,
ლობიო ნიფხვებს დაგლიჯავს.




### ნუთუ, მართლა ნახევარი ცისფერია!

ვაჟებს გოგოს გულისათვის,
ერთმანეთი გვიცემია.
ამით გოგოს ვაჟისადმი
ინტერესი მისცემია,
ზოგჯერ ერთი სამს გვიყვარდა,
სერენადაც გვიმღერია,
დღეს რა ხდება?!
ნუთუ, მართლა
ნახევარი ცისფერია!
ნუთუ, მართლა
აღარ იცის
ქართველ კაცმა ქალის ფასი,
მე არ მახსოვს არაფერი
დღეს რაც ხდება
ამის მსგავსი.
სად წავიდა, როგორ გაქრა
ქალის კდემა, ვაჟის ტრფობა,
ზოგი ქალი ისე დადის,
როგორც დედამისმა შობა.
მამაკაცებს ქალის მიმართ
დაეკარგათ ინტერესი,
ალბათ ყელში ამოვიდა
ეკრანებზე ღია სექსი.
სიყვარული დაიჩრდილა,
ვაჟი იდობს,
ქალი იმობს,
აღარც არის გასაკვირი,
რადგან კაცი კუჭს ვერ იძღობს.

ჩოფურა იოსებიძე-იუმორისტი

### უპასპორტო ძაღლები

ერთ წელიწადს ჩვენმა „ბელკამ“ 6 ლეკვი დაყარა. თავის დროზე ვერც გადავუყარეთ, ვერც წამოზრდილები გავაჩუქეთ და შეგვრჩა 7 თეთრად გაქათქათებული ძაღლი. ეზო დიდი გვქონდა, მაღალი კედლით შემოღობილი, მაგრამ ჭიშკარი არ გვქონდა და ჩვენი ეზოს „დაცვა“ კედლის მიღმაც აწიოკებდა გამვლელ-გამომვლელებს. ზოგს ფეხებში კბენდნენ, ზოგს პალტოს კალთებს ახევდნენ, ზოგს ხელჩანთას აგლეჯდნენ ხელიდან და ა. შ. თქვენ წარმოიდგინეთ, „ბელკამ“ ერთ მშვენიერ ქალბატონს უკანალზეც კი უკბინა. მაშინ კი გაუწყდათ მოთმინების ძაფი და ჯერ მამაჩემთან მოვიდნენ საყვედურის სათქმელად, ერთი კვირის თავზე კი, უბნის რწმუნებული არსენა დაგვაყენეს თავზე.

ის-ის იყო მამაჩემი ბაღიდან ამოვიდა, რომ ღობის გარეთ მდგარ არსენას და რამდენიმე მომჩივანს მოჰკრა თვალი, რომელთაც 7 გაავებული, ორფეხზე შემდგარი ძაღლი უყეფდა.

— იოსებ! მოდი ერთი ახლოს, – გადმოსძახა რწმუნებულმა.

მამაჩემი, რა თქმა უნდა, მიეახლა და ძაღლებს დაუტია.

— კაცო, რა ჭირად გინდა, ამდენი ძაღლები რომ მოგიჯოგებია, მეზობლებს მოსვენებას არ აძლევენ.

— როგორ თუ რად, ხუთი შვილის მამა ვარ, თითო თითოს ვკლამთ და ვჭამთ, 12 მყავდა, ესენიღა დამრჩნენ.

— შენ ხუმრობ და, აი, ქალბატონ ელიკოსთვის ისეთ ადგილზე უკბენია, რომ ველარ ჯდება. ელიკომ თავი მორცხვად დახარა.

— არა მჯერავს, მაჩვენოს და თუ მართალია, ჯარიმას გადავიხდი.

ელიკო ჯერ გაწითლდა, მერე გაფითრდა. რომ ვერაფერი თქვა, გაიპარა. მეზობლებიც სათითაოდ გაიკრიფნენ.

— შენ ჯარიმას ისედაც გადაგახდევინებ, უპასპორტო ძაღლების შენახვისათვის.

— რა დროს მაგათი პასპორტია, შვილებს გეფიცები. არც ერთი არ არის ჯერ 16 წლისა. შეუსრულდებათ ასაკი და პასპორტსაც ავუღებ და სამხედრო ბილეთსაც.

რწმუნებულმა არწმუნა, არწმუნა მამაჩემი, რომ ეზოს ჭიშკარი სჭირდებოდა, მაგრამ ბოლოს მამაჩემმა დაარწმუნა, რომ მაგის საშუალება არ მაქვსო და არსენამ ხელი ჩაიქნია, რაღაცა ჩაიბურტყუნა და წავიდა.








## ანსამბლ „ივერიას" სოლისტი (ჯუჯა-2) ნუგზარ კვაშალი უმასპინძლა მურმან მერკვილიშვილმა

*ბატონი ჯუჯა-2 ჩემი უსაყვარლესი მომღერალი და დიდებული პიროვნება გახლავთ. ჩვენ, მე და ნუგზარს, დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს, ამდენად, საუბარიც გულახდილად წარიმართება და ორივენი ვეცდებით, ჩვენი ღირსეული მკითხველი კიდევ ერთხელ გავამხიარულოთ.*

*— მივესალმები გაზეთის მკითხველს. ჩემს ცხოვრებაში, სცენაზე თუ სცენის გარეთ, ბევრი კურიოზული და კურიოზის მსგავსი ამბები მომხდარა. ახლა ყველას ერთბაშად გახსენება, ცოტა არ იყოს, ძნელია, მაგრამ მაქსიმალურად შევეცდები, რომ გამობრძმედილ „კარიერის..." ბოდიში — კურიოზისტს — მურმან მერკვილიშვილს, ამ შემთხვევაში ღირსეული პარტნიორობა გავუწიო.*

*მაშ ასე:*

### „დაუფიძრდი, სანამ იტყვი"

ბაბუაჩემი, ვიქტორ კვაშალი, თავის დროზე მოსწრებული სიტყვით, მოსწრებული პასუხებით იყო ცნობილი, რის გამოც თვითონაც ხშირად აღმოჩენილა უხერხულ მდგომარეობაში და მისი მოპირისპირე მხარეც, მაგრამ ყველაფერი მასხრობის ჩარჩოებში იჯდა და ამდენად, „უწყინარობის პრეზუმფცია" არ დარღვეულა არასდროს.

...ერთხელ „ჩახლართული" პურისჭამის დროს, რომელსაც ბაბუა თამადობდა ერთი ახლადგაცნობილი მეგობარი ხშირად მიმართავდა:

— ბატონო ბიქტორ, შემახსენეთ, რა სადღეგრძელო ითქვა? (უკვე შემთვრალები არიან).

— ჯერ ერთი, სადღეგრძელოს დავიწყებისთვის ჯარიმაა ერთი ჭიქა. — პასუხობს ბაბუა.

— მართლა? — უხარია იმ



ღვინისმოყვარულ კაცს და სიამოვნებით მიირთმევს „ჯარიმას".

— ბატონო ბიქტორ — ისევ შეკითხვაა.

— ჯარიმა, 2 ჭიქა ...

— ბატონო ბიქტორ ... — უკვე ძლივს ლუღლუღებს ის კაცი.

— ჯარიმა!

— რრატტომმ... ბბბიქტორ, ჩჩემმო?

— იმიტომ, რომ სახელს მიმახინჯებ ...

— რრატტომმ, რრატტომმ?

— მე, ბიქტორი კი არა, ვიქტორი მქვია, — უხსნის ბაბუა.

— კკარრგი, ახლა, ბბიქტორ ჩჩემმო, რა განსხვავება აქვს, პირველ ასოს „ბ"-ს ვიტყვი თუ „ვ"-ს?

— ერთი ეს მითხარი, შენ თვითონ რა გქვია? — კითხვას უბრუნებს ბიქტორ-ვიქტორი.

— მე რა მქვია??? რა მქვია??? რრრა ჯანდაბა მქვია-კაცო, — შეეხვეწა ის კაცი, გვერდით მჯდომს.

— რა გქვია და ... — ეხლა ის მეზობელი ჩაფიქრდა.

— ხო, არ გინდა, გამახსენდა — სლოკინით შეაწყვეტინა იმან — რა მქვია და — ვასო.

— აპა, თუ ასოს მნიშვნელობა არ აქვს, მოვაცილებ პირველ „ვ"-ს და რაც დარჩება, იმას დაგიძახებო, — ბაბუამ.

ხარხარმა იქაურობა შეაზანზარა ...

### „ეს საწყალი ... თემური..."

თემურ წიკლაური დიდი მომღერალია. კარგი პიროვნება და შესანიშნავი მეგობარი, მაგრამ უნაკლო ვინაა? თემურსაც აქვს, აქა-იქ, ნაკლ(ებ)ი ...

შესანიშნავი იუმორის გრძნობა აქვს. იმდენად შესანიშნავი, რომ თუ რომელიმემ ანეკდოტის მოყოლა დაიწყო, თემური გრძნობს თავიდანვე და დასაწყისშივე კვდება სიცილით.

დასრულდება ანეკდოტი, ყველა ხარხარებს, თემურს კი ეს „პროცედურა" უკვე მოცილებული აქვს და მოხარხარეთა ფონზე საკმაოდ სერიოზულად გამოიყურება, რაც მოყოლილი ანეკდოტის მეორე ნაწილია და ახლა მის სერიოზულობაზე ვკვდებით სიცილით.

...საახალწლო კონცერტების სერიალია. გადაჭედილია ფილარმონიის დარბაზი. ძირითადად ბავშვები არიან. არიან დედებიც, მაგრამ, მოგეხსენებათ, დარბაზში ბავშვები ყოველთვის სჭარბობენ დედებს, იმიტომ, რომ დედა, საერთოდ, ერთია და ბავშვი 2-3-4-5 და მეტიც შეიძლება ახლდეს დედას (ღმერთმა გვამრავლოს).

სცენა ასეთი იყო: მე, ვახო ტატიშვილი და თემური დისკოს ცეკვით ვასრულებთ ბავშვების საყვარელ სიმღერას — „ეს საწყალი კურდღელი".

ვიწყებ მე: — „ეს საწყალი კურდღელი".

ვახო: — „ძლიერ ავად გაგვიხდა".

თემო: — „არც სტაფილო ეამა და ა. შ. (იცით).

ყურისწამღებად გრიალებს აპარატურა.

— ეს საწყალი კურდღელი- — ვიწყებ ... ვახო დუმს. გამიკვირდა, მაგრამ ფაქტია, არ იღებს ვახო ხმას. ერთი ტაქტი, ორი .. სამი ... არა ...

— ეს საწყალი კურდღელიიი... გავწელე და ვუბრიალე თვალები ტატიშვილს (რა ჯანდაბა მოუვიდა?). დღესაც არ ამხელს, მაგრამ კვლავ სდუმს. იქეთ წიკლაური ცმუკავს უხერხულად.

— კურდღელი, კურდღელი, ავადაა, ავად!!! რეანიმაციაშია, — შევბღავლე ვახოს. — დარბაზი გადაირია, ატყაპუნებენ ონავრები ტაშს — პირგაღებულები და გახარებულები.

არავითარი შედეგი ... ვახომ მართლაც კურდღლის თვალებით შემომხედა.

მეტი ველარ შევძელი, ამივარდა სიცილი და მოვცოცხე კულისებში.

მასე არ უნდაო და, ფეხდაფეხ მომყვა ვახოც ...

ვკვდებით სიცილით, ჯერ მდგომარეობიდან უნდა გამოვიდეთ, მერე „გავარჩევთ".

დარჩა წიკლაური მარტო და რა ქნას?

მოულოდნელად დაიბუხუნა:

— ბავშვებოო!

— ააა! — „გააგონეს" ბავშვებმა.

— ბავშვებოო! — ერთი ტონით ასწია მიმართვა თემომ (დროს იგებს, თან თვალები ჩვენსკენ გამოურბის).

— ააა — პასუხობს მომავალი თაობა მოწყენილად.

— თქვენ იცით, ეს საწყალი კურდღელი, ძლიერ ავად რომ გაგვიხდა? — იკითხა თემურმა.

— მა რრაა, ტო! — პასუხობს XXI საუკუნის იმედი.

— ხოოდა, ვახო ბიძია და ნუგზარ ბიძია „ბალნიცაში" წავიდნენ კურდღლის სანახავად. მეც წავალ, ვნახავთ საწყალ ბაჭიას და ერთად მოვბრუნდებით.

— ჩვენც მოვდივართო — იგრიალეს ბავშვებმა, მაგრამ არც ერთი სცენაზე არ ამოუშვეს.

მაშინ კი გადავრჩით, მაგრამ თემური 2 დღე აღარ გველაპარაკებოდა მე და ვახოს ...

**— ნუგზარ, გასვლით კონცერტებზე არაფერი მომხდარა ამის მაგვარი? სხვათა შორის, ყველამ იცის, რომ შენ და ვახო „ტყუპი ჯუჯები" ხართ. მართალია, ასაკში კია „პატარა გარღვევა", მაგრამ სცენაზე მაინც ტყუპები ხართ. როგორი ურთიერთობა გაქვთ ცხოვრებაში და საერთოდ, თუ გავხართ ჯუჯებს?**

— მაგაზე მართლა საინტერესო ამბავი მახსენდება.

### „არაფერი შეგეშალოთ"

1975 წელია, თუ არ ვცდები, საქართველოს დასავლეთ ნაწილის ერთ ქალაქში ვართ გასტროლებზე.

იმ საღამოს წარმოდგენა არ გვქონდა და მე და ვახოს სასტუმროს (სადაც ვცხოვრობდით) პირველ სართულზე რომ რესტორანი იყო, იქით გაგვიწია გულმა.

ზაფხულია ... ცხელა ... არ გვეძინება, რესტორანი გუგუნებს. სხვები ისვენებენ და მარტო გადავწყვიტეთ რესტორანში ჩასვლა.

განზრახვა სისრულეში მოვიყვანეთ.

— რა და, რაც შეიძლება გამორჩეულად უნდა ჩავიცვათ ახლა ჩვენ — „მიკარნახა" ვახომ.

— გამორჩეულად? — ჩავვარდი საგონებელში. დიზაინერის „ამბავი" ვიკისრე.

იმერეთში მყვირალა ფერებია საჭირო, ვთქვი. ჩავიცვით კაშკაშა მწვანე კოსტუმები, ყელზე „ბაბოჩკები" მივიმაგრეთ, „დავიზმანეთ" და დინჯი ნაბიჯებით ჩავუყევით კიბეებს (შუქი იყო, მაგრამ ლიფტი არ მუშაობდა, ახლა უკულმაა).

— ახლა, პირდაპირ რომ შევიდეთ, უხერხულია, სამზარეულოს მხრიდან შევძვრეთ ჩუმადო, — ამან.

— კარგი ვახო, კარგი, მარა.

— არავითარი მარა!!!

შესვლის დროს ვახტანგმა ამოსთქვა: — აუჰ!!! — თან შუბლში იტკიცა ხელი.

— რა იყო, ბიჭო! — შევშინდი (წნევამ ხომ არ აუწია?).

— რავა რა იყო, — მიიდო ხელი საფეთქელზე აკაკი წერეთელივით (წარმოიდგინეთ, რა შესახედავიც იქნებოდა).

— რა იყო, ვახო, არ დამიმალო, თუ გიყვარდე, თქვი, მე გავუძლებ-მეთქი და გავიჯგიმე.

— რა... რა და ხელების დაბანა დაგვავიწყდა ამ სიჩქარეშიო.

ფეხის ფრჩხილებში (სიმწრისგან) ჩასული ოფლის ორი წვეთი უკან დამიბრუნდა — იღლიებში.

— შე კაცო, გამიხეთქე გული ... აგერ არაა ოთხი კრანი — ცივი, ცხელი, ნახევრად თბილი და ნახევრად ცივი?..

დავიბანეთ ხელები, ელექტროსაშრობი არ მუშაობს.

— რა ვქნათ ახლა? — ადი, ადი ნომერში, პატარა ხარ შენ და ჩემი სუფთა, უსუფთავესი პირსახოცი რომ მაქვს, ის ჩამოიტანეო (არადა, ოთხი დღე არ გაურეცხავს).

რას იზამ? ავვარდი კიბეებზე, მოვძებნე პირსახოცი. გაიმშრალა ამან ხელები რომის პაპივით, მე ქე გამიშრა კიბეებზე.

— შენ ახლა აღარ წეილო მაგი „პირსახოცია" თუ რაცხა (უმადური) .. იყოს ჩვენთან, რომ გავალთ, ისევ დაგვჭირდებაო.

— ჯიბეში ეს არ ჩამეტევა და სად წავიღო-მეთქი — შევშფოთდი.

— გადეიკიდე ხელზე, ვინ მიხვდება, მოდაზე გაცვია — „ულტრადო"... დავუჯერე (ხათრია, რომ მკლავს).

დარბაზში შესვლა და ლოთი-



შფოთი იმერლები წამოდგნენ და მეძახიან — მობრძანდით ჩვენთან, თუ შეიძლებაო.

— გვიცნობენ ხალხს — გამეხარდა და მივეახლე.

— მეგობარო, შენ შემოგევლეო, შენი ჭირიმეო, — მეუბნება იმ სუფრის თამადა, — რამდენი ხანია, აქ რომ ხარო?

— პირველი დღეა, ბატონო, ძალიან მომწონს აქაურობა-მეთქი (ვიხმარე ტაქტი).

— აქამდე სად მუშაობდიო?

— „ივერიაში", „ივერიაში", ახლაც იქ ვარ, აქ დღეს მოვედი-მეთქი.

— რომელ სართულზე? — იკითხრა ერთმა მთვრალმა, ნამყოფი ვარ მე ივერიაში ... კაი ნაშები ყავენ, იქინე ...

— როგორ ... როგორ, მე ანსამბლ „ივერიიდან" ვარ-მეთქი, გამეცინა.

— რაიო ბოშო? მაგი გიტარეია? — მანიშნა ხელზე გადაფენილ პირსახოცზე.

— არა ... არა ... ეს ... ის ... დავიბენი.

— ხა, ხა, ხა, ხა ... აროხროხდნენ და სათითაოდ გადამკოცნეს.

— ბიჯო, თქვენ თუ არ გიცნობენ, აბა, ვის ვიცნობთ ჩვენ აქანა .. ბიჭო, ნუგზარ, შენ შემოგევლოს იმერეთი, რაჭა და გურია. რაია, ბიჭო, ე თუთიყუშის კოსტუმი რო ჩაგიცვამს, „ფრანცუზსკი ვოფიციანტი" გვეგონეო ...

თურმე ვახოს მეგობრები ყოფილან.

— ოხ, ვახო, მე შენ!.. მე ვიცი, რას გიზამ — ვთქვი და ვახოც გამოჩნდა.

აბა, მაშინ იყო, რაც იყო. ის პირსახოცი ნაკუწებად აქციეს და „სუვენირებად" დაიტოვეს...

### ტერორისტი „ტაიფუნი"

უწესიერესი და დისციპლინიანი თემურ წიკლაური ყოველთვის (ბედის ამბავია) ყველაზე მეტად მოჰყვება ხოლმე „უხერხულობის ბადეში".

ისრაელიდან ვბრუნდებით.

გასტროლებმა, როგორც ყოველთვის, უმაღლეს დონეზე ჩაიარა და ერთი სული გვაქვს, როდის დავუბრუნდებით მშობლიურ თბილისს, როდის გავლაღდებით კაფე-პივ-ბარებში, როდის ვისუნთქავთ ქართულ, მთაწმინდიდან მონაბერ ნიავს. ვჩქარობთ ... ვფუსფუსებთ.

აეროპორტი.

ერთი უბრალო ნიუანსი დარჩა. ჩანთების საყოველთაო შემოწმება და თვითმფრინავი. მშვიდობიანი საჰაერო გზა და ჩვენი .. სანუკვარი, სათაყვანებელი თბილისი.

...

თემური, ყველა სიკეთესთან ერთად საკმაოდ ჯენტლმენია და ყველა გაგვატარა წინ შემმოწმებელ პუნქტთან. გავედით კაია.

არ ჩანს თემო. გავიდა 5 წუთი, 10 .. არ ჩანს. შევშფოთდით.

— სადაა თემო? — მეკითხება ბასილაია.

— აგერ იყო ახლა ... უკან მოგვყვებოდა.

— არაა, არა. სადაა? — გაგიჟდა ბუთხუზა.

ზოგმა ჩემოდნებიც მისწიმოსწია .. (რა ჩაატევდა იქ), მაგრამ არ ჩანს.

რომ გავარკვიეთ, თემური „გაქაჩული" ჰყავდათ იქაურებს. ეს წვერმოშვებული და „შლიაპიანი" თემო ისრაელელებს პალესტინელი ტერორისტისთვის მიუმსგავსებიათ...

... სხვათა შორის, არც ჩვენი „მოწესრიგეები" ენდობიან სამთავრობო კონცერტებზე თემოს და უსაბუთოდ არ უშვებენ სცენაზე ... (ერთ პოლიციელს ფიდელ კასტრო ეგონა) ...

**— ნუგზარ, ჩვენი საუბარი ფინალისკენ „მიემგზავრება". ხომ ვერ გაიხსენებ რომელიმე გარდაცვლილ თანამოსაქმეს, რამეთუ, მათი ხსენება გულს შვებას მოჰგვრის?**

— ხუმრობით, მურმან?

**— რაღა თქმა უნდა, ნუგზარ.**

— გიორგი ცაბაძეს ... უდიდებულეს პროფესიონალს, ფენომენალური ნიჭის მქონეს ... კორიფეს.

**— სიამოვნებით, გისმენთ ნუგზარ.**

— ისე, შენთან (ამას ნუ ჩაწერ ... ჩვენში დარჩეს) ერთს ვიტყვი. ერთხელ და ორჯერ არა. ბატონ გიორგის სახელების დამახსოვრების უნარი არ ჰქონდა ან შეიძლება თვითონ უყვარდა მიმსგავსებული სახელების თავისებური „ინტერპრეტაცია". მაგალითად: საესტრადო სასწავლებელში, სადაც მოღვაწეობდა ბატონი გოგი ცაბაძე, მუშაობდა დირექტორის მოადგილე აიდარ მიქაძე, რომელსაც — ავლაბარ ჭიქაძეს უწოდებდა, ნუგზარ ერგემლიძეს — ბლუზა ერკემლიძეს, თემურ წიკლაურს — თემურ მიგრიაულს და ა. შ.

**— კი, მაგრამ შენი სახელი და გვარი ზუსტად დაიმახსოვრა ვითომ?**

— რას ამბობ, მურმან ჩემო, ყველაზე საპატიო გვარი მე მისახსოვრა.

**— რა, მაინც?**

— რა, რა და ნუგზარ კაშხალი.

**... ეს იყო და ეს, ძვირფასო მკითხველო. მე, თქვენთან ერთად მადლობას ვუხდი „კაშხალს" და ვემშვიდობები, დროებით.**

# სკანვორდი



- ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული (12)
- ყანწის მსგავსი რქოვანი გამონაზარდი ფეხზე (4)
- ქალაქი მდ. ვოლგის დელტაში (9)
- უფილტრო სიგარეტი (5)
- მთავარი სიგარეტი (5)
- უეცარი შიშის ზარი (4)
- ხმა, რომელიც ეწყობა სიმღერას (4)
- კურორტი ბულგარეთში (5)
- პერიოდულ გამოცემათა ერთობლიობა (5)
- სახელმწიფო დასავლეთ აზიაში (8)
- სიმებიანი საკრავი — ქნარი (5)
- ყვითელი ფერის ფისოვანი ნივთიერება (5)
- ავადმყოფობა, მალარია ანუ ... (5)
- საგანგებო, საპასუხისმგებლო დავალება (5)
- ... ბუაჩიძე (4)
- თანრიგის ნიშანი კარატეში (4)
- წელიწადის ერთი ოთხ პერიოდთაგანი (3)
- მზის ჩასვლის დრო (5)
- ქსოვილის ზოლი (5)
- მასტროიანი — — ლორენი დომენიკო — ... (8)
- ხშირი და წმინდა ახალი ბალახი (4)
- პირი რომელიც პასუხისმგებლობას კისრულობს (7)
- პირი რომელსაც მსახიობი განასახიერებს (4)
- დროის მონაკვეთი (4)
- მოწითალო სახის თმის საღებავი (3)





# იცნობ მეზობელს, ჩასწვდომიხარ ღირსებას მისას?!

*მეორე გვერდიდან*

რიტორიული მთლიანობა ან ეროვნული უსაფრთხოების ინტერესები შეიძლება შეილახოს თურქეთის მიერ (ნატოელი მოკავშირეების მხარდაჭერით) „რეგიონალური თურქული სახელმწიფოს" მშენებლობის ღონისძიებათა გატარებისას. მათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია რუსეთი, უკრაინა, ირანი და ჩინეთი.

ამ მონახაზით ჩვენს მკითხველს თავიდანვე გვინდა ვუჩვენოთ იმ დიდი სამხედრო-პოლიტიკური თამაშის სავარაუდო ზოგადი კონტურები, რომელსაც ეწოდება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის (ნატოს) აღმოსავლეთისაკენ გაფართოება (ექსპანსია), მსოფლიოს სულ უფრო მეტ რეგიონებში —ახალი წესრიგის დამყარება" ან „უსაფრთხოების ახალი სისტემის ჩამოყალიბება", ხოლო მის განსახორციელებლად, რატომღაც, შეერთებულ შტატებსა და გერმანიას დასჭირდათ საყოველთაო განიარაღების ფონზე თურქეთის შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნისა და ბრძოლისუნარიანობის რამდენჯერმე ამაღლება. ეს ფაქტიურად ცეცხლთან სახიფათო თამაშის ცნობილი სიტუაციაა და მეტად შემაშფოთებელი უნდა იყოს ის გარემოება, რომ ამ თამაშში სულ უფრო აქტიურად ერთვება და ღრმად ეფლობა ნატოში ინტეგრირების მოსურნე საქართველოც.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის აღმოსავლეთისკენ ექსპანსიის (გაფართოების) პროცესი უკვე დაიწყო და აღმოსავლეთ ევროპასა და საქართველოშიც უმეტესად კეთილმოსურნე გამოხმაურება ჰპოვა. ეს გასაკვირიც არ არის იმ სიტუაციაში მცხოვრები ერების მხრიდან, რომლებიც ათწლეულების თუ საუკუნეების განმავლობაში თეთრი თუ წითელი რუსული იმპერიების დიდმპყრობელური შოვინისტური მანქანის უხეშ წნეხს განიცდიდნენ. მაგრამ უკანასკნელ ათწლეულში ნატოს წამყვანი სახელმწიფოების სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობების მიერ თურქეთის შეიარაღებული ძალების რამდენიმეჯერადი მიზანმიმართული გაძლიერება საქმეში ჩახედულ ნებისმიერ ჭკუათმყოფელ და თავისი ქვეყნის (და არა შეერთებული შტატების ან ჩრდილოატლანტიკური კავშირის) გულშემატკივარ ქართველს იმის ფიქრს მაინც უნდა აღუძრავდეს, რომ ნატოს ბლოკისა და მთლიანად დასავლური პოლიტიკის ავკარგიანობა ამ ბლოკის მესვეურებზე უკეთესად კაცთა შორის არავინ უწყის და, ამიტომ, ვინაიდან ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მამები საკუთარი სამხედრო-პოლიტიკური გავლენის აღმოსავლეთისკენ (ცენტრალური აზიის მიმართულებით) გავრცელების პროცესში ვარაუდობენ შეიარაღებული ძალის დემონსტრირებას (მავანთა დასაშინებლად) ან გამოყენებას (თუ დაშინებამ არ გაჭრა), მაშინ ჩვენც უნდა გულისხმა-ვყოთ, რომ დასავლური სამყაროს დღევანდელი მმართველი წრეებისა და მათი დამრტყმელი ძალის — ნატოს პოლიტიკა არც ისეთი სასიამოვნო და სასურველი უნდა იყოს ჩვენთვის, როგორც ეს რუსული დიდმპყრობელური იმპერიის თითქმის ორსაუკუნოვანი უღლისა და მისი ნარჩენი რეციდივებით ნაკარნახევი დღევანდელი ზეწოლისგან გათავისუფლების მოსურნეთ წარმოგვიდგენია.

შედარებისათვის თუნდაც გავიხსენოთ, რომ წარსული დროის გამოჩენილ ქართველ მეფეებს — ლევან და ალექსანდრე კახთ ბატონებს, ვახტანგ მეექვსეს, არჩილ მეფეს, სოლომონ პირველსა და ერეკლე მეორეს, აგრეთვე მათი პოლიტიკის მიმდევართ, ოსმალსპარსთა მრავალსაუკუნოვანი მტანჯველი უღლისგან გათავისუფლების გზად სწორედ რუსეთის სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ შესვლა (თანამედროვე ტერმინოლოგიით — რუსეთთან ან რუსეთში ინტეგრირება) მიაჩნდათ; ხოლო თუ რა შედეგი მოგვიტანა ამ მფარველობამ (ინტეგრირებამ), დღევანდელი ქართველობისთვის მეტ-ნაკლებად კარგადაა ცნობილი.

ცხადია, დასავლური ან სხვა რომელიმე სამყაროსგან იზოლაციონალიზმის იდეების ქადაგებისგან ჩვენ მეტად შორს ვდევართ, მითუმეტეს, რომ აგერ თითქმის ათი წელიწადია მიზანმიმართულად ვიკვლევთ სწორედ შეერთებული შტატების და სხვა (დასავლურ და აღმოსავლურ) სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების მშენებლობისა და საბრძოლო გამოყენების უკანასკნელი ათწლეულების თეორიასა და პრაქტიკას, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ისეთი ისტორიული გამოცდილების მქონე ერი, როგორიც ქართველობაა, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უფრო მეტი სიფრთხილით უნდა ეკიდებოდეს იგივე დასავლურ სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაციაში (ნატოში) ინტეგრირებისა და მომავალში შესაძლო გლობალურ დაპირისპირებათა განმაპირობებელ თამაშში ჩართვის საკითხს.

ამ საშიშროებაზე მიუთითებს აგრეთვე 90-იანი წლების შუახანებიდან გამოკვეთილი შეერთებული შტატებისა და სხვა დასავლურ სახელმწიფოთა დამოკიდებულება საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობისადმი, ასევე ჩვენი ხელისუფლებისა და მისი შესაბამისი სტრუქტურების დამოკიდებულებაც, მაგრამ ამჯერად ამ საკითხზე ვერ შევჩერდებით, ვინაიდან აღნიშნული თემატიკის განვითარებას მას შემდეგ ვვარაუდობთ, როდესაც დავასრულებთ ჩვენი ქვეყნის გარშემო შექმნილი სამხედრო-სტრატეგიული ვითარების საკვანძო ასპექტების მიმოხილვას და ჩვენს მკითხველს შეძლებისდაგვარად ნათელ წარმოდგენას შევუქმნით ამ მხრივ საქართველოსადმი არსებული სამხედრო მუქარებისა და ჩვენი შეიარაღებული ძალების მეტად მოკრძალებული შესაძლებლობების თაობაზე.

რაც შეეხება შეერთებული შტატებისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ზოგიერთი წამყვანი სახელმწიფოს მესვეურთა სურვილს თურქეთის (მათ შორის მისი შეიარაღებული ძალების) მეცადინეობით საკუთარი გავლენის აღმოსავლეთით (ჩინეთისკენ) გაფართოებისა, არ დავმალავთ, და როდესაც პირველად გავეცანით 90-იან წლებში შეერთებული შტატებისა და გერმანიის ქმედითი მონაწილეობით თურქეთის სამხედრო მანქანის მკვეთრად გაძლიერების ამსახველ ინფორმაციას, მივიჩნიეთ, რომ თურქეთის წინამბრძოლობით ნატოს წამყვანი სახელმწიფოები აპირებენ ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში მყოფ რუსეთთან მსხვილი რეგიონული ომის გაჩაღებას არა მხოლოდ მისი ტრადიციული გავლენის სფეროების — ამიერკავკასია და ცენტრალური აზია, არამედ საკუთრივ რუსეთის ტერიტორიების — ჩრდილოკავკასია და ვოლგისპირეთი — მოსკოვისგან ჩამოშორების მიზნით.

ასეთ ვარაუდებს გვიძლიერებდა რუსეთის მხრიდან საქართველოსთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობაზე ფაქტობრივად უარის თქმა. აგრეთვე ჩვენს ქვეყანაში განლაგებული რუსული სამხედრო ბაზების მხრიდან მასობრივი ინფორმაციის საშუალების მიერ გავრცელებული ეკონომიკური, პოლიტიკური და ტერორისტებისთვის სავარაუდო ხელშეწყობით დესტაბილიზაციის შემოტანის არა ერთი გახმაურებული ფაქტი. გარდა ამისა, რუსეთის მაღალჩინოსანთა განსაკუთრებული ინტერესები ამ ბაზებისადმი. თუკი ასეთი ომი მზადდებოდა, რომელშიც რუსეთს არა მხოლოდ საკუთარი იმპერიული ამბიციები უნდა დაეცვა, არამედ ტერიტორიული მთლიანობაც (ჩრდილოკავკასია და ვოლგისპირეთი), მაშინ მას სრული უფლება ჰქონდა ეს ომი ეწარმოებია უკვე ამიერკავკასიის ტერიტორიაზე და მის ხელთ არსებული ყველა მისაღები საშუალებით, მათ შორის ოპერატიულ-ტაქტიკური და ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენებითაც. ხოლო რაოდენი ნგრევის, მსხვერპლისა და ზარალის მომტანი შეიძლება ყოფილიყო ჩვენთვის ეს ომი, ამაზე ვგონებ ბევრი მსჯელობა არ უნდა იყოს საჭირო. და ასეთი ომის ინიციატორად, ბუნებრივია, ჩვენ გვესახებოდა არა ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში მყოფი რუსეთი, არამედ სწორედ შეერთებული შტატები, რომელმაც არა მხოლოდ გააძლიერა სამხედრო მანქანა 90-იან წლებში, არამედ მის საავიაციო კომპონენტს დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობები მნიშვნელოვნად აუმაღლა.

მაგრამ საგარეო ურთიერთობათა და ეროვნული უსაფრთხოების სფეროში მომუშავე ქართველმა სპეციალისტებმა კატეგორიულად ვერ გაიზიარეს ჩვენი მოსაზრება, ვინაიდან მათ ხელთ არსებული ინფორმაციით, საერთაშორისო ურთიერთობები და გლობალური პოლიტიკა დღევანდელ ეტაპზე არ ითვალისწინებს ასეთ მსხვილმასშტაბიან საბრძოლო მოქმედებების გაჩაღებას. უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი ეს მოსაზრება სწორი გამოდგა და მადლობა გვინდა გადავუხადოთ მათ არასწორი დასკვნებისგან ჩვენი არიდებისთვის.

**ირაკლი ხართიშვილი**

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

შ.პ.ს. გაზეთი „საქართველო"
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444

ტელ.: რედაქტორი: 93-20-36, რედაქცია: 93-18-41

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ.